ზაალ ნემსაძე

ტიტანები
თემურ-ლენგი
ღვთის თვალი
დულა

თბილისი
2024

ზაალ ნემსაძე:
ტიტანები
თემურ-ლენგი
ღვთის თვალი
დულა
გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი 2024. გვ. 110.

რედაქტორი:	**რევაზ მიშველაძე**
ტექნიკური რედაქტორი:	**ლევან ბოჭორიშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა:	**სოფო ქილიფთარი**
კორექტორი:	**ფიქრია ნემსაძე**

ISBN 978-9941-8-6624-1

წინათქმა

სიცილიც და ცრემლიც გულწრფელია!

ზაალ ნემსაძის ამ ახალ წიგნში 4 მოთხრობაა: **„ტიტანები“, „თემურ- ლენგი“, „ღვთის თვალი“ და „დულა“.**

„ტიტანები“ სიმბოლურ-რომანტიკული ნაწარმოებია. მისი გაგება ძნელი იქნება იმ მკითხველისთვის, რომელიც ქართული ხელოვნების სამზარეულოს არ იცნობს. ასე რომ, „ტიტანები“ მეტნაკლებად ინტელექტუალური მკითხველისთვისაა გამიზნული. ამიტომაც, ბოლომდე გაუშიფრავი ჰიპერბოლებით და მინიშნებებითაა სავსე. ამ თვალსაზრისით, იგი ექსპერიმენტალური ნაწარმოები, ალაგ-ალაგ თეთრი ლექსითაც არის დაწერილი. თეთრლექსიანობა თხრობას პოეზიისკენ წარმართავს და ამიტომაც მომგებიანია. საერთოდ კი, **„ტიტანები“** პოლემიკური მოთხრობა - სცენარია და ნაწილობრივ ამაშია მისი გამარჯვების საიდუმლო!

„თემურ-ლენგი“ თითქმის ისტორიული მოთხრობაა. ვფიქრობ, ეს პირველი ცდაა **ზაალ ნემსაძის** შემოქმედებაში ისტორიული ჟანრის ნაწარმოების შექმნისა.

„**თემურ-ლენგში,** ისე როგორც **„ღვთის თვალსა“** და **„დულაში“,** აშკარად იგრძნობა ოსტატის ხელი.

საქართველოს ამაოხრებლის წინააღმდეგ ერის დარაზმვის სურათები უაღრესად დამაჯერებელია და ავტორისთვის დამახასიათებელი თბილი, შთამბეჭდავი პასაჟებით და ლაღი იუმორითაა გაჯერებული.

უცრემლოდ ვერ წაიკითხავთ ტატოსთან დაკავშირებულ ოსტატურად აღწერილ ეპიზოდებს.

„თემურ-ლენგი“ ჰეროიკული მოთხრობაა, დაახლოებით იმ ტიპისაა, როგორიც გახლავთ ნიკო ლორთქიფანიძის **„ჟამთა სიავე“.** მასში ჩვენი წინაპრების დვრიტაა ჩადებული. მოთხრობის წიაღიდან დაუმორჩილებლობის გმინვას გრძნობთ და ძლევის ყიჟინის ხმა გაისმის.

„ღვთის თვალი“ რეპორტაჟულად ასახავს ტელეჟურნალისტთა ერთი ჯგუფის სტუმრობას კახეთში. საქართველოს ამ უნიკალურ კუთხეში სტუმრები მოულოდნელად წააწყდებიან სულისშემძვრელ სურათს: **ამ სოფლიდან სამამულო ომში ერთდროულად თორმეტი ჭაბუკი წავიდა. ალვის ხეში თორმეტივემ ნამგალი ჩაარჭო, რათა ერთად დაბრუნებულიყვნენ და ერთად გაეგრძელებინათ დაწყებული საქმე. „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“... ომიდან ვერცერთი ვერ დაბრუნდა. გავიდა ათწლეულები, ნამგლები ალვის ხეს ჩაეზარდნენ... და დგას ახლა ნამგლებით დაჭრილ-შებოჭილი ხე სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილის, ომში წასულთა და ვერდაბრუნებულთა სიმბოლურ ძეგლად.**

„დულა“ მხიარული მოთხრობაა რუსეთიდან დაბრუნებულ ქართველ ბარონ მიუნჰაუზენზე.

დულა ფხაკაძე ტიპიური იმერელია. იგი ისე მიმზიდველად უყვება მეზობლებს რუსეთის ტრამალებში გატარებულ დღეებზე, რომ მსმენელნი მისი ცოდვიან- ბრალიანი, ხუმრობა-ფათერაკიანი თავგადასავლების უნებური მონაწილენი ხდებიან.

დასასრულ, რა უნდა ვთქვა?

ზაალ ნემსაძე ნამდვილი მწერალია! თავის მიმზიდველ ოსტატობაში მან არაერთხელ დაარწმუნა მკითხველი. კარგი პროზა ის პროზაა, როცა კითხვის დროს შუაგზაზე ანაზდად არ გაჩერდები და დარჩენილ გვერდებს თვლას არ დაუწყებ - ნეტავ, ბევრი დამრჩა წასაკითხი თუ არაო.

დულას კითხვის დროს ხან იცინი, ხან ცრემლი მოგადგება და ის სიცილიც და ცრემლიც გულიდან მოდის, გულწრფელია.

ჭეშმარიტი ლიტერატურაც ხომ ეს არის!

რევაზ მიშველაძე,
საქართველოს სახალხო მწერალი,
რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

ტიტანები

ძველი კინოსტუდიის წინ ჩრდილი ასწლიანი საათისკენ გადაჩოჩდა. ვიწრო ქუჩაზე დაჯახებას სასწაულად გადარჩენილი კუპრივით შავი ნაგაზი აბარბაცდა, ღიად დარჩენილ კარში ნათლად მჩენი მტვრის მსგავსი აიყოლა და შეგუბებული ღრინვით, საკომისიო მაღაზიაში დურთა თავი. ტროტუარზე მოყიალე თუ დარჭობილ უსაქმურებში, მკვეთრად გამოირჩეოდა განცალკავებული ახალგაზრდა, რომელიც დუნედ აბოლებდა მყრალ ქართულ თამბაქოს. ის ყურადღებას იქცევდა დიდი თავით, ნაიარევი შუბლით და ცხვირის განუწყვეტელი ხმაურიანი მოხოცვით. სუფთად გაპარსულს ტუჩ-ნიკაპი თეთრად ჰქონდა დაფოლილი. მის წინ ორი სუბიექტი იდგა. ერთი მაღალი, შალის ჭრელი პალტოთი და კარტუზიანი შავი ქუდით, მალიმალ აქნევდა თავს ცელქი ცხენივით. მეორე საშუალოზე დაბალ, ახალგაზრდობის ბოლო სტადიაში მყოფ, საკმაოდ შელანძღულლაბადიან კაცს, თბილი ჩინური ქუდი ეხურა და მოსაუბრეს დაცინვით შეჰყურებდა. მაღალი ცნობილი რეჟისორი გახლდათ, მეტსახელად „ბუკაჩი," დაბალი – არც ისე შინაური ელიტის მეტიჩარებს შორის, მაგრამ თავის წრეში საჭირო საქმოსანი, მეტსახელად – ბეღურა. ბუკაჩი ფილმს იღებდა ისტორიულ თემაზე, დაბალი იქვე, საკომისიოში მუშაობდა და დიდი ხანია, რეჟისორის ფინანსურ აგენტობას ითავსებდა. დიდთავიანი ახალგაზრდა უნებურად ისმენდა მათ კამათს და ეღიმებოდა.

– სეზანი-თქვა! – ხმას აუწია ბეღურამ და გახსნილი ლაბადის ქვეშ, სვიტერში გამოკრული ღიპი აუთახთახდა. „ფუნჯით ხელში გათანგული ბრიყვი?" – ცხვირი აიბზუა მაღალმა. "ბრიყვი შენი პოლია, – გოგენს გადაწვდა დაბალი და დიდთავას გამოხედა, ხომ მაგრად ვუპასუხეო. „მე რა თქმა უნდა", – პირი დააღო მაღალმა და უცებ შეხტა. საკომისიოდან გამოგდებულმა ნაგაზმა მაღვიძარას ცარიელი კოლოფი გამოიყოლა, აქეთ მოაშურა და იქ, სადაც, თეატრის აფიშებს აკრავენ, უკანა ფეხი აიშვირა. „ოჰ, შენი პატრონის დედაც, – შეიგინა ბეღურამ და

გაიქაჩა. ძაღლი არ განძრეულა. ბეღურამ ფეხი მოხარა პანღურისთვის... „სიცოცხლე მოგბეზრდა ბრიყვო?“ – მოესმა ღრენა. გაშეშდა. ფეხი აწეულ-მოღუნული დარჩა და ძაღლს ისე დააშტერდა, კინაღამ თვალები დააყარა გაქუცულ ზურგზე. „რაო, ჰიპნოზი გაგიკეთა?“ – სიცილით ჰკითხა ბუკაჩმა, მაგრამ მსუქანს სახუმროდ არ ჰქონდა საქმე. მარცხენა ფეხში ძალა ელეოდა, საყრდენი წერტილიდან ძვრებოდა თითქოს და მარჯვენა ფეხი ჰაერში ჰქონდა გაშეშებული. მერე მოხედა, მაგრამ არა მაღალს, არამედ დიდთავას, რომელიც აშკარა კმაყოფილებით უცქერდა ამ ეპიზოდს. აქ კი ბეღურამ ისეთი რამ შენიშნა, რომ საყრდენი წერტილიდან მოწყდა და ორბიტაზე გავიდა... ჯერ კისკისით ასკინკილით შემოურბინა პატარა ბაღს (ბარე ხუთჯერ!), მერე ბუკაჩის წინ დაენარცხა. ბუკაჩი კი ლამაზმანთან საუბარში გართულიყო. ქალი, როგორც წესი, ცხვირში ლაპარაკობდა და რომელ ენაზე, ეშმაკიც ვერ გაიგებდა, თუმცა ბუკაჩს შესანიშნავად ესმოდა მისი. ზამთრის მოდური სამოსი, თუმც სანახევროდაც ვერ აჩენდა ქალის ლამაზ და მაცდურ „ნაჭრებს“ (ასე უწოდებდა ბუკაჩი), მაგრამ მთელი დღე წინ ჰქონდათ და რეჟისორი ოცნებაში ფინალს ხედავდა. გაშოტილმა ბეღურამ მყისვე შეცვალა წყვილის გეგმები.

– ოჰ, – ისე ამოიხვნეშა დაცემულმა, რომ ბებერ ნეკერჩხალს ფოთლების სამი მეოთხედი ჩამოსცვივდა. ბუკაჩს მოეჩვენა, რომ მისი მეგობარი ტანსაცმლიდან ამოვარდა და ძირს მხოლოდ მისი ლაბადა და შარვალიღა ეგდო, ოღონდ შარვლის მარჯვენა ტოტი თითქოს შუაზე გადაეჭრათ. „რა იყო კაცო?“ – შეუღრინა „საკომისიოს“ და უკვე მიმავალ ქალს ჟრჟოლვით გახედა. ძირს გართხმულ ბეღურას კი მოგვიანებით გაახსენდა, რომ ამ მომენტში, რეჟისორი ცხელ ტაფაზე დასხმული ნუშის ზეთივით გაქრა და მის ნაცვლად ჭრელი პალტოღა დარჩა, ოღონდ პალტოს რატომღაც კარტუზიანი ქუდი ეხურა... ეს მოგვიანებით, ახლა კი, გართხმულმა იბღავლა: „ძაღლი ლაპარაკობს, ძაღლი!“ „რაა“ – ყურებს არ დაუჯერა მაღალმა. „...ის ძაღლი, – ატირდა ბეღურა.

ბუკაჩმა წამოაყენა მეგობარი, მაგრამ ის ფეხი ვეღარ გააშლევინა. ტაქსი გააჩერა, ბეღურა შიგ შეტენა, გვერდით მიუჯდა. მანქანა დაიძრა და დაბალმა, შუბლზე იტკიცა: „იმ დიდთავას მორიელები ესხა თვალებში.

„მააააშ, ეგ არაფერი, თვალები არაფერი, არაფერი! ზოგიერთი ადამიანი მთლიანად მორიელია... ადამიანი მთლიანად მორიელია, მორიელია!“ – შემოესმათ ყეფასავით ხმა. ახლა ბუკაჩმაც გადმოკაკლა თვალები.

წინა სავარძელში, მძღოლის გვერდით, საკომისიოში ნაცემი ძაღლი გამოჭიმულიყო... ტანში სიცივემ დაუარათ და რეჟისორმა იკივლა: „გააჩერეთ!“ და ტვინში თითქოს დაურეკეს – გაგიჟდი შე უბედურო.

ბეღურა უარესად გამოიყურებოდა. მან იცნო დიდთავა, ახლა რომ საჭესთან იჯდა. ის იყო, ის! იქ თვალებში, არა, მორიელებში! ჰოი, ჰი! და უცებ ხმამაღლა: „ის არის, ის!“

და ბეღურამ და ბუკაჩმა შეთქმულებივით ერთხმად შეჰყმუვლეს.

მანქანა მდინარეს მიუახლოვდა. გატაცებულთათვის ცა მიწად იქცა და მიწა ცად. – არ მინდა წყალში, ცივია და ბინძური! – აყმუვლდნენ ორივენი და ... „დაეგდე მანდ!“ – მჯიღი ჰკრეს. ბეღურამ მიიხედა, გვერდით წვერაბურძგნული და შავთმაგაჩეჩილი ახალგაზრდა ეჯდა. აქეთ მოიხედა. პირდაღებული ბუკაჩი შემოჰყურებდა, რომელსაც პიტნის სუნი ასდიოდა. „სად ვართ?“ – იკითხა თმაგაჩეჩილმა. „არ ვიცი,“ – უნდოდა ეპასუხა, მაგრამ ენა ვერ დაძრა იმიტომ, რომ ვიღაცამ იყვირა: „აბრძანდით! მოდიან!“ ხმა ნაცნობი იყო. ძალიან მაღალი და დიდი კაცის ხმა. ბეღურა წამოხტა და გაიფიქრა: „ის ხომ“... „შეწყვიტეთ ფიქრი. ამ დარბაზში მყოფთ ფიქრის უფლებაც არ გაქვთ. თქვენ ხომ რობოტები ხართ!“ – განმეორდა იგივე ხმა.

მართლაც, როცა შუქი აკაშკაშდა, დარბაზი ჩლუნგი, ადამიანის ფორმის და სახის რკინის გროვას აევსო: თმაგაჩეჩილიც, ბუკაჩიც და ბეღურაც...

– დაჯექით მონებო! – დარბაზის ბოლოში, მომაღლო ადგი-

ლას გაკეთებულ სცენაზე ხმის პატრონი შემოვიდა – მაღალი, მსუქანი, მელოტი მამაკაცი, რომელიც ერთ დროს აქ დამსწრე საზოგადოების მიერ იმდენად უსამართლოდ იქნა დასჯილი, რომ დარბაზს ერჩია მიწა გახეთქოდა. მან სცენა გადაიარა და კუთხეში, ხალიჩაგადაფარებულ სკივრზე ჩამოჯდა. კიდვ ორნი შემოვიდნენ: ერთი – გრძელი თეთრი წვერით, მაღალი შუბლით და მორცხვი თვალებით; მეორე ქალბატონი გახლდათ, პატარა ტანის, სუსტი და კუშტი, მაგრამ სითამამე ეტყობოდა, რადგან გამოჩენისთანავე შესძახა ცივი ხმით: „კარგად ზიხართ მონებო?!“ – და მელოტს მიუჯდა გვერდით. „ხალხი და მხოლოდ ხალხი!“ – გასძახა დარბაზს წვერიანმაც და რადგან ზანდუკზე ადგილი აღარ იყო, მოსულების წინ დაჯდა სცენაზე, კუტ სკამზე. ჯიბიდან ნახევარბოთლიანი ამოიღო და მოწრუპა. „არ იყო საჭირო!“ – ხმამაღლა თქვა მელოტმა, რომელიც არასდროს საუბრობდა ხმადაბლა და ზურგს უკან. წვერიანმა მორცხვად გაიღიმა და ბოთლი ახლა უბეში შეინახა.

– შეკითხვები არის? – იკითხა ქალმა.

დარბაზი დუმდა. მელოტი მისკენ გადაიხარა და ... „შეგიძლიათ იფიქროთ!“ – შესძახა ქალმა. ახლა მას გესლიანი, ოდნავ გატეხილი ხმა ჰქონდა.

– თქვენ ხომ მოკვდით? – იკითხა დარბაზიდან ძალიან ცნობილმა რობოტმა. „მე კი,“ – თქვა ქალმა. „მე არა,“ – თქვა წვერიანმა. „მე მომკლეს!“ დასჭექა მაღალმა.

– სად ვართ ჩვენ? – იკითხა მეორე „გენიოსმა“ რობოტმა.

– თეატრში, – უპასუხა სცენამ – სპექტაკლი უნდა გიჩვენოთ, არამოდური! დარბაზი კიდევ აპირებდა კითხვების დასმას, მაგრამ უცებ ქალი აიფოფრა, კალთიდან რაღაც დიდი ამოიღო და დარბაზში ისროლა. საგანმა ორჯერ შემოუფრინა რობოტებს და მსროლელს დაუბრუნდა ბუმერანგივით. „რა იყო ეს?“ – იკითხა ვიღაც ცნობისმოყვარემ. „მკვდარი ღადუნა,“ – უპასუხა წვერიანმა სცენიდან. მერე მუჭით ამოიღო თხილი უბიდან და წინ, მაგიდაზე დაიყარა. ქალმა კაბაზე მიკერებული ჯიბიდან პატარა ჩაქუჩი მიართვა. მაღალმა მელოტმა თავისებურად

ჩაიროხროხა. „ვინ ხართ თქვენ?“ – იკითხეს დარბაზიდან. “რა თქვენი საქმეა ტილიანებო,“ – შეიგინა წვერიანმა და თხილი შესანსლა. მერე მოსვა ყლუპი ბოთლიდან და დარბაზს გახედა: „რურუ აქ არის?“ „გახლავარ“, – მორცხვად წამოდგა წინა რიგში მჯდომი საშუალო ტანის ზომაზე მეტად გადასუქებული, ბაყაყივით თვალებდაპრაწული ხვნეშია კაცი. „უხ შენი,“ – შეუკურთხა წვერიანმა ნაჭუჭები მიაყარა. „რას მემართლები?“ – შეჰყმუვლა მან და შუბლი მოიფხანა. „ბრალად გდებ საზარელი ქცევით ადამიანის გაგიჟებამდე მიყვანას,“ – გაუხსენა წვერიანმა. „მაგის გამო ხომ მდრუზე ქვა?“ – დაამუნათა რურუმ. „შენისთანა მათხოვარი და უეროვნებო რეჟისორი რომ ერის უპირველეს მწერალს და ჭკუისსაკითხავ გენიოსს ისე გაამწარებს, რომ ქვას ასროლიებს, ჩასაქოლი არ არის!“ – წამოხტა ქალი და არბალეტი მოიმარჯვა. რურუს საქციელი და სახე ერთად წაუხდა. „მიიღე სიკვდილი ჩემი ხელიდან და წყალობად ჩათვალე!“ – და ქალმა არბალეტის მიზანზე დასვა. „მოაშორე ეგ.“ – სთხოვა ქალს წვერიანმა. ის დაემორჩილა და არბალეტი ისროლა კულისებში. დარბაზმა შვებით ამოისუნთქა. „დაეგდე, – რურუს მიუბრუნდა წვერიანი, – გახსოვდეს, რომ გახვრეტილ თეთრად არ ღირს შენი ნაცოდვილარი“. და თან ჩაქუჩი ხალიჩას დაჰკრა. სკამიანად გაქრა რურუ. უცებ ბუკაჩი წამოხტა და... „უნდა მოგახსენოთ, რომ...“, მაგრამ პირი ვეღარ გააღო. როგორ არ ეცადა, მაგრამ ამაოდ. „დაჯექი მონავ! – უღრიალა ქალმა, – და საერთოდ, მოკეტეთ ყველამ. დიდი ხანია ყველა უფლება თვით აუკრძალეთ საკუთარ თავსაც და მიმდევრებსაც“.

– ეს ბულინგია ბატონებო, – წამოიზლაზნა დიდშუბლა, თითქოს თვალებმიხრახნილი, ახალგაზრდობას დამშვიდობებული არსება. „მოძალადე ძაღლიშვილთათვის უებარი წამალია სწორედ ბულინგი,“ – გასძახა ქალმა. „და ვისაც ჩვენი ცალფეხზე დგომა გინდათ თქვენს ნაბიჭვარ ბატონებთან, მათაც და თქვენც, წარმოდგენას მოგიწყობთ ახლა... რომელშიც“... – სული შეუგუბდა აღელვებულ მელოტს. „რომელშიც თქვენისთანებიც იქნებიან და ჩვენისთანებიც“ – სიტყვა ჩამოართვა

წვერიანმა და სცენის სიღრმეში წავიდა ფანჯრისკენ, საიდანაც მტვერი შემოდიოდა. „აი, ერთი გენიოსი, ამ დარბაზის შეკრებილთაგან მოძულებული, ისევ ამათი სიკეთისთვის შეხტა რაფაზე და გადახტა უკვდავებაში.“ წვერი მოიხსნა და ღია ფანჯრიდან ისროლა. გაისმა დაცემის ყრუ ხმა და მუხრუჭების ღრჭიალი. იმავე წამს სცენაზე გალია შემოგრიალდა, ქალი შიგ შევიდა, მასში მყოფმა დატოვა სცენა. მელოტმა გულზე მიიდო ხელი და ბარბაცით და ყვირილით გაემართა კულისებისკენ: „გული, ჩემი დაფლეთილი გული!“ სცენაზე მარტო წვერმოცლილი დარჩა და ფარდა ჩამოამხო სცენას.

– ზევით მინდა, – ინატრა ვიღაცამ. და გაიხსნა ახალი ფარდა და ნახევრად ყალბმა ხმამ გამოაცხადა – სპექტაკლი დაიწყო... ფარდა ისევ დაიხურა და იქიდან ყოფილმა წვერიანმა გამოყო თავი, მერე გამობრძანდა შავპიჯაკიანი თეთრი პერანგით, დარბაზს თვალი ჩაუკრა და დამცინავი ხმით მიმართა: – არავითარი სპექტაკლი და კინო დღეს არ იქნება და რაც იქნება, იმის ღირსიც არ ხართ და თუ რატომ, მონოლოგის ბოლოს მიხვდებით. ეე, შეწყვიტეთ მანდ ყიყინი, წკლუმი არ გავიგონო, თორემ სრულად აღჭურვილი ორი ლიქტორი დარბაზშია თავისი ნაჯახებით და დაისჯებით. და თუ მონოლოგით ვერ შეიმეცნებთ, რატომ გაბულინგებთ, მერე სხვა გამოვა და ის გაგანათლებთ, აბა, იქეცით თვალებად და ყურებად. ვიწყებ მონოლოგს: – დარბაზი მშვიდი, ხალხი ზედმეტად პატივმოყვარე, დატყვევებული საკუთარი ნების გარეშე, უცებ წამოხტა, აზვირთდა და გადაირია. ვით ქარიშხალი დაატყვევებს ზღვის მძიმე ფაფას და თავის ქსელში აათამაშებს ვით გიტარის სიმს, დაარწევს გემებს, ააბრუნებს ნავებს ეულებს, ადუღებულ კუპრს დაამსგავსებს ზეცას მძვინვარეს, ისე იფეთქა აჩახჩახებულ მძიმე ატმოსში. აღმოხდა კვნესა, ღრიალი და წყვეტილი ხმები, დარბაზში არვის არ ესმოდა ალბათ იმ წუთში, თუ რა ხდებოდა... ფარდის წინ ერთურთს ცვლიდნენ მსახიობები, ტაშიც კი მათი სიდიადით იწონებოდა... მთავარი როლის დამხატავი გამოჩნდა ბოლოს და ჩამოინგრა იმ წამსვე თითქოს ძველი ქანდარა! ხოლო

პარტერში? ოჰ, ღმერთო ჩემო, ენა ვერ აღწერს, პატივცემული და ბრწყინვალე გვამები ახლა, ისე ბღავიან, როგორც ფსიქიურ საავადმყოფოში სანიტრების ნაცემ – ნაბეგვი ავადმყოფები. და აჰა, გამოჩნდა დრამატურგი და ისეთი ღრიალი ატყდა, თითქოს ადგილი აღარ დარჩა, წარღვნამ გვიწია. დრამატურგი ჯერ ახალგაზრდა, ეტყობა მაგრად ნატანჯი, მართალია ვერ-მიმზიდველი, მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, ხელოვანს ახლა „აღმერთებენ“, მით უმეტეს, როცა იგი ახალგაზრდაა! რით იმოქმედა დარბაზის მეხმა საღამოს გმირზე? თავის სიხარულს იშვიათი ნიღბით ფარავდა, ვით დიდ სისუსტეს მისი პიესის წმინდანი გმირი, რომელის დარბაზს სულ ბოლომდე გმირი ეგონა: ვერ უსწორებდა თვალს მაყურებელს და ისე იდგა, როგორც ბაღში გადაპარული პატარა ბიჭი, ხილის პატრონის დანახვისას რომ იძურწება... ბოლოს ვერ შეძლო გრძნობების მართვა, თავი ასწია და გახედა მძვინვარე კრატერს, ვარვარა ლავას შეუერთა გუზგუზა ცეცხლი... კარგა ხანს კიდევ გაისმოდა ხვნეშა-ღრიალი და დრამატურგი ისე იდგა, როგორც ტიტანი, ვისაც უჭირავს მძლავრი მხრებით ცის კიდეები და ოდეს თვალი გაუსწორა ტიტანმა დარბაზს ანაზდად შეკრთა, როგორც მლოცველი, რომელსაც ხატი გაუცოცხლდება... მეხუთე რიგში, შუა ადგილის სულ ცოტა მარცხნივ, ფეხზე მდგარი უნაზესი მაყურებელი არ აჰყოლოდა საერთო რწევას და იდგა იგი, შეშლილებში მოხვედრილი გენიოსივით! საკვირველია, მაგრამ იმათში, ვინც სულ ყაყანებს და სხვას არ აცლის, ის უფრო ჩანს, ვისაც მოსმენა უყვარს კამათზე მეტად, და დრამატურგმაც... მყისვე შენიშნა ლამაზი ქალი: ყოველი ძარღვი, დაცლილი ტვინი და მშფოთვარე სისხლის უჯრედნი აფეთქდა უცებ და იქ, სიღრმეში დარეკა სულმა: „ნუთუ ის არის?“ არადა ჰგავდა, ძლიერად ჰგავდა, როგორც ღთისმშობელს ხატი თამარის და მყისვე იცნო... სამწუხაროდ, ზოგჯერ ძველში გადაბარგებას თანვე ახლავს დიდი ტკივილი და ტიტანისთვის მთელი სამყარო წამით გახევდა, გაირინდა და დაიძაბა: აქ კი თვალებმა ვერ გაუძლეს და მისმა გულმა, სწორედ იმ გულმა, რომელიც რვა თვე ყოველ

საათში ისე ბღაოდა, როგორც დარბაზი ამ შლეგ საღამოს ხილული დენი დაჰკრა მის თვალებს და ორი წყვილი, მარჯვნივ და მარცხნივ ჩამოეკიდა სულ ახლახან გაპარსულ ლოყებს. იქ, დარბაზში კი, კოხტად შემკულ ახალგაზრდა ქალს, სულ აერია ანგარიში ყველა შეგრძნების და მის ლოყებზე ჩამოფრქვეული ბრილიანტები ისე გადატყდა აჩახჩახებულ ბროლების შუქზე, როგორც სინათლე გადატყდება ვიწრო პრიზმაში. ტიროდა ორი და დარბაზმა არც კი იცოდა, ამ საღამოთი მთავარი ნახა თუ სულ, სულ მცირე: პატივცემულმა რეჟისორმაც კი ვერ შეიგრძნო, ვინ ითამაშა მთავარი როლი დღეს მის სპექტაკლში. დრამატურგმა კი იცოდა? მგონი ჯერ არა, ჯერ ის მხოლოდ მსახიობად თუ გადაიქცა და იქ, დარბაზში კიდევ ერთმა ნახა მხოლოდ მთელი სპექტაკლი...

იმ ღამით მშვიდად იწვა ქალაქი და თვით ტიტანი, რომელმაც თითქმის სამი საათით მოახერხა ბევრის შენჯღრევა და თავად მუზა დიდი ხანია კარგად გახედნა, როგორც მეჯოგემ პართიული ვეშა ურწანი, ახლა თითქოს გაღარიბდა და დაკარგა უპირველესი, რომელიც ადრე დაეკარგა და მხოლოდ ახლა იგრძნო სიცარიელე...

გავიდა ბევრი დღე და ღამე. ყველა მათგანი ისე ძლიერად ჰგავდა ერთმანეთს, ვით ერთ საშოდან გაჩენილი ტყუპი დაძმები. გათენდა დილა მოწყენილი, ოდნავ მზიანი და მტვერიანი ქალაქის თავზე აბოლებულ ჩიბუხებს ზემოთ, ცა ჩანდა ოდნავ მეწამული, აგურის ფერი. ქალაქის გარეთ, გარეუბანში, ტყეში, რომელიც დაჩეხილი იყო უწყალოდ, საავადმყოფოს თეთრი – ცისფერი კედლების მიღმა, იზოლატორში დადგმულ საწოლში, თვალგახელილი იწვა ტიტანი და საოცრად მშვიდი მზერით ჭერს ბურღავდა. იწვა ტიტანი, ხანდახან პირს აღებდა ხვნეშით უმწეოდ, როგორც თევზი, მებადურის მარჯვე ხელით ამოსროლილი ცხელ რიყის ქვებზე. მხოლოდ თვალები ჰქონდა მას ბრძენის. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა სევდა იყო ამ თვალებში, რა სინანული, თუმც ტიტანი არ წააგავდა ქარაქუცა მელანქოლიკებს... და მხოლოდ ერთხელ გაიკვესეს მისმა თვალებმა,

ოდეს იხილა ქალბატონი პალატის ზღურბლზე – უკვე გამ-შრალი თაფლისფერი ალერსით სავსე. ეს ორი დიდხანს უყუ-რებდა ერთიმეორეს, როგორც თეატრში იმ გიჟ საღამოს. მერე ოთხივე თვალი შეერთდა და იგი თითქოს იქცა ერთ თვალად, უფრო კეთილად, მგრძნობიარედ და დახვეწილად, თან სიყვა-რულიც მეტი იყო, ვიდრე პირველად, თუმცა უკვე უაზრო და ვნებადაცლილი. მერე ავადმყოფს პირიდან წასკდა წითელი ყინვა, როგორც ლაყუჩებახეულ კალმახს... და ჩაქრა თითქოს ყოველი შუქი, ჩამოიღვენთა ყველა სანთელი, ჩამოილია ყველა ნაღვენთი, უცებ გაშუქდა ყველა ხატი, უცებ დაობლდა სადღაც ადამი, უცებ დაქვრივდა სადღაც ევაც და ძუძუთა ძენი მოგ-ლიჯეს დედებს და დაუშანთეს მკერდი ჩვენს შვილებს.უცებ დაეშვა დიდი ფარდა დიადი დრამის და დრამატურგი ვერ და-ესწრო, თუ რა ბრწყინვალედ დაიბადა ბოლო პიესა, რომლის ჩასახვა მხოლოდ გენიოსს ხელეწიფება და თუ ამ სპექტაკლს არ ჰყოლია მაყურებელი, არც რეჟისორი, არც დრამატურგი, ეს მხოლოდ იმის სინდისზე იყოს, ვინც ითამაშა მთავარი როლი. ტაშის დაკვრა კი დიდ სიყვარულს არად სჭირდება და არც წი-ნასწარ დაწერილი სცენარი ნებავს!

და ისე, რომ არც დამშვიდობებია ვინმეს, მონოლოგი დაა-მთავრა და გაუჩინარდა. დარბაზში მოკრძალებული ტაში გა-ისმა, რასაც ყვირილი და აქა-იქ ლანძღვაც მოპყვა. „ლიქტო-რებო ნუ გძინავთ“, – იყვირა ვიღაცამ და როცა, დარბაზი დაა-დუმეს ნაჯახიანებმა, დარბაზიდან ამ ხმის პატრონი, ბელურას და ბუკაჩის გამტაცებელი ახალგაზრდა ავარდა სცენაზე და მაყურებელს მოხედა: – რა არ მოგეწონათ ჭინკებო და ალქა-ჯებო. აბა რას ელოდით კაცისგან, რომელიც ყველაზე ნიჭიერი იყო თქვენს შორის. ეს თქვენ კარგად იცოდით და ამის გამო ღვარძლი გახრჩობდათ და რახან მის მაგინებლებს და არდა-მნახავებს მოგიყარეთ თავი, გაიძულებთ მოისმინოთ:

– შენ ვინ მიგდიხარ, რომ ამ დამსახურებულ ხალხს ლექციას გვიკითხავ და შეურაცხყოფას გვაყენებ? – წამოხტა წინა რი-გიდან მელექსე, რომელიც ბუკაჩმა ხმით იცნო, ზურგიდან ვერ

ხედავდა. „ლიქტორებო, ვის ვუთხარი მე ნუ გძინავთო? – გაბრაზდა და საერთოდ ჩამოგლიჯა ფარდა ახალგაზრდამ და ცარიელი უკულისო სცენა გამოჩნდა, რომელზეც ტომრები იყო მიყრილ-მოყრილი და ძველ საწყობს ჰგავდა. ამ დროს ერთი ლიქტორი წინარიგელ მელექსეს მიუახლოვდა და გემრიელად მოსდო კეფაში. „მკვდრის ცემა არ შეიძლება," – გააპროტესტა კეფაშეურაცხყოფილმა. „მთელი ცხოვრება უკვდავებაზე გქონდა პრეტენზია და მკვდარი ხარ? – გაიცინა ახალგაზრდამ, – მკვდარი მაშინ იყავი, როცა ჩემს წინ აქ მდგომს ებრძოდი და სხვების საამებლად ავიწროებდი. და საერთოდ დარბაზის რეაქცია არ მომწონს და არ დავუშვებ ისე მიყუროთ, როგორც კონფერენსიეს. ამიტომ ისმინეთ და შეასრულეთ ბრძანება: ვიდრე დაუნდობელი ლიქტორები მოგაკითხავენ, ამოდით და თქვენს მიერ დანაგვიანებული და შებილწული ქართული სცენა და კინო გაწმინდეთ. ყველას გეხებათ – მკვდრებსაც და ცოცხლებსაც. „აბა, და ჰე!" – ლამის ყველა ავარდა სცენაზე და ტომრებს მიაწყდა. „სად წავიღოთ ბატონო? – იკითხა ბუკაჩმა, – პირველად ვარ აქ დაა". „აი, იმ წითურ მელოტს გაჰყევით, ეგ არის ნაგვის მთავარი დისტრიბუტორი ქართულ ლიტერატურაში, თეატრში და ცოტ-ცოტა მუსიკაშიც," – უპასუხა დამსაქმებელმა და ამით ყველას გაუადვილა საქმე, რომელსაც დიდი ენთუზიაზმით შეუდგა ყველა. „შაბაშ!" – შესძახეს ლიქტორებმა, – დაისვენეთ. ნაგვისგან გაიწმინდა ჩვენი ხელოვნება და კულტურა. მკვდრები საფლავებში, მკვდარ-ცოცხლები – დარბაზში.

გადანაწილდნენ, მაგრამ გაკვირვებულ ბუკაჩს და ბეღურას დასაჯდომი ადგილები ძლივს ერგოთ. „რა პირი დააღეთ ბიჭებო? – გამოსძახათ მომყვანმა, – ამათ რა გამოლევს. იდენენ და იდენენ ნილოსივით მეორედ მოსვლამდე და ვიდრე არ ისწავლიან ცოდვის გარჩევას მადლისგან, ასე ირბენენ. ისმინეთ თქვენ ორმა და საერთოდ ყველამ!" და სარკესავით პრიალა სცენის წინ დადგა მიკროფონთან: „კიდევ აქ მოსვლას არ გირჩევთ ბიჭებო და გოგოებო. არც მოხვალთ, თუ სხვისი ნიჭის დაფასებას ისწავლით და „უცილობლობს ვითა ჯორო-

ბას შეეშვებით“. აი ის ხელოვნურწვერიანი, სულ თავიდან რომ შემოვიდა სცენაზე და ბოლოს წვერი ფანჯრიდან ისროლა და ვრცელი, თქვენთვის გაუგებარი ჟანრის ნაწარმოები წაგიკითხათ, ამ საუკუნის უპირველესი მოაზროვნე და შემოქმედია და არც წინა საუკუნის რომელიმე გენიოსს ჩამოუვარდება. მან ერთადერთმა იწინასწარმეტყველა ბოროტების იმპერიის დანგრევა ორმოცი წლით ადრე პატარა ნოველით „ლომი“ და ამის მეტი რომ არაფერი შეექმნა, მაინც უკვდავი იქნებოდა. ნებისმიერი, იდნავ მოაზროვნე ხელოვნების მსახური დაააცხრებოდა „ლომს“ და ცოტა ტვინის ჭყლეტის შემდეგ, შედევრისგან საოცარ ფილმს ან აპექტაკლს შექმნიდა და დღეს აქ, ტომრების ჩანთვრა აღარ მოუწევდა. „ლომის“ სხვა ღირსებებს არ ჩამოგითვლით და არც მისი შემქნელის ქება-დიდებას ვაპირებ, მაგრამ მწერლის მაგიდაზე რომ ახალი პროსპერ მერიმე, ახალი ჩეხოვი, ახალი დავით კლდიაშვილი დაიდება და დონ კიხოტის სადარი გმირი ტიტე წევაძე დაგიკრავთ თავს და მერე ამას რაც ამ დარბაზში ცოდვილი ზის და დგას, იმდენი ნოველა მოჰყვება კიდევ და ოთხი რომანი, პირდაპირ უფლის მოციქულის წმინდა პავლეს საოცარი წერილი თუ არ გაგახსენდება გალატელთა მიმართ, მეორედ მოგიწევთ ცოცხალ-მკვდრებს სიზიფეს შრომა ამ მომხიბვლელი ლიქტორების ზედამხედველობით. ვიდრე დაგტოვებთ, მოგახსენებთ მოციქულ პავლეს წერილიდან ნაწყვეტს. „გალატელთა მიმართ“ დაწერილია 53-54 წ.წ. ეფესში და მიწერა მოციქულმა გალატეას ეკლესიებს: 5., 22-23 „ხოლო ნაყოფი სულისაი არს: „სიყუარული, სიხარული, მშვიდობაი, სულგრძელებაი, სიტკბოებაი, სახიერებაი, სარწმუნოებაი, მყუდროებაი, მარხვაი, მოთმინებაი. ესევითართათვის არა ძეს შჯული“. ახლა კი გემშვიდობებით და იმედი მაქვს აღარ მოგინდებათ ამ ტომრების ხელის მოკიდება. ადიოს!!!“ – დაემშვიდობა დარბაზს და... „სიცოცხლე მოგბეზრდა ბრიყვო?!“ – ღრენა შემოესმა ბეღურას... მერე ნაცნობი ქუჩის ხმაური შეუძვრა ისევ ყურში და თვალები გაახილა. კინოსტუდიის წინ იდგა ისევ და მარჯვენა ფეხი საცოდავად მოკუნჭული შავი ძაღლის

ზემოთ აღემართა. ამოუქნია ის ფეხი და აწაწკავებული ნაბარავში გადააგდო. „არ უნდა გექნა," – უსაყვედურა ჩაფიქრებულმა რეჟისორმა. ბელურამ გახედა და ბუკაჩი ცოტა მობერებული მოეჩვენა. „სალაპარაკოდ არ ღირს," – თქვა მაინც და უცებ შებღავლა: – დრამატურგი!... ის დიდთავიანი, ნაიარევშუბლიანი ახალგაზრდა ისევ თამბაქოს აბოლებდა. „მკითხეთ რამე?" – შეხედა ბელურას. „თქვენ იქ, ... არ, ... ჰეი, თქვენ იყავით! მარჯვედ კი მოგვიტაცეთ," – ბელურას ახლა ცოტა ეშინოდა კიდეც მისი. ახალგაზრდა დაბნეული უყურებდა. ბუკაჩი ჩაერია: „თქვენ დრამატურგი ბრძანდებით?" „არა, ოღონდ ერთი პიესა დავწერე, ისე... ჩემთვის," – დაიბნა ახალგაზრდა. „მე ხომ მიცნობთ?" – გაიჯგიმა ბუკაჩი. „კი ბატონო". „თან გაქვთ ის პიესა?" დრამატურგმა თავი დაუქნია და ჯიბიდან ხელნაწერი ამოიღო. რეჟისორმა ჩამოართვა, გულისკანკალით გადაფურცლა პიესა, რომლის სათაური ბელურამაც კი იცოდა და კიდევ მრავალს ენახა, ჯერაც წაუკითხავი და გამოუქვეყნებელ – დაუბეჭდავი. „კონსულტაციები დამჭირდება თქვენგან." – გაუღიმა დრამატურგს. „კი, ბატონო, თუ რამე შემიძლია," – გაეხარდა ახალგაზრდას. „თქვენ რომ შეგიძლიათ და ძალა-უნარი გაქვთ, მაგის მეათედი რომ მქონდეს..." – ინატრა ბელურამ, რომელიც შიშით უყურებდა შავ ნაგაზს და ნატრობდა, ნეტავ ფეხი მომტეხოდა და არ ამომერტყაო. „ნუ გადავდებთ სხვა დროსთვის. ეგერ კაფეში დავსხდეთ და წავიკითხოთ, – შესთავაზა ბუკაჩმა და ბელურას დაუტატანა ხუმრობაშეპარული ხმით: – გავარდი, დაატრიალე შენი მარიფათი და ბიჭობა და კაფეში კუპე გაჩითე. ჩვენი ახალი ძმა გავიცნოთ და ფიც-ვერცხლის პური ვჭამოთ. „წამობრძანდით, – გაიხარა ბელურამ, – ამ კაცის გაცნობისთვის, იმ კაფეს სულ გიყიდით."

16 მარტი, 2024 წელი.

თემურ-ლენგი

ეს თემურ-ლენგი წინა საუკუნეში დავწერე და ჩემს ნაცოდ-ვილარებს შორის, დღემდე გამორჩეულად მიყვარს. აღარც ვაპირებდი მის გამოჩენას, რომ არა ჩემი საყვარელი ძმის – ამირანის სურვილი: მძიმე ავადმყოფმა, 2023 წლის 28 მაისს, როცა, ფაქტობრივად, ერთად უკანასკნელი ღამე გავათენეთ საუბარში, ალიონზე მოულოდნელად მკითხა: – თემურ-ლენგი რა უყავი ბიჭო?

– რამ გაგახსენა? – გამეცინა.

– არ იცი შენ თუ არა, რამდენჯერაც მაგან ილაშქრა საქა-რთველოში, იმაზე მეტჯერ მაქვს წაკითხული, – მითხრა სერი-ოზულად.

– თუ გინდა გეტყვი, რაზე ჩაფიქრდი, – გააგრძელა ამირანმა.

– მითხარი.

– ჩემს ხელში მეოთხედი საუკუნეა წიგნი და რვეული არ გი-ნახავს.

– ეგ ხო, მაგრამ ახალგაზრდობაში ბევრს კითხულობდი. ის კი არა, „თემურ-ლენგს“ ლამის ერთად ვწერდით. რადენიმე პე-რსონაჟი შენი კარნახით შეიქმნა.

– მახსოვს, – გამოცოცხლდა ამირანი, – ჯალათი, მემატიანე და ის კიდევ, ძროხის ქურდობაზე რომ დაიჭირეს თავად მონ-ღოლებმა! რა ერქვა?

ვერ გავიხსენე.

– ოჰ, მაშინ ბევრი ვიცინე მაგის სახელზე და საქციელზეც, – გაეცინა, – თახ... თახ... თახჩებურანი ერქვა მგონი.

– ხო, ხო, თახჩებურან ხორასნელი, – გამინათდა გონება.

– იქნებ მოძებნო და წამაკითხო, – მთხოვა, მერე ხმას დაუწია და... – თუ მაგის გამოქვეყნებას გადაწყვეტ, არაფერი შეცვალო და ტატოს არ შეეხო. როგორც მანდ გყავს აღწერილი, ისეთი კაცი გამოვიდა, ვენაცვალე მაგის საფლავს, – ხატზე დავიფი-ცებ, ამირან ნემსაძე უკვე ტიროდა.

ძლივს შევიმაგრე თავი ბღავილისგან. უკვე 16 წელზე მეტია

ტატო ზეციურ საქართველოშია და დღემდე ცრემლი არ გაგვშრობია. ისეთი ბიძობა-ძმისშვილობა, როგორიც ამირანს და ტატოს ჰქონდათ, არ მსმენია. ამირანის ნატვრა, რაც მძიმე სენმა დარია ხელი, მხოლოდ ეს იყო: ტატოს ფეხებთან დამმარხეთო.

იმ 28 მაისიდან, სამი კვირის შემდეგ, გაჩერდა ჩემი ამირანის ყოვლისმომცველი სიკეთით სავსე გული. ეს 19 ივნისს მოხდა, ორშაბათ საღამოს.

მთავარი სურვილი შევუსრულე: თავისი საყვარელი ტატოს გვერდით დავკრძალეთ. ამიერიდან მიწაშიც და ზეცაშიც ერთად არიან.

შევუსრულე მეორე თხოვნა: თუ აღსარების თქმა ვერ მოვასწარი, შენ გეტყვი ახლა და შენ მამა სპირიდონს უთხარი. ვენაცვალე მაგას, გაცოცხლებული თორნიკე ერითავიაო. და აქ ისეთი ცოდვები ჩამოთვალა, ბავშვურ ცელქობასაც ვერ გასცდება. როცა მამა სპირიდონ ცქიფურიშვილს ვუთხარი ამის შესახებ, მყისვე აღასრულა გარდაცვლილის თხოვნა.

მესამე სურვილს კი ახლა გისრულებ ჩემო ამირან! გადავწყვიტე წიგნად გამოვცე 1983 წელს დაწერილი „თემურ-ლენგი“ და დიდად არ შევწუხდები ვინმე თუ შემომწყრება, შენი მეზობლების ენით რატომ მეტყველებენ სცენარის პერსონაჟებიო.

უვერტიურა ბაიაზიდთან ერთად

ადრეული მარტის საღამოა. ოდნავ დამრეც ველზე რამდენიმე ასეული კოცონია. ყველაზე დიდი ცეცხლის ირგვლივ წარჩინებული მონღოლები ღრეობენ. ისმის ცხენთა შორი ხვიხვინი, კაცთა და ქალთა არეული ხმები, ბავშვთა ღნავილი. ვიღაც ბახუსშემჯდარი კარავთა შორის დაღერღეტობს და ბაიათებს გაჰკივის. წარჩინებულნი მონღოლნი ანაზდად წამოხტებიან და თითქოს ხმლები შემოჰკრეს ფეხებშიო, მუხლებზე მოწყვეტით ეცემიან. მათ სამი ფეხოსანი უახლოვდებათ. წინ თემური მოდის შესამჩნევი კოჭლობით, ნახევარსაუკუნეს გა-

დაცილებული, საშუალოზე მაღალი, დიდთავა, სქელწარბება, აცვია უბრალო მეომარივით, სარტყელში ძვირფასი სატევარი გაუჩრია. მოდის ისე, თითქოს დიდ წყალობას აფრქვევდეს ქვეშევრდომთ. მის მარჯვნივ, სამიოდე ნაბიჯით უკან მემკვიდრე, შეიხ ნურ ად-დინი მოიჭიმება, თუმც მოძრაობაშიც კი მამისადმი სრული მორჩილება გამოსჭვივის, ვაი თუ დადგენილ მანძილზე ახლოს აღმოვჩნდე მბრძანებელთანო. მამას სრულიადაც არ ჰგავს, დაბალია, ჯმუხი, შავწვერა, ძვირფასი ხალათი აცვია, სარტყელში პატარა ხანჯალი გაურჭვია, აქაც და სხვაგანაც ხშირად იფხანს ქეჩო-კისერს ტილებისგან შეჭმულს. მის მარცხნივ თემურის უახლოესი თანამებრძოლი შაჰ-მალექი დგამს უზარმაზარ ნაბიჯებს, მაგრამ ფრთხილობს, რომ არც მამას დაეწიოს და არც შვილს გაასწროს.მალექი ლამის გოლიათია, უმარილო სახე აქვს, უწვერ-უულვაშო ქლესური ღიმილით. სიცილი ყროყინს უგავს. თავისზე მაღალი წოდების არ უყვარს და დაბალი წოდებისას ვერ იტანს. ომისგან თავისუფალ დროს თემურის სიახლოვეს იარაღის ტარების უფლება არ აქვს. „შეხმატკბილებული“ სამეული დაჩოქილ წარჩინებულებთან მიდის და ოდნავ შემაღლებულ ადგილზე მოირთხამს ფეხს. სხდებიან დამხვდურნიც. ინდო-ტყვეები შარბათიან ფიალებს მოართმევენ. თემური მოსვამს, დაიღრიჯება და ფიალას თავ-პირზე შეალეწავს მსახურს. ინდო-ტყვეები იჩოქებენ.

– ღვინო ძაღლისშვილებო! – იბღავლებს შაჰ-მალექი. მსახურები მსრწაფლ გაუჩინარდებიან. ორი მზარეული შემწვარ ირემს პირდაპირ მბრძანებლის წინ ჭრის და საუკეთესო ნაჭრებს აწვდიან. ისიც ხარბად თქვლეფს და დანარჩენებიც, პირველყოფილი მადით დააცხრებიან ნანადირევს. ინდო-ტყვეებს ხელისკანკალით მოაქვთ ღვინო ქართული ორნამენტიანი ჭურჭლით და ყველა მოწყურებული საქონელივით ეწაფება ბახუსს. თემური გაქონილ ლაშებს სახელოთი იწმენდს და ღეჭვით ამბობს: – ეს ირემი ალბათ ჩემსავით კოჭლი თუ იყო, რაკი გაქცევა ვეღარ მოასწრო, – პირველად თავად ხარხარებს, მერე ნურ ად-დინი აჰყვება, შაჰ-მალექიც აყროყინდება და სხვა

წარჩინებულნიც იცინიან მბრძანებლის დასანახად.

– ალბათ სამფეხა ჩემო ბატონო, თორემ სირბილს ფეხი სიკოჭლე რომ ვერ აფერხებს, მგონი ბევრჯერ დაგარწმუნეს შენ ქართველებმა! – ეს დაცინვა მასხარამ გამოსძახა, რომელიც ორ ვირზე გადადებულ რკინის გალიას მოუძღვებოდა. გალიაში, თურქეთის ყოფილი სულთანი და ამჟამად თემურის ტყვე, ბაიაზიდ „ილდირიმი“ გამოჭიმულა, სასიამოვნო გარეგნობის ახმახი, ცალთვალახვეული კაცი, რომელსაც ნერვულად უთრთოდა უკვე კუზ-შეპარული სხეული. გალია ზედ მბრძანებლის წინ ჩამოდგეს. მასხარა საშუალო ტანის, მსუქანი, ანციგამოხედვა აქვს, ქოსაა, ხმა არა-მამაკაცური, დაწმენდილი. ისეა შემოსილი, თითქოს თემურის ყველა დაპყრობილ ხალხს თითო ქსოვილის ნაჭერი წაგლიჯაო. ფარშევანგივითაა აჭრელებული. მბრძანებელი გაცოფებულია მასხარას შემოძახებით. მისი ქვეშევრდომნი შიშს დაუზაფრავთ.

– ბევრჯერ გიბრძანეს უტვინო ყბედო, არ გაგვახსენო ძველი მარცხი და გამწარება! – შეუბღვირა ნურ ად-დინმა მასხარას.

თემურმა შვილს ზიზღით გახედა: – რა მარცხზე და რა სიმწარეზე ბოდავ ჩერჩეტო! საქართველოდან გამარჯვებულ-გამდიდრებული ვბრუნდებით მუდამ!

– ალლაჰ! მართალია! – ღრიალებს ყველა. მასხარა კი თემურთან ახლოს მოიკეცება და იქედნურად ეტყვის: – ვეჭვობ ქართველნიც ეგრე ფიქრობდნენ.

– ფეხებზე მკიდია რას ფიქრობს მტერი. გასულ წელს სრული მორჩილება გამომიცხადა, – ამბობს თემური, – აი, ახლაც მოეთრევა მაგათი მეფე და თავად ნახავ მის ხოხვა-ფორთხვას.

– ნეტავ ამით რას ისარგებლებ? – უკვირს მასხარას, – ერთ დროს ბაგრატი, იმის მამა ტყვედაც ჩაგბარდათ, ყოვლად ძლიერი ალლაჰიც კი აღიარა თავის ბატონად, მაგრამ მაჰმადის მისი ბაგით ქება-დიდება, თორმეტი ათას ვაჟკაცის თავად დაგიჯდა სწორედ გიორგის დიდი „წყალობით“.

ნურ ად-დინი გარისხებული წამოუხტა მასხარას: – რამდენს ლაყბობ შე ძაღლისშვილო!

თემურმა ალმაცერად გახედა ვაჟს და „დამშვიდებული“ ადგილზე დასვა. თავად კი წყნარად განაცხადა: – ახლა სხვა დროა. უკვე ირწმუნა ჩემი ძალა. კარგად იცის ფრთებს დაამტვრევს ქარიშხლის შუღლი... და ამ დროს გალიიდან ბაიაზიდმა გადმოსძახათ: რაღაც არ მჯერა შენი სიტყვების. ქართველებს შენ ვერას დააკლებ.

თემური ხარხარებს: – შენ რას მირჩევ დიდო სულთანო, ანგორის ლომო? ბაიაზიდი გამწარდა და გესლიანად მიუგო: – რა მაქვს სათქმელი? ჩემმა სიტყვამ ძალა დაკარგა. ცოტა ხნის წინ თავად გახლდით შენზე ძლიერი და შენისთანა მახინჯები მასხარაობდნენ ჩემს სასახლეში!

სიჩუმე ჩამოვარდა. მონღოლებმა თავები დახარეს. არავინ იცის როგორი იქნება მბრძანებლის რისხვა, რომელიც გახეევებული ზის.მასხარა თაგვის სოროს ეძებს. ანაზდად თემური ხმამაღლა გაიცინებს და ხორცს ისე მაგრად გაჰკრავს კბილს, რომ ხელში მხოლოდ ძვალი შერჩება: – ჭკუასუსტო, – მიმართავს ბაიაზიდს, – ჩემისთანები ათასწლეულში მხოლოდ ერთხელ იბადებიან. შენ კი შენი დრო გაგეპარა ჩემი წყალობით და ახლა მე ვარ შენი ბატონი.

– ერთი შეხედეთ, – იჭაჭება შაჰ-მალექი და ბაიაზიდს აშვერს თითს, – ახლა ეს ლეში მაიმუნების სულთნის ვეზირად თუ გამოდგება, თანაც საწყალი, დატყვევებული მაიმუნების.

– საკუთარ თავზე ლაპარაკობს ალბათ ეს კაცი, – ხითხითებს მასხარა. თემური კი ხელში შერჩენილ ძვალს შეუგდებს გალიაში ბაიაზიდს და ტაშისკვრით შეუძახებს: – აჰა ეს ძვალი, ჩახეთქე და გაეთამაშე, ჩახეთქე-მეთქი, ნუ ინაზები! ბაიაზიდმა ძვალი აიღო და მონღოლებს მიაშვირა:-ხორცით შენს ერთგულ ძაღლებს უმასპინძლდები... თემურმა გააწყვეტინა: – თითქოს შენც ჩემი ერთგული გახდი და იმასაც, რაც მაკლია, შენი აქ ყოფნით მსწრაფლ მიქარვებ. როცა შენ გხედავ, თავი ულამაზეს მზეჭაბუკად მიმაჩნია!

– როგორ არა, მზეჭაბუკად. შეხედეთ ერთი ამ ორ მაიმახს სულით და ხორცით, – ჩაილაპარაკა მასხარამ და უკვე საკმაოდ

ნასვამ თემურს, ქლესური ღიმილით ჰკითხა: – მბრძანებელო, ერთი მიბრძანე, ადრე იყავი ბედნიერი, სრული ტანმრთელი თუ დღეს, როცა ქვეყნიერება გართხმულა შენი მოკლე ფეხის ქვეშ?

თემური ცოტა გაბრაზდა: – მოთმინებიდან ვერ გამომიყვან. სიკვდილამდე ვერ დაივიწყებ, რად დაგიჯდა ჩემი სიკოჭლე!

პასუხმა მასხარა დაადუმა. თვალებზე ხელები აიფარა და ის დრო გაუცოცხლდა, როცა იგი განთქმული ყაჩაღი იყო. დიდი რაზმით დათარეშობდა ვრცელ საძოვრებზე და ძარცვავდა ყველა მოგზაურს – დიდვაჭრებსა თუ ღარიბ ბედუინთ. მერმე თემურის რაზმს შეეჩეხა, ცხარე ბრძოლაში მომავალმა კოჭლმა ეშმაკმა იმარჯვა ბოლოს, თავად პირისპირ შეერკინა ყაჩაღთა ბელადს, მართალია, ორი თითი მიათესა მარჯვენა ხელის და დაკოჭლდა იქ ნაწვევნი ღრმა ჭრილობებით, მაგრამ დამღუპველს ო, რა მწარედ გადაუხადა: ტყვედჩაგდებული ჯერ საჭურისად გადააქცია, მერე მასხარად დაიყენა. მოგონებებმა დანასავით გაუარა და დაჟინებით მიაშტერდა დამღუპველს და გაისმა კიდეც ბაიაზიდის გამყინავი ყვირილი: – გამიშვი ჩქარა სულთახმხუთავო!

– მგონი ჭკუაზე შეცდა საწყალი, – გაეცინა თემურს.

– აბა ჩვენს ხელში რა მოუვა? – უკვირს მასხარას, – ჩვენ ხომ სოლომონ ბრძენსაც ისე ავრევდით, რომ თვით სულამითს ბილწ მარიდად მოვაჩვენებდით.

ბაიაზიდი დაფიქრდა და პათეტიკურად თქვა: – ხშირად მინახავს დამარცხებულებს როგორ აშთობენ ნაირ-ნაირი სასჯელებით: ზოგს კატასავით ჩამოჰკიდებენ; ზოგს რამდენიმე ნაჭრად გაჭრიან; უფრო მამაცებს კი ერგებათ დიდი პატივი და მოწყალება, გამარჯვებულთა მეთაური თავად აჰკაფავს ელვარე ხმალით, როგორც თავის ტოლს. გალია კი... ნუ მმარხავ ცოცხლად, გალია ცოცხალ სამარედ მექცა.

– რომ გაგიშვას ნეტავ სად წახვალ? ვიღას სჭირდება აყირავებული ნავსი ცალთვალა? – იკითხა ნურ ად-დინმა. – აქ კი კარგად ხარ, – დაამშვიდა შაჰ-მალექმა, – არ გცივა და არ გწყუ-

რია, თანაც ყოველდღე თემურს უყურებ, სხვა რაღა გინდა? მასხარამ თავი გააქნია და ჩაიბურტყუნა: – სიკვდილის ანგელოსმა უყუროს ამ მაიმახებს. ეს კარავი ხეიბართა სავანედ იქცა. ბაიაზიდ, გეყო ყბედობა, სად გაქრა შენი გამბედაობა და ნაქები გმირული სული?

– მე თუ მაწამებთ ჩემს ხალხს რას ერჩით? როგორ შეიქონ თავი ოსმალთა, როცა ყველა უჯიშო წამოაყვედრებს, თქვენი სულთანი თემურს ეჯდა გალიაშიო?

– ტყუილად ბღავი, გარდასულ ელვას მბრძანებელი არც კი შეამჩნევს, – ხელი ჩაიქნია მასხარამ და უცებ თემური წამოხტა ღრიალით: – ოჰ, მოათრიეთ პენჯაბელი გველის წიწილი?!

მის წინ ორი მეომარი აჩოქებს ინდურ ტანსაცმლიან შუა ხნის, საშუალო ტანის, შავგვრემან კაცს. – იმართლე თავი, – შეღმუვლებს თემური.

– შენს წინაშე? – დაცინვით ეკითხება ნაწამები.

თემური სატევარს იშიშვლებს და აღმართავს: – ეგ არის შენი ბოლო სიტყვა? იქნებ რამე სათხოვარი გაქვს?

პენჯაბელმა თვალი თვალში გაუყარა და ამაყად უთხრა: – ღალატით და სიცრუით ჩამიგდე ტყვედ. თუ ოდნავი შეგრჩა კაცობის მე ერთი და თქვენ თუნდაც ათნი. გამომყევი ხმალში შენს სარდლებთან ერთად. აი, ეს მაქვს სათქმელი შენთან.

– დავამთავრე შენთან ღლაბუცი. ილოცე და...

– წყალი მაინც დაალევინეთ! – ყვირის მასხარა და ღვინით სავსე ფიალით წინ გადაუდგება. თემური თავს დაუქნევს. მასხარა სასმისს ერთ-ერთ მონღოლ მებრძოლს მიაწვდის. ის კი პირთან მიუტანს ტყვეს, რომელიც დასალევად კისერს წაიგრძელებს, მაგრამ მონღოლი ღვინოს სახეში შეასხამს. დამსწრენი ხარხარებენ. თემური სატევარს მოიქნევს და ღვინის შემსხმელს მხარში დაჭრის, თან უბრძანებს: – დაალევინე. ტყვე დალევს, მხრებში გასწორდება, მასხარას ღირსეულად დაუკრავს თავს, მთვარეს გახედავს, მერე თავზე აღმართულ სატევარს გაუსწორებს თვალს და წარმოთქვამს: – ეჰ!!! გვამს გაათრევენ, თემური და მისი ამალა კარვებს მიაშურებს მო-

სასვენებლად. მთვარისა და ცეცხლის შუქი ერთად მიადგება მარტოდ დარჩენილ, გალიაში გამოკეტილ ბაიაზიდს, რომელიც ხშირად იმეორებს: – მომშორდით, მომშორდით, არ მინდა, აღარ მინდა, დავიღალე! – უცებ გახევდება, რადგან მთვარის მკრთალ შუქზე აშკარად გაარჩევს ვეება ჩრდილს, რომელიც თავზე წამოადგება.ბაიაზიდი გალიის კედელს აეკრება.

– ეს შენ ხარ შე უბედურო? – ქალის ხმაა. – ხო, ხო, მე ვარ, თუ... თუმცა...არა, შენ ვის დაეძებ? – ენა დაება ბაიაზიდს. – რამ შეგაშფოთა, მე არას გავნებ, – ქალის ხმა ალერსით აღივსო.

– მაშ რა გინდა?

– ნუთუ ვეღარ მცნობ? – სულ დაუყვავა ხმას ქალმა.

ბაიაზიდი გაგულადდა და ლამის იყვირა: – საფრთხობელავ, რა ნაცნობია ეს ხმა, მაგრამ ძველი და შორეული, როგორც პაპის ნაჩუქარი ელვარე ხმალი, ახლა თემურს რომ არტყია ბანჯგვლიან წელზე!

– უბედურო ბაიაზიდ, – გაბრაზდა ჩრდილი, – ეს რა დღეში ჩაუგდიხარ ბოროტ საწუთროს, თუმცა ბედი როდი არის აქ დამნაშავე. როგორ შეგემთხვა ასეთი მარცხი ერთ დროს გმირთაგმირს?

ბაიაზიდი მუხლებზე დაეცა და ხელები აღმართა: – დედაჩემი ყოფილა თურმე! აჰა, დედა, მიდი გამლანძღე, მაფურთხე და მწყევლე ხმამაღლა, ოღონდ ერთსა გთხოვ, არც მანუგეშო და გამხნევების არ დაძრა კრინტიც! – მოსაფერებლად როდი მოვსულვარ! – სიმტკიცე შეერია ქალის ხმას, – და თუ ჩემს ბაგეთ ამოცდა ორიოდ ტკბილი სიტყვა, იმიტომ მხოლოდ, იმედი და შვილი ხარ ჩემი. და რა არის ჩემს საქციელში და ქმედებაში დასაძრახისი? – ოდნავ გაწყრა მოსული. – ყველაფერს თავი დაანებე დედაჩემო და მიპასუხე, როგორ მოხვედი სუსტი ფეხებით ამ გალიამდე? – ჰკითხა აცრემლებულმა ბაიაზიდმა. – დედის გულისთვის ფეხის სისუსტე რა არის ბიჭო? – მოჩვენება ხარ თუ სინამდვილე? – არავითარი მოჩვენება არ არსებობს სინამდვილის გარეშე შვილო და სინამდვილეს მოჩვენება არად სჭირდება. აქ იმიტომ არ მოვსულვარ, რომ ამ ორ სიტყვას შო-

რის ზღვარი დავდო, – ბრძანა ქალბატონმა.

– მაშ რისთვის მოდი? – აფეთქდა ბაიაზიდი, – კარგად უწყი, მაინცდამაინც არ გიყვარდი. აჰა, ვხვდები. გინდა ჩემი ტყვეობით და საცოდაობით დატკბე თვალთმაქცო? არა, არა. ასეთი დედა არ მჭირდება! ცოტა თუ მაინც გქონია ოდესმე ჩემი სიყვარული და შეგრჩენია მისი ნასახიც, გამეცალე და ნუღარ მტანჯავ ან ის მითხარი, რად შეიწუხე თავი ჩემთვის?

– რახან ჩქარობ გეტყვი ახლავეს: აჰა, ხომ ხედავ, მარჯვენაში, დამჭკნარსა უღონოში ხმალი მიჭირავს, მარცხენა ხელში კი – თითისტარი. ამოირჩიე რომელი გინდა და რომელი გჭირდება უფრო!

– ცარიელ ხმალით რა უნდა შევძლო მარტოკაცმა, თანაც გალიის ხუნდებს პყრობილმა? – მხრები აიჩეჩა ბაიაზიდმა. – ძალაუფლების სიყვარულმა და მოსისხლის სიძულვილმა უნდა აგავსოს ძალით და რწმენით, შეუძლებელი შეგაძლებინოს. სამშობლოს კვლავაც დასჭირდება შენისთანა გმირის მარჯვენა! – გაამხნევა დედამ.

– ამ მარჯვენამ, – მწარედ გაიცინა ბაიაზიდმა, – ეს მარჯვენა შენს საწყალ შვილს აღარ ემორჩილება და ნასუფრალის დასაჭერად თუ გამოდგება.

ჩრდილი კიდევ უფრო გამუქდა და უთხრა: – რატომ ქალად არ დაიბადე. მივდივარ შვილო, რათა უდაბნოს შევჩივლო მე უმწეობა ჩემი გაზრდილის!

და ის ნელა გაშორდა ბაიაზიდს, დაჩოქილს და თვალდახუჭულს. მოღერღეტდა მთვრალი მასხარა. ბაიაზიდი წამოხტება და იყვირებს: – სჯობს ახლავეს გადაწყდეს! ჰეი მასხარავ!

– თვლი, რომ შენი მასხარაც გავხდი?

– თუ ერთ სურვილს შემისრულებ, პატივისცემას არ მოგაკლებ.

მასხარა მიუახლოვდა და სიცილით უთხრა: – რა პატივის მინიჭება შეუძლია გალიაში ჩასმულ ცალთვალას, თანაც განთქმულ ცრუპენტელას და აღთქმის გამტეხს?

ბაიაზიდი საიდუმლო ჯიბიდან ალმასის დიდ ბეჭედს ამოი-

ღებს და ოდნავ მბჟუტავი კოცონის ახლოს დააგდებს: – აიღე, შენია.

– რა ვქნა, ხომ იცი, კარს ვერ გაგიღებ. კიდეც რომ შევძლო, ბანაკიდან ვერ გააღწევ, – კისრის ქექვით პასუხობს შეფიქრიანებული მასხარა.

– მაგას არ გთხოვ, თოკი მიშოვე ან ხანჯალი.

– ეგ რა წამოგცდა? სიცოცხლე თუნდაც გალიაში, ტკბილია მაინც.

– ჩემთვის არა, მომიტანე, გთხოვ, როგორც მონა.

– არა, არა, ვერ ვიზამ მაგას.

– ჩემო კეთილო, ნუთუ არ იცი, რომ გალიაში ბულბულიც კვდება.

მასხარა ხარხარებს: – ერთი ამ ყვავს დამიხედეთ, თანაც ცალთვალას, ბულბულს რომ ადრის გამხმარ ცხენისთავს!

– ეგ ალმასი გამომტყუე და რაღას მომცემ? – თქვა მწარე ღიმილით ტყვემ.

მასხარამ ბეჭედი მხოლოდ ახლა აიღო და ბაიაზიდს დაუბრუნა:-ისე მოგცემ, როგორც მათხოვარს. აჰა, ინდური საწამლავი, შენისთანა ბატონებისთვის გამოგონილი. – და ბაიაზიდს პატარა თიხის ნაკეთობას აწვდის, რომელიც უბიდან ამოიღო და ქურდული ნაბიჯებით კარვისკენ მიდის. ბაიაზიდი გალიის კუთხეში ზის დაფიქრებული. ვინ იცის, იქნებ გარდასულ ბრწყინვალებაზე ფიქრობს, იმ დროზე, როცა ელვა-ილდირიმი შეარქვეს და რომ არა ეს საშინელი კოჭლი, რომელიც ბედისწერად ექცა, კიდევ რამდენ ტომს და სახელმწიფოს შემუსრავდა... თანდათან თენდება ნისლიანი, მრუმე დღე. თემური ხმაურიანი ზმორებით და უზრდელი ბოყინით გამოდის კარვიდან და ჩათვლემილ მცველებს ანგელოზებს დაუფრთხობს. ბაიაზიდი საწამლავს სვამს და იღრიალებს: – ჰოი, თემურ, წყეულიმც იყავ, კაცთა შორის უკანასკნელო! არ შეგისრულდეს შენ არც-ერთი ნატვრა-სურვილი. ძლიერი იყო და მაინც შენზე მასხარაობდნენ. გულადი იყო და მაინც ყველას მხდალი ეგონო. არ გიერთგულოს შენ არც შვილმა, არც მეგობარმა და გაგიჭირდეს

სიკვდილი ისე, რომ ამგვარ შხამს და საშუალებას დიდხანს ეძებდე! – და ძირს იშხლართება. მის ღრიალზე ნამძინარევი მონღოლები მოცვივდნენ. პირდაღებული თემური მასხარას ეკითხება: – რა მოუვიდა ამ ცალთვალას? ხომ არ გაცოფდა? – რა ბრძანე? – შიშით იკითხავს მასხარა და ჩუმად იტყვის: – ის დაემართა, რაც მამაშენს – თარაღაის. – თემური ერთხანს უყურებს გაშოტილ ბაიაზიდს და გალიის კარს აღებს, თან მასხარას თავით ანიშნებს შიგ შესვლას. მასხარა თამამად შედის გალიაში. ბაიაზიდი შეინძრევა და უცებ წამოხტება. დაფეთებული მასხარა ჩაიკეცა და თვალები დახუჭა ბუტბუტით: – არა არს ღმერთი ალლაჰისა გარდა. მუჰამედი მოციქულია მისი. ალლაჰიმც აკურთხებს მას და გაუმარჯვებს! – ბაიაზიდი კი იღებს საწამლავის ცარიელ თიხის სათავსოს და მრისხანედ უყურებს სავსებით მშვიდად მდგარ თემურს, რომელიც ეკითხება: – ეგ რა გიპყრია ცალთვალავ ხელში? – ბაიაზიდს კრუნჩხვამ უწია, მაგრამ გამაგრდა და უპასუხა: – უებარი საშუალება, ჩემთვის და შენთვის გამოგონილი. – შენ ვინღა მოგცა? – იმ დიდმა ბეიმ, ანატოლიელ თანამოძმეთ ჩემს წინააღმდეგ რომ გამოუძღვა ანგორასთან და გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბოლო შენს სასარგებლოდ. ახლა კი შენმა დუმან ნოინმა, – და წაიქცა კიდეც ბაიაზიდი და სული განუტევა.

თემური გალიაში შევიდა, წამლის ჭურჭელს დაყნოსა, ალმასის ბეჭედი აიღო, უბეში იკრა, მერე მასხარა პანღურით გამოაგდო გალიიდან, თავადაც შლეგივით გამოვარდა და ისე იბღავლა, ირგვლივ ყველაფერი გაყუჩდა: – დუმან-ნოინო, ამ ვერაგ ძაღლთან ერთად შეთქმულებას მიწყობდი ალბათ, მაგრამ ბოლოს ვეღარ გაბედე და მოჰკალი თანამზრახველი, რომელიც წარსულ ღალატს გაგიხსენებდა და გაგჭრიდა ოთხ ნაწილად, როგორც ჩვეოდა. მოეთრიე, წყეულო ტურავ!

დუმან-ნოინი მაღალი, შეუფერებლად მოკლეკისერა, ცოტა მსუქანი კაცი ფეხებთან განერთხა მბრძანებელს, რომელმაც სატევარი დააბჯინა ყელზე. – შანი ალა მბრძანებელო, შანი ალა! – ტყუილად მსჯი შენი ფეხის მტვერს, – ახიხინდა დუმან-ნოინი.

– ტყუილად? აბა დალიე დარჩენილი საწამლავი. – და პირთან მიუტანა ჭურჭელი. – არა, არ მინდა, არა, არა! – ხელებს ასავსავებს. – უხ შე გველო, – თემურმა ყელი გამოჭრა მას. მახვილი გააწმინდა ზედ და ზურგი აქცია.

– იქნებ მართლაც ეგ არ ყოფილა! – კუშტი სახით უთხრა ნურ ად-დინმა.

– ოჰ, შე უტვინოვ, ამას ხედავ? – ჰკითხა გაბრაზებულმა შვილს და ალმასი აჩვენა, – მაგისი იყო, ბაიაზიდის! რა უაზროდ მიყურებ? არ მეგულება მე თქვენს შორის არც-ერთი კაცი, ვინც საწამლავს მუქთად მისცემდა და ამ ალმასს არ გამოართმევდა. გაიგე ახლა?

გმირის გამოჩენა

ზაფხულის ცხელი დილაა. დიდ გაუთიბავ ველზე საქონლის ჯოგი გაშლილა. პატარა ბიჭებს ადრიდანვე ლახტი გაუჩაღებიათ. ქვემოთ სოფელი მოჩანს. ველის ბოლოში, დამრეც კალთაზე, კლდის ყვითელ ბოლოებს ანკარა მდინარე ლოკავს, რომელშიც წელსზემოთ შიშველი თვრამეტიოდე წლის ბიჭი დგას და წვეტიანი საგნით, რომელიც საჭრეთელს წააგავს, კლდეზე გატაცებით კვეთს, ოღონდ ისე დაიაზებით, თითქოს ეფერებაო. მაღალია, ოდნავ წაბლისფერში გადასული ხვეული ქოჩორი აქვს, ლამაზი, ოდნავ ასკეტური სახე.

– ტატოო! – ისმის ხმა ზემოდან. არ პასუხობს. უცებ მის უკან ქვა მოადენს ტყაპანს წყალში და გახურებულ ზურგზე წვეთები აბრწყინდება. ბიჭი ასწევს თავს და გაიხედავს. ფერდობზე შველივით გოგო დგას, შავი დალალები მხრებზე გადმოუყრია. ბიჭის კბილა იქნება. ისევ დაუძახებს. ტატო ველურივით აირბენს ფერდობს, მაგრამ გოგოს მოვარდისფრო კაბა უკვე ველის ბოლოში ჩანს. გამოეკიდება უფრო სწრაფად და ისიც სიცილ-კისკისით სოფლისკენ მიმავალ ბილიკს მიაშურებს. ბიჭი მალე ეწევა და მაღალ ბალახებში ეცემიან. ბიჭი გატაცებით

კოცნის: „ტატო, ჩემი ტატო,“ – ნაზად კვნესის გოგო. ბიჭი გულაღმა წვება. „რად მეძახდი სულო?“ – ეკითხება გოგოს. „მინდოდა და დაგიძახე,“ – თითქოს ებუტება გოგო. ტატო ისევ მოხვევს ხელს და მის მკერდზე დამხობილს თმებს უკოცნის. გოგო იშორებს. „მებუტები?“ – ნაწყენი ხმით კითხულობს ბიჭი. გოგოს უცებ ცრემლები მოადგა. „მოხდა რამე?“ „მეფის მალემსრბოლელმა ჩამოიარა,“ – ეუბნება გოგო და ცრემლს იწმენდს. „მერე?“ „ტატოს კონსტანტინე ბატონიშვილი იხმობსო!“

– მერე მაგან შეგაშფოთა შე დოყლაპია? – სიყვარულით ჰკითხა ბიჭმა.

– ტატო ბატონიშვილს თემურთან უნდა გაჰყვესო. ხვალ დილითვე გავემგზავრებითო,

– ალბათ საჭიდაოდ მივყავარ. შარშანდელი მარცხი ვერ მოუნელებიათ, – გაეცინა ბიჭს.

– გეგონოს, – წარბები შეჰყარა გოგომ, – მამასახლისმა ომი იქნებაო.

– მიუქარავს, – გაბრაზდა ტატო, – ომის დროს გიორგი მეფე მოსისხლეს ძმას არ აახლებს.

– არ ვიცი, მაგრამ სოფელი იარაღს ისხამს.

– ხო, სიფრთხილე კი გვმართებს. შენ ერთი ის მიბრძანე, თავადის ვაჟი რას დაწანწალებს შენი სახლის ახლოს?

– ვითომ ვერ ხვდები რისთვისაც დაწანწალებს კვერცხიპარია ძაღლივით. იქნებ კისერიც მოიტეხოს, – გაიცინა გოგომ, – მაგრამ ჩვენ რა გვეშველება?

– უსაშველო რა გვჭირს? გავყვები ბატონიშვილს, დავბრუნდები და შემოდგომაზე ჯვარს დავიწერთ, – გაიცინა ბიჭმა, – ეგ ცრემლი აღარ დამანახო... თან ავგაროზი მოიხსნა და გოგოს მოწიწებით ჩამოჰკიდა ყელზე: – წავედი მზისო! – შესძახა და გაენთო. მწყემს ბიჭებს ქამარი მოსტაცა და უსაბელო, შეუკაზმავ ცხენს მოახტა, ფერდებზე ქუსლები შემოსცხო და გააჭენა. ეულად დარჩენილი მზისოს თვალები შიშთან ერთად აღტაცებას გამოხატავს. „წამიყვანე,“ – ჩურჩულებენ ტუჩები და უძირო თვალები სასოებას გამოხატავენ. ტატო კი ნელნელა სცდება

ჰორიზონტს და თითქოს ღრუბლებში შედის ცხენზე ამხედრებული არაამქვეყნიური მხედარივით. ზუსტად ამ დროს, თემური ლამაზ ხათუნთან ნებივრობს. კარავში მიყრილ ბალიშებზე მოფანტულა ავხორცთა სამოსი. თემური ქალს მოსწყდა და გულაღმა დაეგდო. ქალი მიეხუტა. „მომშორდი!“ – უყვირა და ქალი გაიძურწა. კოჭლმა კი ხმამაღლა განაგრძო ფიქრი: „დახედე იმის კადნიერებას.შეუძლოდაა. ტყუილია. იქნებ საკუთარ ტყავს უფრთხილდება, თუმც ასეთი რამ მაგ ძაღლისშვილებს წესად როდი აქვთ. ოხ, როგორ ვქნა, რომ ხელში ჩავიგდო, მამამისის ძველი ცოდვებიც რომ ვაზღვევინო.“ ამ დროს მასხარა შემოღერღეტდა: „სამახარობლო რა მერგება შენგან თეიმურ?“ – გაწელა ბოლოს „ამოშაქრე ლოთო,“ – თავი წამოსწია თემურმა. „სამახარობლო-მეთქი!“ – იყვირა მასხარამ. „ორასი მათრახი!“ – სრული სერიოზულობით თქვა მბრძანებელმა. „შენი უხვი გულმოწყალების თვით აბ ნუვასს შეშურდებოდა,“ – დასცინა მასხარამ და მიახალა: „ქართველნი გეახლნენ დიდი ძღვენით, მუხლის მოდრეკით და შენს ნახვას ეშურებიან!“ თემური წამოხტა და ბალიშებზე ფალავანივით გაიარა. „ნუთუ თავად გიორგი მეფემ იკადრა მოსვლა. ოო, ამ ჟამს მოუთმენლად ველოდი დიდხანს. მაშ, ახლა ზღოს ყველა ცოდვა. რას დარჭობილხარ, უბრძანე, რომ აქ მეახლოს!“ მასხარა გადის, თემური ხმამაღლა ფიქრობს: „შიშს მართლაც დიდი თვალები ჰქონია. როგორც კი მის სამეფოს მოვადექი, მაშინვე მეახლა.“ მასხარასთან ერთად შემოვიდა ოცდაათიოდე წლის მაღალი, მოხდენილი ქართველი ვაჟკაცი, მეფური სამოსით და თავის დახრით მიესალმა. “ძმა მაწვია, თავად არ მიკადრა,“ – გაიფიქრა სახტად დარჩენილმა მბრძანებელმა. მასხარა მიუახლოვდა და უჩურჩულა: “რა ლამაზია ეს წყეული. ქალები ალბათ გიჟდებიან მის დანახვაზე.“ წარბშეკრულმა თემურმა ხმადაბლა დაუღრინა: „რაც კაცს ქალისგან განასხვავებს მაინც აღარ გაქვს. გირჩევნია ჩუმად ეგდო.“ და ისევ კონსტანტინეს შეხედა. ისინი თვალებით სწონიან ერთურთს და უბღვერენ. პირველად ქართველმა სძლია სიბრაზეს: „მივესალმები ჩვენი სამეფოს დიდ მეგობარს, მძლეთამძლე თემურს!“ მასხარა ბალი-

შებზე დაეგდო თემურის უკან და ჩაიცინა: „საცინლად გვიგდებს მგონი ეს კაცი.“ მონღოლმა ნაბიჯი გადადგა წინ, კონსტანტინეს შუბლზე აკოცა და მიუგო: „სალამს გიბრუნებს შენი დიდი მოყვარული და მეგობარი.“ მერე ხელი გამოსდო, წამოიყვანა და გვერდით მოისვა, თან მოფერებითი წყენით ჰკითხა: „თავად მეფე რად არ მობრძანდა? აკი, ვთხოვე. ხომ კარგად უწყის, ასეთი რამ ჩვევად არ მაქვს. შენი სტუმრობით გავბედნიერდი, თუმც მეფის ხილვას სულ სხვა ფასი აქვს.“ კონსტანტინემ თავი ჩაღუნა და უპასუხა: „შენზე უმჯობესს ვის იხილავდა ჩემი მეფე, მაგრამ სენმა დარია ხელი, შეუძლოდ გახლავთ და მე წარმომგზავნა შენთან ნადიმად.“ ახლა თემური ჩაფიქრდა და მერე უცებ მოსხიპა: „ბაგრატის ძეო, რაკი მოცლით ბრძანებულხარ და მობრძანდი აქ სანადიმოდ, ჩემთან დარჩები ზუსტად იმ დროით, ვიდრე თავად არ მომწყინდება შენი სტუმრობა!“ „ყოველი შენი ბრძანების აღსრულება მე დამავალა ჩემმა ღვიძლმა ძმამ, ჩემმა მეფემ,“ – მორჩილად უპასუხა ქართველმა. „ეგ მართლა თქვი, თუ მომეჩვენა აწ დაბერებულს?“ – დადარაჯებული ხმით იკითხა თემურმა. ქართველმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. თემურმა მხარზე ხელი დაადო და დაშაქრული ხმით შეაპარა: „მე რომ გიბრძანო, ახლა წადი ძმა მოჰკალი, ხოლო ტახტზე თავად შენ დაგსვამ? რას იზამ?“ კონსტანტინე არც განძრეულა, ოღონდ მოსაუბრე მზერით გაბურღა და გადაუგდო: „როცა მეფემ გამომისტუმრა, არც უფიქრია, თუ ასეთ ბრიყვულ ბრძანებას მოვისმენდი.“ თემური წამოიჭრა და კონსტანტინეც წამოხტა. „კმარა, – იბღავლა მონღოლმა, – აბა, სტუმარი მოასვენეთ! ოჰ, რა რეგვენი ბრძანებულხარ ბატონიშვილო! თუ არ იცოდი, აი, ახლა გაიგონე და დაიმახსოვრე, რომ მე, თემური, შენი ხალხის მეუფეც ვარ!“ „კმარა ხუმრობა! – ხმას აუწია ქართველმაც, – ვერ მოესწრები ჩვენს დაჩოქებას. არ დაივიწყო, რომ ბრძოლის ველზე, ერთი ქართველი მუდამ სჯაბნიდა ათამდე მონღოლს!“ „ძალა ჩვენი ყოველთვის მეტი იყო, ვიდრე ქართველთა!“ „რატომ უფალი არ გაიცინებს! თავად არ გჯერა მაგ ზღაპარის. ძალით კი არა, სიმრავლით გვჯობდით.“

ამ დროს შემოვიდა ჩამოკონკილი, გამხდარი, უსაშველოდ მაღალი, საცოდავი სახის მემატიანე, რომელიც ვეება წიგნს მოათრევდა. მასხარამ ტაში დაუკრა და განაცხადა: „აი, ჩემმა სასურველმა მეგობარმაც იკადრა მოსვლა. ერთი ხანია ღვინოს უჯდა და არ იქნა მაგის გაძღომა, – აჰა, დატკბით“.

თემურმა შეუბღვირა და კონსტანტინეს შესძახა; „ლაყბობაში აბა ქართველთ ვინ შეგედრებათ. კვეხნა თქვენი მოგონილია, ქეიფი და დროსტარება, თან ერთმანეთის მოჩვენებითი ქება-დიდება. აი, საქმეც რომ გიყვარდეთ ეგრე ძლიერად, მაშინ წინ ვინღა დაგიდგებოდათ?“

კონსტანტინე: – მართალს ამბობ, თუმცა ახლაც ვერავინ გვჯობნის. თუმცა სიმცირე გვიშლის ხელს მუდამ. ათჯერ მეტი ანდა თქვენდენი რიცხვმრავალი რომ ვყოფილიყავთ, აბა დათვალე ვინ ვიქნებოდით: ათი ვახტანგ გორგასალი, ათი დავითი, ათი შოთა რუსთაველი, ათჯერ მეტი სიგრძე საზღვრების.

თემური (ტაშს უკრავს): – აღმაფრთოვანე! რა კარგად აწყობ სიტყვებს ერთმანეთს. ყური დაუგდეთ (მასხარას და მემატიანეს), თქვენც ისწავლოთ ეგებ ბრიყვებო. (კონსტანტინეს) მით უარესი შენთვის ძმობილო. აბა მცველებო(შემოდიან), წაიყვანეთ ეს ღორის ტილი, დაე ამან დაიკავოს თურქის ადგილი იმ გალიაში. ეგებ ახლა მაინც დარწმუნდეს, ვისთან აქვს საქმე!

ქართველი გაჰყავთ. მასხარა კი თემურს ეუბნება: „ისე გქიშპობდა, როგორც თავის ტოლს.“ თემური დაცინვით მოხედავს: “ბედი ჩვენი, რომ ზარმაცები არიან და ერთმანეთს შუღლობენ ხშირად, თორემ მაგათ რომ ერთი პირი და თანადგომა მისცა, ვაი ჩემს მტერს და ჩემს დამაწყევარს, ახლა ბუნდღაც არ იქნებოდა ჩემ მეომართა. ახლა წადი და ჩემს ვაჟს მიხმე.“ შემოდის ნურ ად-დინი. „ყურს გვიგდებდი?“ გაოცდა მბრძანებელი: „მსწრაფლ შეკრიბე მთელი დუმანი, თან გაიყოლე ინდო ტყვეები.“ „ნუთუ ბრძოლას მიბრძანებს მამა,“-გაეხარდა შვილს. „ბრიყვო, ჩერჩეტო! აქ მბრძანებელი უბრძანებს მონას, მსწრაფლ გადალახოს მრავალი ხევი, მწიფე ყანები წაართვას ქართველთ და მთელი პური აქ მოზიდოს, ხოლო რასაც ვერ

მოერევით, ცეცხლს მიეცით!“ ნურ ად-დინმა საზეიმო ხმით წარმოთქვა: – ჩემო ბატონო. შენი ბრძანება შევასრულე უკითხავად.პური ავიღე და აქ მოგართვი.

თემური: – საკვირველია, ხომ არ დავბერდი? (შვილს ყური აუწია შექების ნიშნად) ალაჰს ვფიცავ, ჩემო შვილო, შენ მამაზე შორს იხედები და ჩემს შემდეგ შენ გახდები მემკვიდრე ჩემი!

ნურ ად-დინმა მამას თვალებში შეხედა და გაიფიქრა: „გამითენდება ნეტავ ოდესმე ეგ ბედნიერი დილა წყალობის? მხოლოდ მაშინ, როცა შენ ჩაძაღლდები.“

თემური კი გონებაში ასე სჯის: „მე შენ გიჩვენებ ჩემი ნების წინ გადარბენას.თუ არ განანო, მე თემური აღარ მერქვას.“ ხმამაღლა კი: – ოჰ, ისკანდერის შთამომავალო! ქართველთა მიერ მორთმეული მდიდრული ძღვენი გაანადგურეთ. თანაც ისე გაკეთეთ, კონსტანტინემ თავად უყუროს!

ნურ ად-დინი: – ოო, როგორ მძულს ეგ ვაჟბატონი. რაც აქ მოეთრა, ცოლებს ჩემი დანახვაც არ სურთ.

თემური: ეგ არაფერი. ყველა ქალს მაინც უშნო მამაცი ურჩევნია ლამაზ მხდალს. შენ ის ეცადე, რომ ვაჟკაცობა შენი გახდეს თვალშისაცემი. მალე დავლაშქრავთ ბირთვისის ციხეს და დაგიდგება სანატრელი ჟამი გამოცდის. დამაკვირდი. ვარდი და მთვარე როდი გადადის ჩემს პირისახეს, მაგრამ მაჩვენე ერთი ქალიც, ვინც დამინუნებს (და დინჯად გავიდა კარვიდან).

ნურ ად-დინმა მასხარას და მემატიანეს გახედა: – ახლა მე ვიცი და ჩემმა მკლავმა. ვნახოთ პირველი ვინ შევარდება ციხეში ჩვენგან, მაგრამ მტერსაც უნდა ვუფრთხილდე. იქნებ ვინმე გიჟმა ქართველმა... არა, არა. მერე ამხელა ქვეყნის პატრონად ვინ უნდა დარჩეს? ის ნაბიჭვარი ჩემი ძმები თუ მშიშარა ჩემი ბიძები?

შემოვიდა ყადი შეიარაღებულ მცველებთან ერთად და მიმართა: – შეიხ ნურ ად-დინ. დიდმა თემურმა გვიბრძანა, მოგათალოთ მარჯვენა ყური, რათა მუდამ დაიმახსოვრო ჭეშმარიტება, რომ თემურის ბრძანებამდე არ გააკეთო არა საქმე, თუნდაც კეთილი მამისათვის და მის ქვეყნისთვის!

გაძალიანებულ შეიხს მცველები აჩოქებენ და ყურს აჭრიან.

დასჯილი ტირილით ამბობს: – ლა, ილლ ილ ალლა! ამაოა ჩემი ფიქრი და თავგანწირვა. ამ ვეება სახელმწიფოში თემურის გარდა, კატასაც კი არ აქვს უფლება კუდის გაქნევის... და ბალიშებზე გულწასული ეცემა. მასხარა დასჯილს დაჰყურებს, მერე მემატიანეს მიუბრუნდება:-აფსუს მწერალო, ახალგაზრდებს სისხლი უდუღთ. დღეს აქ ორი დაისაჯა მხოლოდ იმიტომ, რომ ის თქვეს და ის გააკეთეს, რასაც ფიქრობდნენ. ამას ისედაც მიხედავენ.გავალ, იქნება მეორე გადავარჩინო.

გმირი ბირთვისში

ალიონია. ბირთვისის ციხის თავზე ვარსკვლავები შეწითლებულ ღრუბლებს ტოვებენ და ნელ-ნელა ქრებიან.ციხე ასორმოცდაათამდე წყრთის სიმაღლე მთაზე დგას. გარშემო სულ სალი კლდეები აქვს შემორტყმული. მხოლოდ ერთი საცალფეხო ბილიკი უდგება, სადაც კაცი ძნელად მოიკიდებს ფეხს. იარაღში ჩამჯდარი მეციხოვნენი ერთმანეთს ცვლიან. ნელ-ნელა იღვიძებენ სხვა მეომარნიც. ციხისთავი ზაზა თორელი ადრიანად გამოსულა, დარაჯებს შორის დადის ამაყი, ოდნავ გაფითრებული, გუნებაში რაღაცას ანგარიშობს. სხვებიც მოუსვენრად არიან. თორელი საშუალოზე მაღალი, 35 წლის, მოდიდო თავით, ოდნავ შეჭაღარავებული წვერ-ულვაშით და თაფლისფერი თვალებით. მუდამ საომარი ტანსაცმლით და აღჭურვილობით. გალავნის ეზოში პატარა, გაბურძგნული გოგო-ბიჭები გამოიშალნენ. ზაზას წამით სახე გაეხსნა მათ დანახვაზე, მერე ისევ მოიღუშა და ჩაფიქრდა: „ეჰ, ვინ იცის.“ – თქვა ხმამაღლა და ანაზდად წამოდგა. ციხისკენ მომავალი ბილიკი ვიღაც სამოსდაგლეჯილმა ბარბაცით ამოირბინა და მთავარ კართან შედგა. ოთხი მეციხოვნე კისრისტეხით დაეშვა. თორელიც მიჰყვა. მეციხოვნეებმა ლტოლვილი ციმციმ ასწიეს და ციხისთავს წარუდგინეს. ეს გახლავთ ჩვენთვის ცნობილი ტატო. „წყალი,“ – წარმოთქვა და ეცადა მყარად დადგომას. შავსამოსიანმა ქალმა ღვინო გამო-

არბენინა და... სულმოთქმულმა ტატომ ხმა ამოიღო: “მოემზადეთ, მოდიან!“ არავინ განძრეულა. „მოვიდნენ!“ ბრაზით თქვა ვიღაცამ და ტატოს გარშემო შეგროვდნენ. სიტყვა „მოვიდნენ“ ციხის კედლებში დაირხა. ბავშვებიც კი გაიყურსნენ. „ძლივს მოვასწარი. კონსტანტინე ბატონიშვილი დილეგში ჩააგდეს, სამცხის ათაბაგი აწამეს, დანარჩენები – ჩახოცეს. მე, ... მე ვიღაც მონღოლმა გამომაპარა, ცხენიც მომცა. გზად მდევარი მომეწია. ცხენი მომიკლეს. მერე კვალის დასაფარად წყალ-წყალ ვირბინე. მადლობა ღმერთს, მოვასწარი,“ – სვენებით თქვა ტატომ. „მოასვენეთ,“ – ბრძანა თორელმა. შორს ხეობაში, გამოჩნდა მონღოლთა ჯარი, რომელიც ორ ტოტად გაიყო და ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს დაიწყო გაშლა. „ოჰო, ალყას გვარტყამენ, – თქვა თორელმა, რომელიც ზემოდან დაჰყურებდა მტრების გადაადგილებას, – ტყუილად ფახიფუხობენ. ათი ამდენიც რომ იყვნენ, ვერაფერს დაგვაკლებენ.“ ამ დროს ორი ცხენოსანი გამოეყო მონღოლებს და ციხისკენ გამოაჭენეს. „ხედავთ ხალხნო? გუშინვე გითხარით. აი ესენი გამოაგზავნეს იმის სათქმელად, დაგვნებდით და სიცოცხლეს შეგინარჩუნებთო. აბა, რუხია, უპასუხე, ნუ შეაწუხებ აქამდე მოსვლით,“ – უბრძანა ზაზამ ერთ მხარბეჭიან შუახნის თავკისერსახე ნაიარევიან მეომარს, რომელმაც სასოებით ამოიღო უბიდან ეტრატში გახვეული ქვა და ისე დამიზნებით ისროლა იმ ორი მონღოლის მიმართულებით, ცოტაც და რომელიმე თქვენს ჭირს წაიღებდა. „აგიცდა ნასროლი,“ – დასცინა ერთმა მეგობარმა. „ბედი მაგათი, რომ შუამავლის მოკვლა არ შეიძლება, თორემ ნახავდი როგორ ავაცილებდი. თუ არ გჯერა ჩემო ამირიდონ, როცა მაგ ღორიშვილებს დავიფრენთ, გამოაჭენე ცხენი და გესვრი ქვას ნიძლავზე და ნახავ ავაცილებ თუ არა“. ვიდრე ქართველები ოხუნჯობდნენ, მონღოლებიდან ერთი ჩამოქვეითდა, ძლივს მოძებნა ეტრატი, გაშალა, რასაკვირველია, დაწერილის ვერაფერი გაიგო. მერე უბეში იკრა, ცხენს მოახტა და მეორესთან ერთად თავისიანებს მიაშურა. „მცველები გააორკეცეთ, ფხიზლად იყავით,“ – უბრძანა თორელმა დამცველებს...

თემურ-ლენგის მუქარა

ისევ მონღოლთა ბანაკი. თემურის კარავი. თემური ზის სარდლებთან ერთად. მასხარაც და მემატიანეც აქ არიან. მბრძანებელს ციხიდან გადმოსროლილი ეტრატი უჭირავს და ამბობს: „იწერება: ჩვენ ორასი და თქვენ ათასჯერ ორასიო. მოდით, გელოდებით.“ და სარდლებს გახედავს. პირველ სიტყვას შაჰ-მალექი იღებს: „ხანგრძლივი ალყა და მისი ჯანი! ერთი თვეც კი არ გაივლის, თავად გვთხოვენ დაზავებას, ციხის კლიტესაც ჩაგვაბარებენ.“ ცალყურახვეული ნურ ად-დინი პირში ეცა: „ხომ არ გაგიჟდი, მთელი თვე ვიდგეთ? გიორგი მეფე გაგვეპარება. ერთ თვეში მთელ სამეფოს დიდი თემურის მონად ვაქცევ!“ „მაგრამ უაზრო სისხლისღვრას შეიხ, დაცდა სჯობია,“ – თავის აზრზე დგას შაჰ-მალექი. ნურ ად-დინი წამოხტა: „არავითარი ცდა და ჯანჯლობა! ერთი დუმანი დამჭირდება მის აღსაგველად.“ თემური წვერს იფხანს და გესლიანად ამბობს: „ბარემ უჩემოდ გადაწყვიტეთ ყოველი საქმე. ჭკვიანურ ბჭობას ლოთებისგან არც მოველოდი. დამიძახეთ ბატონიშვილს!“

„ნუთუ თემურ, იმედი გაქვს მისი შეწევნის?“ – იკითხა ნურ ად-დინმა.

„თემურს შეწევნა რომ არ სჭირდება, ამაში მგონი თავად დარწმუნდი ცალყურა ბრიყვო! მიხმეთ-მეთქი ბატონიშვილს და მასთან ერთად ივანე სამცხელს.“ ბალიშებზე მიწოლილი მასხარა ჩუმად მსჯელობს: „ხანდახან მგონი რეგვენდება ჩვენი თემური. ბატონიშვილი მას არაფერში დაეხმარება, თავადი კი კვლავ ცხენს მისტირის, თემურმა რომ ადრე წაართვა.“ თემური კი მიუბრუნდა მას და მის გვერდით მჯდომ, წერაში გართულ მემატიანეს: „ისევ ღვინის ჭია ხომ არ გღრნის ჩემო მწერალო?“ მის მაგივრად მასხარა პასუხობს: „ახლა ქვრივ ქალს შესჩენია ბახუსის მატლი, ძაღლის ლეკვივით მუდამ ზედ არის მიწებებული.“ „როგორ შეძლო ქალის მოხიბვლა ამ საფრთხობელამ, სულს ძლივს დაათრევს,“ – ხითხითებს თემური. იცინის მასხარაც და პასუხობს ხმამაღლა: „აბა ამ საქმეს რა ჩალიჩი – ღონე

სჭირდება? საკმარისია ქალმა „ჰო“ თქვას, თორემ კაცი მუდამ მზად არის ამ სურვილის შესასრულებლად.“ მონღოლები იცინიან და ამ დროს შემოდიან კონსტანტინე და ივანე სამცხის ათაბაგი-ორმოცდაათი წლის, დაბალი, ვაჟკაცური სახის, დაუნდობელი გამოხედვის კაცი. მბრძანებელი მათ ბალიშებისკენ უთითებს და ისინიც მორჩილად სხდებიან. მცირე პაუზის შემდეგ, როცა ქართველებს შარბათს მიართმევენ, თემური ეკითხებათ: „მგონი მიხვდით მიზეზს თქვენი თავისუფლების.“ ივანემ ცერად გახედა და უპასუხა: „მერე და როგორ გვიხარია. ვეცდებით დიდად, ჩვენს ამშენებლებს რჩევა მოგცეთ საუკეთესო.“ თემური გაბრაზდა: „არა მგონია ხუმრობის ნიჭი გაგაჩნდეს დიდი. მე არ მიყვარს უსაგნო ღრეჭვა. ამაში მგონი ორნივ დარწმუნდით. თუ არადა ჟამი ნინ არის და ამ მუჭში მაქვს!“

ნურ ად-დინი: – ჩამოყაჭეთ ყველაფერი, რაც კი გსმენიათ ამ ციხეზე.

ივანე: (დაცინვით) არც კი ვიცი, როგორ დავიწყო.

შეიხი დაცინვას ვერ მიუხვდა და ისევ იკითხა: – ციხის სიმაღლე?

ივანე: – უბრძანე შენს მექრითეებს თავად გაზომონ.

შაჰ მალექი: – არხეინად ბრძანდებოდე, გადაზომავენ. მეციხოვნე რამდენი არის?

ივანე: – აურაცხელი!

თემური: „ნუ გავიწყდებათ. ჩემი ჯარი უდიდეს ქვეყნებსაც მოუგრეხს კისერს“. აქამდე ჩუმად მჯდარმა კონსტანტინემ ამაყად ასწია თავი: „არ დაგავიწყდეთ, ამ ციხეში ქართველებია!!!“ „მეც სწორედ ამის იმედი მაქვს, – ქართველის პასუხს ფარი დაახვედრა თემურმა, – ქართველებმა საკმაოდ ზორბა სმა-ჭამა იცით. ის, რაც ჩემს ლაშქარს მთელ წელს ეყოფა, თქვენს თანამოძმეთ, ვეჭვობ, დიდხანს შერჩეთ მარაგად.“ „ამასობაში ზამთარიც მოვა და თქვენ ისევ შინ გაბრუნდებით,“ – უპაუხა ათაბაგმა.

განრისხებული თემური ზეწამოიჭრა და იბღავლა: – კმარა ყბედობა! მე ამ საღამოს ვიწყებ შეტევას და ვინძლო ბირთვისმა

ხვალ დილამდეც ვეღარ გამიძლოს! აბა მწერალო, ბოლო ჟამს ჩვენ სად შევჩერდით?

მემატიანემ ლამის ცხვირი დაადო გადაშლილ წიგნს და სამარიდან წამოსული, ოდნავ მჩხავანა ხმით უპასუხა: – ამ წლის რვა მარტზე, როცა შენმა უმაღლესობამ, ტყვე ბაიაზიდს მოუვლინა დიდი წყალობა და საკუთარი კბილით დაღრნილი ძვალი უბოძა.

თემურმა თავი გადააქნია: „ოხ შე ჩერჩეტო, ახლა მაინც ყურად იღე ჩემი ბრძანება და ეგეთი რეგვენობა აღარ დაწერო. რით ვერ ისწავლე, თუ მწერალს საამური ცხოვრება უნდა, მხოლოდ იმას უნდა წერდეს, რაც მიანიჭებს სიამოვნებას და სიხარულს მის ბატონ-პატრონს.“

– და უფრო მეტიც, – მბრძანებელს სიტყვა შეაშველა მასხარამ, – სხვა მწერლებსაც არ უნდა გადაურბინოს თავისი შრომის სიღრმით და აზრით, თორემ თეთრ ყვავებს მაღლა ააფრენენ, ეგებ ფრთები მოეყინოთო.

„რა კარგია, თეთრ ყვავად რომ არ გამომჩეკეს მე უბედური, – მოიკატუნა თავი მემატიანემ.

– ჰოდა ჩასწერე, რომ მე, თემურმა, ვბრძანე დღეს დილით, ივლისის თავზე, რომ ბირთვისს ხვალვე დავიმორჩილებ.

ივანე: – ჩაიწერე მიდი მწერალო, რომ მერე ყველამ ერთად ვიცინოთ!

თემურმა დაუფარავი ზიზღით გადახედა ქართველებს და სარდლებს მიუბრუნდა: – მე ნუ ჩამრევთ ამ მცირე ომში. ხვალ საღამოს ბირთვისის კლიტე ჩემს ფეხთან ეგდოს.

გმირის მონოლოგი

ქართველთა ბანაკი. ბირთვისის ციხე. ეზოში კოცონები ანთია. ქართველები ვახშმობენ. შიგადაშიგ სიმღერაც მოისმის. თორელი მეციხოვნებთანაა, რომელთა რიცხვი ორასსაც ვერ აღწევს. ერთ კოცონთან ტატო ზის და ხმალს წმენდს, თან გვე-

რდით მჯდომ რუხიას ესაუბრება: „ჩემო რუხია, დილით ყვირილმა გამაღვიძა.“ რუხიამ ფიალები ღვინით შეავსო და უპასუხა: „ერთი ყოფილი აზნაური ქვებით ჩაქოლეს ჩვენმა ქალებმა!“ „ისედაც ცოტანი ვართ და ერთმანეთი თუ დავხოცეთ...“ „მაშ რა ექნათ? თურმე ორი დღე გაჰკიოდა, მონღოლები ბევრნი არიან და ტყუილად თავს დავიღუპავთო.“ „არა, ტყუილად და უსახელოდ ჩვენ არ მოვკვდებით,“ – მტკიცედ თქვა ტატომ.

ტატოს გვერდით მჯდომმა სპეტაკწვერიანმა მოხუცმა დაიბუხუნა: “ბედნიერნი ვართ ჩემო შვილებო, რომ სამშობლო ნებას გვაძლევს გავწიროთ თავი, დავღვაროთ სისხლი, თვალანთებული შევხვდეთ ურჯულოთ და მივაგებოთ მისაგებელი!

„ენა გიკურთხოს ღმერთმა ტარიელ, – წამოიჭრა რუხია და გადაეხვია, – ქართველად დაბადებული ქართველად მოკვდება!“

ტატო წამოდგა და თითქოს ციდან დაჰყურებს ყველას და ყველაფერს: „აი ხალხი, ყოველგვარი წყაროს სათავე.დღეს, ერთ დროშის ქვეშ შეძმობილებულთ დაუვიწყნიათ ერთმანეთის შური და მტრობა, რაც უბორკავდა ფეხს საქართველოს გაჩენის დღიდან. ღმერთმა უწყის, რატომ მტრობდნენ ერთურთს ქართველნი. ძველთაგანვე ასე იყო: ყოველი ლხინი თუ ქორწილი, ძმათა შორის ცემა-ტყეპით და ხანჯლის ტრიალით სრულდებოდა, მაგრამ ჭირში ვით ტყუპისცალნი, ისე იდგნენ ვეშა გულებით, მაგრამ ვინ იცის, საჭიროა იქნებ კიდეც ამდაგვარი ამბოხი სისხლის, რადგან ყოვლად კეთილი და მომთმენი კაცი მალე ლაჩრდება და თუ არა ჩხუბი ყოველჟამს მეზობლებს შორის, ის ძველი სისხლი და მემკვიდრეობით ნაბოძები ვაჟკაცობაც ხომ დაობდება? მოუსვენრობა, აი საქმის და გადარჩენის თავი და ბოლო და თან სილაღე, ჩაქსოვილი ყველა სიტყვაში, აი, რა იყო ჩვენი სიცოცხლის ფუძე და ჭერი იესოს მადლით, აი, რა იყო უძლიერესი ჩვენი დამცველი. იესო ქრისტემ გადაარჩინა ერთი მუჭა ვაჟკაცთა მოდგმა, რომელიც ხშირად წარბშეუხრელად ღვრიდა სისხლს ძმისას.“

ისმის ძახილი: „მტერი მოდის!“ ყველანი დგებიან და პოზი-

ციებს იკავებენ. ტატო ისევ აგრძელებს: „ამდენი სისხლი ნეტავ რომელ ძარღვებში იდგა? ამდენი ოფლი ნეტავ რომელ ლაჯებს დადინდა? და თუ გადავრჩით, მხოლოდ იმიტომ, რომ სიტყვა ჩვენი იყო წყლიანი და გული ჩვენი მოუსვენარი. თან ენა გვქონდა ისე ტკბილი, ისე ფაქიზი, ისე ნარნარი, ზოგჯერ უხეში, მაგრამ გათლილი, კდემამოსილი, არა ველური სილამაზის, არც ხელოვნური, არა ერთი ხელით მოსმული, არამედ წმინდა, შეურყვნელი და შეუცვლელი(ისმის საომარი ყიჟინა). ენა ქართული, აფეთქებული კოკორი ვარდის, ადრე გაზაფხულს მოყვავილე ატმის რტოს ჰგავდა, გულის მალამო, თან ამშლელი გაუმხელ დარდის, ავდროს ექცია თითქოს გულის მოსაოხებლად! ავდროს ექცია თუ თანდაყოლილ ჩვენს გიჟ ხასიათს? ავდროს ექცია თუ თანდაყოლილ ჩვენს ვაჟკაცობას? რა იქნებოდა ცოტა სილაჩრეც რომ დაგვყოლოდა, რა იქნებოდა არ გვეკისრა ძნელი მისია? რა იქნებოდა? საქართველო, საქართველო არ იქნებოდა!!!“ ტატო ქონგურზე დგას უკვე და ხევხუვებში ჩაჭედილ მოალყეებს სხვებთან ერთად აყრის ქვას და ისარს. თან ისმის ომახიანი ქართული სიმღერა. მტერი გარბის, ქართველები კი ცეკვა – თამაშს ახურებენ.

თემურ-ლენგის მეორე მუჭარა

თემურის კარავი. მბრძანებელი ნერვიულად დახანხალებს და მცველებს უბღვერს: „დროა, მეც ჩავერიო ამ მცირე ომში. გაეთრიეთ, მექრითეები გააგზავნეთ და თუ ციხეში ვერ შეაღწევენ, პირდაპირ ჯალათთან მიათრიეთ ყველა, თან შაჰ-მალექსა და ნურ ად-დინს მიხმეთ. ოსტატს უბრძანეთ, იმ დასანგრევი ციხის პირდაპირ ახალი ციხისმაგვარი ააგოს ბირთვისის მსგავსი, თან გადაეცი, ამ საქმეში ყველა ჩართოს, წარჩინებულიც და მსახურიც. სამი დღის შემდეგ ან ციხე, ან შენი თავი-თქო. გაეთრიეთ!“ მცველები გარბიან. თემური ერთ ხანს საკმაოდ შეშინებულ მემატიანეს უყურებს ბატის ფრთით მკბენარს რომ

დასდევს აბურძგნულ თმაში. შემოდიან გასაცოდავებულნი სარდლები: შაჰ-მალექი და ნურ ად-დინი. „ძაღლისთავებო, ცოტა სინდისიც რომ გაგაჩნდეთ, ვერ უნდა ბედავდეთ აქ შემოთრევას! რამდენი ჩემი მეომარი შეეწირა სულ ბირთვისელებს?“

სარდლები ერთმანეთს გახედავენ და თემურმაც იფეთქა; „შენ თქვი შაჰ-მალექ, შე სახედარის განავალო, ხეპრევ, ცვედანო! რისხვა ჩემი, იცოდე მაინც შენ დაგატყდება. შენ კი ნურ ად-დინ, თუ გინდა, რომ ერთი ყური მაინც შეგრჩეს ქეციან თავზე, იქით მიდექი, რამე ბრიყვული რომ არ წამოგცდეს! აბა შაჰ-მალექ, რატომ დუმხარ? ადრე ძმობილო, ამაყი იყავ, სიტყვაუხვი. ახლა რა გჭირს, ნუთუ ღალატმა დაგისერა ერთგულებით ოდესღაც სავსე მკერდი?“ შაჰ-მალექი მუხლებზე დაეცა და შეჰღაღადა: „არა ჩემო მბრძანებელო. მთელი სიცოცხლე შენს სამსახურში გამილევია“ „მერე მაყვედრი? ანუ მღალატობ?“ შაჰ მალექმა ცხენივით გადააქნია თავი: „არა, ღალატი რა ბრძანებაა, მაგრამ იმდენი მეომარი შევალეწე იმ ბოროტ კედლებს...“ თემური ისევ უჭრის: „სხვების თავები შეალეწე? შენი კი მხრებზე გადგას? ხომ არ გესიზმრა, რომ სულ მალე მოგაკლდება ეგ ნაწილი ლაჩარ სხეულის?“ შაჰ-მალექი მთლად ძირს განერთხა: „გთხოვ ნუ დამსჯი შენი ფეხის მტერს და ჩემს სილაჩრეს ვაჟკაცობით გამოვისყიდი!“ თემური ნიკაპს იფხანს: „ადრე უნდა გეფიქრა მაგაზე.“ შაჰ-მალექი შიშისგან დამახინჯებულ სახეს ასწევს: „მბრძანებელო, რად არ ისმინე ჩემი რჩევა ალყის შესახებ?“ ამ სიტყვებმა ნურ ად-დინი შიშისაგან მუხლებზე დასცა, ხოლო მემატიანე და მასხარა ჩაახუტა. ახლა კი ისე იბღავლა თემურმა, რომ ბანაკში მყოფი და ადევნებული ყველა ძაღლი აყეფდა: „რეგვენის შვილო! ნუთუ ვერ ხვდები, ალყა კი არა, რამდენი ხანია დღე-ღამე ვებრძვით, მაგრამ ციხეში ახლაც ღრეობენ. ნაღვინარ კასრებს თავზე გვაფშვნიან!“ „მაგრამ თემურ, ამ ბოლო დროს სიმღერები ვეღარ გაისმის იქ ძველებურად. ეტყობა ღვინოც გამოელიათ და მასთან ერთად მთელი საკვებიც,“ – კანკალით შებედა ნურ ად-დინმა. „ყეყეჩო! ერთი თვეა სულ მღერიან! დაიღალნენ ახლა

სიმღერით, თქვენი სიბრიყვე ძალას მატებთ. ახლა სამი დღით შეაჩერეთ ყველა შეტევა, მეოთხე დილით კვლავ მე გისარდლებთ. მემატიანევ, ამოხიე წინა ფურცელი და ჩაწერე ახლა რეგვენო, რომ შეტევა წყეულ ციხეზე დაიწყება სამი დღის შემდეგ, თორმეტ აგვისტოს!

ბეგი-ჯაბი

მონღოლი მექრითეები ციხეს უახლოვდებიან. ღამეა, ისინი იწყებენ კედელზე აცოცებას. პირველი ბეგი-ჯაბი მიცოცავს. თოკი აქვს ჩაბმული წელზე. ასვლა დაიწყეს მიუდგომელი კედლიდან. ბეგი-ჯაბი დაბალია, ხვლიკივით მოქნილი და სწრაფი, შავი წვერით, თითქმის უშუბლო, წვრილი თვალებით. იოლად და სწრაფად აძვრა ქონგურზე. იქ ორიოდე წამით შეყოვნდა, მერე სარტყლიდან დანა ამოაცოცა და წელზე შებმული თოკი გადაჭრა, რის შედეგადაც უკან მიმყოლი მექრითეები მწიფე მსხლებივით ცვივიან უფსკრულში. თავად კი ციხის გალავანი განვლო და ჩაძინებულ მეციხოვნეებს შორის დაიწყო სუნსული. ერთ ადგილას ორი ქართველი ვახშმობს ჩირაღდნის შუქზე. მონღოლი ყურს მიუგდებს. ერთი რუხიაა, მეორე – ამირიდონი. ვინ იცის მერამდენე სადღეგრძელოს მიირთმევენ: „ამით შენს ოჯახს გაუმარჯოს ჩემო რუხია.“ „იცოცხლე და ოთხივ კუთხით ჯვარი გეწეროს!“ სვამენ. მერე ამირიდონი გაჭირვებით დგება, ქვემოთ ჩაიხედავს და ისევ ღვინოს მიუჯდება. „სიწყნარეა.“ „მაშა, მაგრა ავუწვით უკანალი ი შენ ნაქებ კოჭლ სახედარსა!“ – იცინის რუხია. „ერთიც ჩამომისხი, – ეუბნება ამირიდონი, მაგრამ რაკი რუხიამ დააგვიანა, თავად ჩამოასხამს და ფიალას ზედ გადმოადენს, – ვერ მითხარი მამაცხონებულო, სავსე თუ იყო?“ „გენანება კაცო?“

– ღვინო ჩემი უნდა ნახო ჯო, – აქებს რუხია, – აი, გავრეკავთ ამ ვირის ლაჯებში გამოვლილებს და წავიდეთ ჩვენსა.

– არა, ჯერ შენ მესტუმრე. არც მე მაქვს გლახა ღვინო. მა-

რთალია, შენსავით ბიჭების პატრონი არ ვარ, მარა თუ ცოცხალი დავრჩი, ორ გოგოს ორ ბიჭს მივუმატებ, – იჭიმება ამირიდონი.

– ეე ვერან, ერთ კარგ სიტყვას გეტყვი, იქნება ჭკუაში დაგიჯდეს, – თვალებს პრაწავს რუხია.

– ახლა არ მითხრა, გოგო რძლად მომეციო, – ამირიდონი ძლივსღა ახელს თვალებს.

– ვაჰ, შე მამაყელქონიანო, ჩემ გულში იჯექ? – გაუხარდა რუხიას.

– მომეცი ხელი., შენ გოგო შემოგივა ოჯახში, მე ბიჭი. მეტი რა გვინდა? მერე თუ მშვიდობა იქნა და შვილიშვილსაც მოვესწარით, ჩავუჯდეთ ზამთრის გრძელ ღამეებში ბუხარს და ვწრუპოთ ნელნელა, – ოცნებობს ცოტა შეფხიზლებული ამირიდონი.

– ოღონდ ორივე ქორწილში ჩემი ღვინოთი ვიქეიფოთ, – ულტიმატუმს უყენებს რუხია.

– ვითომ რატომ?

– იმიტომ, რომა თქვენებური ღვინო ჩვენებურ კაცსა, ვენახში ბოძის დასარჭობად თუ გამოადგება, – ჩაიხითხითა რუხიამ და მოხვდა კიდეც ნაიარევ ყბაში ამირიდონის მუშტი. რუხია ვალში არ დარჩა ატყდა ბაგაბუგი.

– სხვებსაც გააღვიძებენ ეს წყეულები, – წამოხტა ბეგი-ჯაბი და მოჩხუბრებს შუაში ჩაუდგა. რუხიამ ხელი სტაცა და სუფრასთან მიათრია: „აბა დაჯექი, თუ ხარ ქართველი. თუ გაქვს ულვაში და ეს ფიალა გამოგვიცალე!“ ბეგიჯაბი იძულებულია დალიოს. ამირიდონი და რუხია ხელად შერიგდნენ. „შენ ძმაო, ჩვენამდე ბევრი გიკლია. აბა რუხი, ყანწი მომაწოდე,“ – აღარ ეშვება მონღოლს ამირიდონი და სავსე ყანწს აწვდის. „არა, არა,“ – ბლუკუნებს ბეგიჯაბი და გაქცევას აპირებს. „არა და“ ამირიდონი სავსე ყანწს თავზე დააცლის. მონღოლი დამდუღრულივით გარბის. ამირიდონი და რუხია ხარხარებენ. ამ დროს თემურის კარავში ფხიზლობენ თემური, მასხარა და მემატიანე. კარვის პატრონი ხან ხმამაღლა, ხან კი ხმადაბლა მსჯელობს: „ციხე აშენდა, ლოდსატყორცნები გამართულია, მაგრამ შე-

ტევა ერთი დღით მაინც უნდა გადავდო. თუმცა ხვალ დილით რომ შევუტიო?.. არა, არა, ვინ იცის იქნებ... ალაჰმა უწყის რა სჯობია, როდის და რა დროს.“ შემოვიდა მსახური, მიუახლოვდა და უჩურჩულა. „ჩქარა მომგვარე!“ – იყვირა თემურმა და მალე ბედნიერებით ელდანაცემი ბეგი-ჯაბი შემოვარდა და მუხლებზე დაეცა: „ოო, მბრძანებელო, მივაღწიე უმაღლეს ქონგურს და გავზომე კედლის სიმაღლე. უგრძესი კიბის დაწვნა მოგვიწევს და იმით ასვლა კარის გამღები მებრძოლების.“ „კიბე უკვე დაწნულია, წადი, ნახე. თუ საჭიროა, მოუმატონ სიგრძე. ჯილდოზე მერე ვისაუბროთ. შენ ის მითხარი, მეციხოვნენი ბევრნი არიან?“ – სულმოუთქმელად მიაყარა თემურმა. „შენს მცველებზე ბევრად ნაკლები. კიბეს თავად მე ავიტან სამხრეთ კედელზე. ეს ადგილი ციცაბოა და დაუცველი,“ – უპასუხა მექრითემ. „შენ კიბე ნახე. თუ გეყოფათ, ახლავ წაიღებ და შეტევასაც ნუღარ გადავდებთ. ღვინით ეგრე სადღა აყროლდი? თუ მხნეობისთვის გადაჰკარი ცოტა სასმელი?“ „ალაჰს ვფიცავ, ღვინო არ მიყვარს. იქ, ციხეში, გალეშილი მეციხოვნენი გადამეკიდნენ, მაგრამ რაკი არ დავლიე, თავზე დამასხეს,“ – შეჩივლა ბეგი ჯაბმა. მბრძანებელმა გადაიხარხარა: „ეს რა მასხარა ბრძანებულან მეციხოვნენი. ჰე, მიდი ჩქარა. სარდლები ფეხზე წამოჰყარე და უბრძანე ჩემი სახელით, რაც მოისმინე!“ ბეგი-ჯაბი გაქრა. თემური კი მასხარას მიუბრუნდა: „აბა რას იტყვი, დავიმორჩილებ ამ ლაღ ქურანს?“ “აბა რა გითხრა. აქ ისეთი რამ იკადრე, ამ ციხის აღებას ფასი აღარ აქვს!“ „ნუთუ მასხარავ, არ შეგიძლია გასაგებად მითხრა რა გინდა, თუ მექრითის ჩამოყოლილმა ღვინის სიმყრალემ აგრია და გამოგატვინა?“ „როგორ დაბერდი ჩემო ბატონო? სამარცხვინოა, რომ თემური მტრის მიწაზე ციხეს აშენებს და მხევალივით კიბეებს წნავს.“ მემატიანე გაუჩერებლად ჯღაბნის და მასხარას გამოსძახებს: „ცოტა ნელა, ვერ ვასწრებ წერას!“ თემური გაბრაზდა: „მასხარას სიტყვებს რატომ იწერ შე სალახანავ?“ „ტყუილს არ ამბობს, შენ არ მიბრძანე სიმართლე ვწერო?“ „ფუჰ შე უტვინო. მე არ მჭირდება ამის სიმართლე!“ „აბა რა ვქნა, წავშალო?“ „მე

მხოლოდ რჩევა მოგეცი," – ხელი ჩაიქნია თემურმა. „აა, შენი რჩევა შევიტანო?"

ამ დროს საბრძოლოდ გამზადებული შაჰ-მალექი და ნურ ად-დინი ეახლნენ მოწიწებით და თემურმა სწრაფად დატოვა კარავი მათთან ერთად. გაისმა ცხენთა ფლოქვების ხმა. მასხარამ კი მემატიანეს დაუცაცხანა: „შე საცოდავო, რაც გინდოდეს, მიდი და წერე. მე შენ გეტყვი და წერა-კითხვის უცოდინარმა ჩვენმა მტანჯველმა ერთბაშად არ ჩააბულბულოს!"... ციხეში გადაპარულმა მონღოლ-თათრებმა მთავარი კარი გახსნეს. მთავარი ჯარი შაჰ-მალექის სარდლობით იოლად შევიდა ციხეში. ნამძინარევი ქართველები გამოფხიზლდნენ და მტერს შეერკინენ. დიდფარიანი მომხდურები ლამის კედლად იქცნენ და აწვებიან დამცველებს, რომლებიც, თავის მხრივ, მათ ისრით, შუბითა და ხმლით „უმასპინძლდებიან". აგერ, ერთ კუთხეში, თორელმა რამდენიმე მონღოლი აჩეხა, იქით რუხიამ გაუპო თავი წუხანდელ „სტუმარს" ბეგი-ჯაბს., იქ ამირიდონი იქნევს ხმალს. სპეტაკწვერიანი ტარიელს ახალგაზრდა თათარი მოუგდია ძირს და ხანჯალი აღუმართავს მის თავზე. ტატომ ნურ ად-დინი დააწყვიტა სარმით, მაგრამ მოკვლა ვეღარ მოასწრო, თორელის საშველად გაიქცა, რომელიც მიწაზე წევს და მკერდიდან სისხლი სდის. რუხიას მკერდზეც ვეება ჭრილობას დაუღია პირი და ხვნეშით ლევს სულს. ამირიდონი მუცელში შუბგაყრილი წევს. ტარიელი შუბს კედელზე მიულურსმავს. ტატო თორელს პატრონობს, ზაზა ჯერ ცოცხალია. შაჰ-მალექმა თვალი ჰკიდა მათ: „აა, ძაღლისშვილო, იქიდან გამომექეცი. ახლა ვერსად წამიხვალ!" და ტატოსკენ დაიძრა ხმალამოწვდილი. უიარაღოდ დარჩენილი ტატო იქვე დაგდებულ შიშველ ხანჯალს დასწვდა და შაჰ-მალექს სტყორცნა. ხანჯალი მტერს მარჯვენა თეძოსთან ეცა და თვალებგადმოკაკლული ძირს დაანარცხა. ტატომ კი თორელი აიკიდა და ორომტრიალიდან გაიყვანა შედარებით მოფარებულ ადგილას. „შვილო, – ძლივს ამოთქვა ზაზამ, – აქ დამტოვე. ჩემთვის სამშობლო აქ იწყება. აქ... ბირთვისიდან და ამ ციხის ბოლო კედელთან უნდა დამთა-

ვრდეს. ჩემთვის და ჩემი მეფისათვის უმჯობესია, მტერმა მნახოს მკვდარი, უსულო, ხოლო გაქცეულ თორელს კოჭლი ეშმაკი ვერასდროს ნახავს (ერთხანს დადუმდა, მერე ძალა მოიკრიბა)... ჩემი მდაბალი თაყვანისცემა გადაეცი გიორგი მეფეს და მოახსენე, რომ თემურსაც მშვიდობა ურჩევნია ახლა ბრძოლის განგრძობას. მშვიდობა კი მცირე ქართველთ უფრო ჭირდებათ. კიდევ ერთიც, ციხის ჩრდილოეთ კედელთან ახლოს კორომია ძველთაძველი, იქ აკვანია თოთო ბავშვით. ის პატარა, შვილია ჩემი, წაიყვანე და ჩქარა წადი. ჩააბარე ვინმე გლეხის ქალს. არ კი უთხრა ვისი შვილია. წადი ახლა, წადი შვილო."

ტატო დგება. ვიღაცის ხმალს იღებს და კორომისკენ მიდის. ციხის გალავანში ხანძარია. თათრები განურჩევლად ხოცავენ დიდს და პატარას. საშინელი აღვირახსნილობის და ძალადობის მოწმე ხდება ტატო, მაგრამ... ციხისთავის ბრძანება და უკანასკნელი თხოვნა უნდა აღასრულოს. ის იმ დროს მიდის კორომთან, როცა ორი თათარი ბავშვის აკვანს ცეცხლს უკიდებს. მიეჭრება გავეშებული და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ, ორივეს ჰკლავს. ტატო კი მსუბუქადაა დაჭრილი ხელში. ბავშვი აკვნიდან ამოიყვანა. მოსახვევში შეახვია და გაშორდა ამ ადგილს. ციხეში რბევა გრძელდება.თორელის ცოლი, თემურმა დიდთავა, გაბღინძულ, სისხლში ამოთხვრილ კაცს აჩუქა. ტატომ იცნო ის – შეიხ იბრაჰიმია, შირვანელი, მეფესთან პურნაჭამი. „გადაგიხდით ოდესმე, – ცრემლები სცვივა საფარში ჩამალულს, – არ შეგარჩენთ." ახლა ტატოს ერთი ნატვრა აქვს, ჩვილმა არ იტიროს, მაგრამ პატარას ეტყობა, მოეწონა გადამრჩენელი. უცინის და ყოვლისმთქმელ აღუ-აღუს ჟღურტულებს. გამწარებული ტატოც უღიმის და ფიქრობს: „ნეტა ჩქარა დაღამდეს" და იხსენებს ცეცხლწაკიდებულ აკვანს. ნელ-ნელა ღამდება.

გმირი მეფესთან

გიორგი მეფეს ტყეში დაუცია ბანაკი. განთიადია. მანდატურებით გარშემორტყმული მეფე კორომის წინ ზის და ნაღვლიან ფიქრებს მისცემია: „მეფე მქვია და ტყეში ვცხოვრობ. ქვეყანასაც ვეღარას ვშველი. არა, ვერ ვარ ძლიერი მეფე. რა არ მყოფნის ეგ კი ვიცი... რა ვქნა? წინაპარს დავდო ბრალი? გამზრდელი იმას ჩამჩიჩინებდა, რომ როცა ბოლო თაობაში ყველაფერი რიგზე ვერ არის, ბრალი მიუძღვის უდიდესი წინა თაობას.“ ორი მანდატური ტატოს შემოიყვანს. მეფე ზეწამოიჭრა: „შენ აქ რა გინდა?“ „ჩემო მეფევ, ორი დღეა, რაც დაეცა ბირთვისის ციხე!“ „ეგრეც ვიცოდი, რას გაუძლებდა ქვიშასავით უთვალავ მომხდურს,“ – მწუხარებითი სიმშვიდით ბრძანა მეფემ. „ორასმა კაცმა ერთიანად შეაკლა თავი თათარ-მონღოლებს, მაგრამ ყველა ქართველად მოკვდა,“ – პასუხობს ტატო. „სხვა, სხვა რა მოხდა?“ – იკითხა მეფემ. „ზოგი ჩვენი მოკავშირე მიემხრო თემურს,“ – თქვა ტატომ. „მაინც რომელი?“ „შირვანელი შეიხ იბრაჰიმ, რომელსაც ბილწმა ციხისთავის ცოლი აჩუქა.“ „ვაი შენს მეფეს, -ოხრავს გიორგი, – ეს რას მოესწრო ჩვენი კაცობა. რატომ ღმერთი არ მოგვაგებს სასჯელს უმკაცრესს! ო, დიდო ღმერთო, შენ მოუვლინე მიწისძვრა ბირთვისს, რათა ჩალეკოს ბნელ წკვარამში ყველა მტერი იქ შევარდნილი. შენ მოავლინე ისე დიდი მიწისძვრა ახლა, როგორც თმოგვში დიდი ხნის წინათ, როცა კახაბერ ერისთავი ჩარჩა ნანგრევეში!“ „ჩემო მეფევ. დაღუპვისაგან გვიხსნის უფალი! უარესი განსაცდელიც ბევრი გვინახავს, მაგრამ გული არ გაგვტეხია და ქრისტეს ძალით ფეხზე დავდმდგარვართ!“ – მტკიცედ უპასუხა ტატომ. მეფემ მომდგარი ცრემლი არ შეიმჩნია და სიყვარულით ჰკითხა: „რამდენი წლის ხარ გლეხის ბიჭო?“ „როცა პირველად შემოგვესია თემურის ჯარი, სწორედ იმ წელს დავიბადე,“ „შენ ჯერ ბალღი ხარ და არ იცი, ვისთან გვაქვს საქმე.“ „არა მეფეო. ჩემი თაობა მტრის სიძულვილის, დედის ცრემლების, სისხლის მდინარის და დახოცილი მამათა ძვლების შერევით ვართ მოზელილნი წმინდა ბერთა ლოცვა-კურთხევით და რაც დრო გა-

დის ისე ვიზრდებით, როგორც რისხვა მომხდურთა მიმართ და ვაი იმათ, როცა მართლა დავვაჟკაცდებით!“ – ამაყად უპასუხა ტატომ და თვალებში შეხედა. მეფემ თავზე ხელი გადაუსვა: „ეჰ ჩემო შვილო. ნეტავ ვინ გაცდით დავაჟკაცებას?“ მოვიდა მანდატურუხუცესი და მეფეს მოახსენა: „დრო აღარ იცდის. მზად ვართ მეფის და საქართველოსთვის გავწიროთ თავი:“ „ჯერ ადრეა ჩემო ბერო. უკეთეს დროს და მარჯვე შემთხვევას დაველოდოთ. შენ კი შვილო (მიმართავს ტატოს), ისევ უკან უნდა გაბრუნდე, ისევ შეხვიდე მტრის ბანაკში, უნდა მოძებნო ბატონიშვილი და მომიტანო მისგან ამბავი, რას აპირებს წარღვნის მოსურნე საქართველოსი.“

ჯალათის ვნებანი

თემურის ბანაკი ბირთვისის ციხეში. თათრები ღრეობენ. ერთი კარვიდან თმა-გაწეწილი თორელის მეუღლე გამოვარდება, მაგრამ იბრაჰიმი ისევ კარავში შეათრევს. მასხარამ კარვის ახლოს ჩაიარა და ხმამაღლა წარმოთქვა: „ბირთვისის ციხე დაჩოქილია, მეციხოვნენი დახოცილია, სიმართლე და სიყვარული შეგიძლიათ შეიძინოთ სპილენძის ფასად, ხოლო ყვავილი ამ დილით გახმა ციხის კედელთან. კითარის ხმა ყალბი გახდა, ცხოვრება კი – ძალმომრეობა. პოეტები უფრთხილდებიან საკუთარ ჯიბეს და არა სახელს ან ლექსის წყობას.“ მასხარა ჯდება იქ, სადაც თემური ნადიმობს წარჩინებულებთან ერთად. მემატიანეს მიუჯდა. მემატიანემ თვალი აარიდა თათრებს, რომლებიც ხარბად თქვლეფენ საჭმელს და სასმელს და მასხარას ჰკითხა: „გამიგია ლეგენდებით და გადმოცემით, რომ ყველა დიდი და გოლიათი თავის სულს მალავს ხის მსხვილ ტანში, თევზში ან კვერცხში. თემურის სული სად იქნება გადამალული?“ მასხარას გაეცინა: „შენ რა, მის მოკვლას ხომ არ აპირებ?“ „არა, მაგრამ შთამომავლობას უნდა ვამცნო“. „გეტყოდი, მაგრამ მისი სულის სამყოფელის ხმამაღლა თქმა უხერხულია, დაწერა კი უზრდე-

ლობა," – იცინის მასხარა. ამ დროს კივილით შემოვარდა თათარი. „მოხდა რამე?" – იკითხა თემურმა. "მბრძანებელო, იბრაჰიმმა თავი დაჰკარგა," – შიშით თქვა მოსულმა. "რაც არ ჰქონდა, როგორ დაჰკარგა?" – გაიცინა თემურმა. „მბრძანებელო, თავი მართლაც აღარ აბია, მხოლოდ ტანია და სისხლს მოურწყავს იქაურობა." „ქალი სად არის?" – წამოხტა თემური. „ვერსად ვიპოვეთ," – შიშისგან გააცია მსახურს. „ძაღლისშვილო, გაიყოლე მეომრები და ის ქალი თუ არ მომგვარეთ, პირდაპირ ჯალათს მიაკითხეთ," – ბრძანებს თემური და მცველიც გარბის. მასხარა კი მემატიანეს ეუბნება: „გაქცეულა ქართველი ივდითი და ოლოფერნეს თავიც თან წაუღია." „რა ივდითი და ის, მეორეს რა ჰქვია იმას?" – ენა დაება მემატიანეს. „იბრაჰიმი დაიმახსოვრე. მეტს შენი ტვინი ვერ აიტანს," – შეეცოდა მასხარას და უცებ თავად გახდა შესაცოდი, რადგან კოჭლობით შემოვიდა შაჰ-მალექი, რომელმაც ბალახიდან მომცრო ქვა ამოთხარა და მასხარას ესროლა. მას ნასროლი მკერდში მოხვდა და აბღავლდა. „რა ჭირი გეცა?" – დაუტია თემურმა შაჰ-მალექს. "მბრძანებელო, სწორედ ამან გააპარა ის ქართველი ბატონიშვილის ამალიდან, მე რომ დამჭრა," – თქვა დატანჯული ხმით შაჰ-მალექმა. თემურის რისხვას საზღვარი არ აქვს და ხმალს აალაპლაპებს მასხარას დასასჯელად, რომელიც წკმუტუნით ეტყვის: „ნუ წაბილწავ წმინდა მახვილს ჩემი სისხლით." თემური ბრაზიანად იცინის: „ჯალათს მიხმეთ! შენ კი მალექ, რად დამალე ამ უწმინდურის ღალატი?" „განრისხებული იყავი და ვერ შემოგბედე. ტყვეს კაცები დავადევნე, მაგრამ გაგვასწრო." „რახან დანაშაული სისხლით გამოისყიდე, მიპატიებია.სხვა დროს კი აღარ მიქარო," – გააფრთხილა თემურმა შაჰ-მალექი.

მოვიდა ჯალათი, ახმახი, გამხდარი, თავზე თეთრი ფერის ტომრისმაგვარი აქვს ჩამოცმული თვალების ადგილას ნახვრეტებით. ცალ მხარზე დოლივით გადაკიდებული ხის მორით. მარჯვენაში კი პირალესილი ცული უჭირავს. მორს ბალახზე დებს და მასხარას მასთან მიათრევს, თავს მორზე ადებინებს, ხელისგულებზე იფურთხებს, ცულს მოიმარჯვებს და თემურს

მიმართავს: „რამდენ ნაწილად გავჭრა მბრძანებელო?“ „ქათამი ხომ არ ვარ შე დაწყევლილო? გეხუმრება დიდი თემური“, – წრიპინებს მასხარა. „რაღას უყურებ, მოჭერი თავი!“ – ბრძანა თემურმა. ჯალათმა ხელი ასწია და ნაწყენი ხმით ამოთქვა: „განათლებულ ქვეყნებში ახლა თოკზე ჩამოკიდება, შაყისკვრა და ცეცხლზე დაწვა შემოიღეს სიკვდილმისჯილის. ჩვენ კი ჩამოვრჩით.ისევ ნაჯახით ვცოდვილობთ.“ „რას ჩამორჩი შე სალახანავ! ისევ ასეთი სიკვდილი მიჯობს“, – აჭიჭყინდა დასასჯელი. „ეს კიდევ ცოცხალია?“ – იკითხა თემურმა. მასხარამ იგრძო, რომ მბრძანებელს სიბრაზემ ცოტა გადაუარა, ხრიკს მიმართა და ჯალათს ჰკითხა: „ჩემი ბატონო, ჩემი თავი მერამდენეა შენი მარჯვე ხელებისთვის. სულ რამდენი წარუდგინე მოწყალე ალაჰს?“ ნაჯახშემართული ჯალათი თემურს მიუბრუნდა: „ვუპასუხო?“ „რაკი ბოლო სურვილია სიკვდილმისჯილის, თანახმა ვარ.“ მასხარა სწრაფად წამოხტა და თემურს ჩაუვარდა მუხლებში: „ეს რა მოწყალე მწყემსი გვაჩუქა ალაჰმა!“ ჯალათმა მორი გადმოაბრუნა და მასხარას მიმართა: “სიკვდილმისჯილო მოდექი აქეთ. აი, ხედავ? მორზე არის ამოჭრილი იმათი რიცხვი, ვინც ამ ცულს უთხრა ბოლო სიტყვა. ათას თავს მხოლოდ ერთი აკლია. დიდება ალაჰს! მგონი ტყუილად არ მიცხოვრია და მეც მერგება ცხოვრების ბოლოს დიდი ჰურია.“ „დიდება ალაჰს და მის მოციქულს, რომ ჩემი თავი კიდევ უფრო დაამრგვალებს მორის ამ ბოლოს, ხოლო ამ ახმახს, სიკვდილის მერე, დასავლეთიდან აღმოსავლეთში სირბილით დაღლის!“ ყველამ გაიცინა, ჯალათმა კი დამაჯერებლად თქვა: „ამას არ ვიზამ. მე ჰურიის ფეხთით დავრჩები, მუხლების ზემოთ.“ ახლა თემურიც ახარხარდა: „ჭირს და სნებას თქვენი ჩერჩეტი თავი. მიპატიებია მასხარასთვის. დიდი ხანია გულიანად არ მიცინია.“ „მე რაღა ვქნა? – გული დაწყდა ჯალათს, – ნუთუ ჩემო მბრძანებელო, გულს დამწყვეტ შენს ერთგულ მონას და ათასამდე არ გამიზრდი დიდ მოწყალებას? მაჩუქე რა მასხარას თავი.“ „შენს თავს ჩადი მეათასედ!“ – გასძახა სასჯელისგან თავდახსნილმა. თემურმა ხელით ანიშნა წასვლა ჯალათს, რომელმაც ბუზღუნით აკრიფა ხელსაწყოები და თა-

ვის კანტურით წავიდა. მასხარა კი მემატიანეს მიუჯდა გვერდით და გადარჩენა ვერ დაუჯერებია. „მე რომ მბრძანებელი ვიყო, – ამბობს მთვრალი მწერალი, – მრჩევლად შენისთანა კაცს ავიყვანდი.“ „ავაშენებდით მე და შენ ალბათ ახალ ბაბილონს“, – პასუხობს ოდნავ მოსულიერებული მასხარა.

ვინ თქვა, რომ მზე არ ამოვა?

ტატომ ტყე გაიარა. პატარა ველზე გავიდა და ბალახზე გართხმულ ქალს წაადგა, თორელის მეუღლეს. “ღმერთო ჩემო, – წამოიძახა ბიჭმა, – ქალბატონო, ნუთუ თქვენ ბრძანდებით?“ წყალი დაალევინა, ოდნავ მოასულიერა. „საბედნიეროდ, სიკვდილის წინ კიდევ მეღირსა ქართველის ხილვა,“ – კვნესით თქვა ქალმა. „არა ძვირფასო, – უთხრა ტატომ, – უნდა იცოცხლო! შენი სიცოცხლე შენს შვილს სჭირდება, შენი შვილი კი საქართველოს!“ ქალმა თავი წამოსწია: „ჩემი შვილი? ნუთუ... იესო ქრისტე შენ დაიფარე. მითხარი ჩქარა, სად არის იგი.“ „თავის მიწაზე და საიმედო ხალხის კალთის ქვეშ.“ „მართალს ამბობ თუ ნუგეშია უბედურ დედის?“ „ვფიცავ ღვთისმშობელს და დედის ძუძუს!“ „მადლობა უფალს. შემიძლია მშვიდად მოვკვდე.“ „არ გაქვს სიკვდილის უფლება დედა!“ „მაგრამ უფლებას როდი თხოულობს სიცოცხლის მტერი. გევედრები, ცოტა ხნით მაინც მაჩვენე შვილი,“ – შეეხვეწა ქალბატონი. „ამ სურვილის აღსრულება მზის ამოსვლამდე არ შემიძლია,“ – თქვა ტატომ. „ჩუ, ვინ თქვა რომ მზე არ ამოვა? აი, ხედავ? ამოვიდა ქალი დგება. მზე აშუქებს ქალის ნაწამებ სახეს, უწესრიგო, აწეწილ თმას) რა ბრწყინვალეა. ეს ვინღა მოჩანს? ნუთუ ჩემი მეუღლეა დასაფიცარი? რა ლამაზია, როგორც იმ ღამით, სიყვარულით გულს რომ მიკრავდა ჩანს ლანდად თორელი, რომლისკენაც ქალი ხელს იშვერს). მომიახლოვდი, რად გამირბიხარ? ჰო, ეგრე, ეგრე, გულს ჩამიკარი. მომეალერსე, მომხვიე ხელი, ერთად წავიდეთ. მზისკენ წავიდეთ? ო, როგორ ცივა. მზე აცხუნებს და ჩვენ ვიყინებით. სად გაქრა

შენი მხურვალება მეუღლევ ჩემო? არა, არა, აქეთ წავიდეთ. ამ მხარეს თბილა და სინათლეა. ბავშვი, ბავშვი სად არის? აკვანი რომ ცარიელია? (ელანდება ცეცხლმოკიდებული აკვანი) სად არის ბავშვი? მზის გულზე დგას, სულ პატარა, დიდი თვალებით, ბუნჩულა ფეხებს ღრუბლებს ურტყამს, ანცობს, იცინის. წამოდი-მეთქი, ახლოს მივიდეთ. ო, სულ გაყინულხარ მეუღლევ ჩემო. ხედავ? აკვანში არტახები დაგლეჯილია და სიცივეა გაუმთბარი! სად მიგყავარ? ბავშვი ეგერ... ხედავ? პატარას ცრემლები სდის, ალბათ გაბრაზდა დედიკოზე, კულულები ჩამოშლია პატარა ყურებს, რატომ არ გინდა ერთხელ შეხედო? იქით მიიწევ და მეც მეწევი? კარგი, მოვდივარ, ოღონდ მაგრად ჩამიხუტე. ჰო, ეგრე, ეგრე. ნუღარ ბრაზდები. აი, მოვდივარ, მაგრამ დედა ვარ და ნუ დამიშლი მზეს რომ შევხედო უკანასკნელად!“ ქალი წაბარბაცდება, ტატო ხელს შეაშველებს და უკვე მიცვლილს ბალახზე აწვენს. ტატოს ცრემლები ჩამოსდის: „ვაი, რომ ჩემი ხალხიც ამ ქალბატონივით დგას დიდი ხვეწნით და ისევე ვერაფერს ვშველით, როგორც ამ საწყალს.“ თვალებს უხუჭავს და ესმის ცხენთა თქარათქური. მდევარი მოვარდა ღრიალით: „დიდი თემურის ბრძანებით!“ ალყას არტყამენ, მაგრამ ტატო არც განძრეულა. კვლავ მიცვალებულს დაჰყურებს.

გმირის „გადაბირება“

თემური კარავში ნებიერად გაშოტილა და მასხარას უბღვერს. „სად გაილეშე არამზადავ? გაეთრიე, ქართველები მომგვარე.“ მასხარა ბარბაცით გავიდა. ქართველებთან კარვის მცველი გაგზავნა და ცოტა მოშორებით მწოლ მთვრალ, ნესვისთავა, მხვრინავ მონღოლს მიადგა, რომელსაც ღვინიანი დოქი ცხვირწინ უდგას. მასხარამ დოქი მოიყუდა, მაგრამ მთვრალმა ხელი სტაცა და წამოაქცია. „რა გინდა წყეულო,“ – გაუკვირდა მასხარას. იმან კი ლოშნა დაუწყო: „ნუ ჯიუტობ ჩემო ლამაზო.“ ჭიდაობაში მოძალადეს ქუდი მოსძვრა და მის

მოტვლეპილ თავზე მასხარამ კარგა ხანს დაუკრა. მერე „დოლი“ გამოფხიზლდა და გადააფურთხა: „ფუჰ, ვინ ყოფილა“ და ისევ ახვრინდა. მასხარა და ისევ თემურის კარავში შეძვრა, სადაც ივანე ათაბაგი დაჟინებით ამბობს: „მთელ შენს რემას მირჩევნია ჩემი ცხენი.“ „კიდევ ცხენს ითხოვს ეს უბედური.“ “მაშ ათაბაგო. არ ინებებ ჯერ წაბრძანებას? – ეკითხება თემური.

ივანე: – ვიდრე მეფის ძე შენთან ბრძანდება, რა უფლება მაქვს დავტოვო იგი?

შემოდის შაჰ-მალექი, თემურს მოწიწებით ესალმება და მოახსენებს მდევრების დაბრუნების შესახებ. „მოიყვანეს?“ – კითხულობს კოჭლი. „ქალს გული გახეთქია და თქვენიჭირი წაუღია, მაგრამ ჩემი მოსისხლე მოათრიეს“. თემური ანიშნებს და კარავში ტატოს შემოიყვანენ ძალით აჩოქებენ მბრძანებლის წინ. “ბევრმა ფრენამ ხომ არ დაგღალა?“ – დამცინავად ეკითხება თემური. „იმან იკითხოს, ვისაც ცალი ფრთა მოტეხილი აქვს. მე რა დამღლიდა? “ – დაცინვითვე ამბობს ტატო. „ოო, გალესილი ენა გქონია, მახვილი თვალი!“ – შაჰ-მალექს გახედა კოჭლმა. „გასაგებია მბრძანებელო,“ – თავი დაუქნია იმან. „არა, არა. მუნჯი და ბრმა ქართველებში ისეც ბევრია, – შეფარვით თქვა თემურმა, – მე მინდოდა მისი გაცნობა და ის ვიხილე. ყოჩაღ ჭაბუკო, მალექის დაჯაბვნა ადვილი არ არის, აქედან გაქცევა უფრო ძნელია. უკვდავი ყოფილხარ.“ ტატო იცინის. „რად დამცინი საპყარ მოხუცს?“ – მოჩვენებითად გაბრაზდა თემური. „რა ვქნა ბატონო, აღსაზრდელად ვერ მოვიცალე და ზრდილობაც არ მაქვს საშენო,“ – უპასუხა ტატომ. „ვერ მოიცალე? სამეფოს საქმეები გებარა ალბათ,“ – იცინის მონღოლი. „შენს ხალხს ვჟლეტდი დაუზოგავად!“ „რამდენი მოჰკალ“ „ზუსტად ვერ გეტყვი.“ “მოიცა ბიჭო. შენ ის ხარ ხომ. შარშან დიდი ფალავანი რომ გამილახე?“ „საკვირველია, როგორ გახსოვარ?“ „ვაჟკაცები მე ძლიერ მიყვარს, – აღიარა თემურმა, – ამიტომ ახლა მოისმინე ჩემი ბრძანება: კარგი ცხენი, კარგი ხმალი, ხალათი ჩემგან. მაჰმადის რჯული, საუკეთესო კარავი, ქალი და ოცი კაცი მოსამსახურე. ჩემი პირადი მცველი იქნები. თანახმა ხარ?“ ტატო კონსტანტი-

ნეს შეხედავს და კოჭლს პასუხობს: „ასე უცებ ვერ გიპასუხებ.“ „არა, ახლავეს უნდა შევთანხმდეთ. თუ არადა ჯალათიც კარგი.“ „თანახმა ვარ, ოღონდ ქრისტიანად თუ დავრჩები.“ „ბევრს ხომ არ ყბედობ?“ – გაბრაზდა თემური. „თანახმა ვარ.“ „შაჰ-მალექ. წაიყვანე და აღასრულე ჩემი ბრძანება!“ (გადიან) თქვენ კი ქართველნო, მოისვენეთ და იფიქრეთ, რა გირჩევნიათ, მშვიდობა და დიდება ჩემთან თუ ომი და კისრის მოტეხვა. შენ კი მსახურო (მიმართავს თათარს) ნურ ად-დინი მოძებნე და გადაეცი: მიბრძანებია ოცდღიანი დასვენება, გართობა და ნადირობა. ...ამ დღიდან ორიოდე თვის შემდეგ, იმერეთში გადასული მონღოლები ფრიად შეწუხდნენ, რადგან ქართველებს გულის გატეხვის და სულიერი დაძაბუნების ნიშანწყალი არ ეტყობოდათ. მებრძოლებს კი არა თვით თემურსაც გაუჩნდა ეჭვი საბოლოო გამარჯვების მოპოვებაზე და სარდალმა იმაზე დაიწყო ფიქრი, ღირსეული ზავი დაედო და გაცლოდა აქაურობას...

ნისლიანი დილაა. თემურ-ლენგის ჯარი იმერეთის სანახებს დაჰყურებს. ცხენზე მჯდომი თემური ტაფობს უყურებს, სარდლებს უბღვერს და ფიქრობს: „ვაი შენს თემურს! ასე მეგონა მთელ საქართველოს ლაგამი მოვდე, აქ კი ეტყობა მშვიდად ცხოვრობენ. ამათთან ომში გავჭაღარავდი და უშედეგოდ? ამაზე დიდი ქვეყნები მომისრავს, მაგრამ...“ და აქედან ხმამაღლა: „აქ კი ალლაჰ, შენც ხომ ხედავ, რომ უძლური ვარ. რატომ არ მომტყდა მეორე ფეხიც აქ შემოსვლამდე?“ „საკუთარ თავის გასამართლება თემურს როდი ჰქონია ჩვევად? ხომ არ დაბერდი მამაჩემო?“ – ეკითხება ფიცხ ურწანზე მჯდარი ნურ ად-დინი. „სიბერე არაფერ შუაშია. თვით ისკანდერიც მოიტეხდა ამაყ კისერს ამ ქვეყანაში.“ – ამბობს გაბოროტებული კოჭლი. “ეგ საკუთარი გულის ნუგეში თუ სიმართლეა?“ – ეკითხება ვაჟი. თემურმა ცხენი შეაყენა და უთხრა: „შვილო, ნურ ად-დინ, არავინ იცის როდის მოკვდება. ვინიცობაა ვერ მოვასწარი გურჯთა მოდრეკა, შემომფიცე, შენ დაასრულო ეს წმინდა საქმე!“ ნურ ად-დინი ცხენს დაძრავს და პასუხობს: „ვფიცავ ალლაჰს, წინასწარმეტყველს და შენს თავს თემურ!“ და კოჭლი ბრძა-

ნებს: „ახლა შენ და შაჰ-მალექი წინ წადით შვილო, გაიყოლეთ რჩეული ჯარი და რაც შეგხვდებათ, ისე აღგავეთ, რომ ჩემმა თვალმა ვერც შეამჩნიოს. ჩვენს მხარეს გადმოსულ ახალგაზრდას კი ყური უგდეთ, ორგულობა თუ შეატყვეთ არ დაინდოთ. მოიცა, ვიღაც მოდის. ჩვენი მზვერავი რაზმი ყოფილა!“

რაზმის მეთაური თახჩებურან ხორასნელი ჩამოქვეითდება და მოწიწებით მოიკითხავს: „მშვიდობით მობრძანებას გილოცავ მბრძანებელო მთელი ხმელეთის.“ თახჩებურანი საშუალო ტანის, ჩაკირული, უკისრო კაცია, უქუდო, ჯაგარა თმით, სუფთად გაპარსული პირისახით. მის უკან ლამაზი ქართველი გოგო-ბიჭებია. „ვინ არიან?“ – კითხულობს კოჭლი. “შენ მოგართვეს ერთგულების საწინდრად,“ – ქლესა ღიმილით ეუბნება ხორასნელი. „ლამაზი დეკეულები ჩანან. ქალები ჩემს ჰარემში შეჰყარე, ბიჭები კი სამარყანდში გასაგზავნ დავლაში!“ ტატო, რომელიც საკმაოდ მიუახლოვდა ამ ადგილს, ქალთა გუნდიდან იცნობს გულისწორს, მის ყელზე დაკიდებულ ავგაროზს და მასთან განშორების დღე ახსენდება. „ჩემი მზისო!“ – საკმაოდ ხმამაღლა წამოსცდა და გოგომაც მოხედა. დაჟინებით დააკვირდა მონღოლურად შემოსილ გულისწორს და მოგლეჯილი ავგაროზი ესროლა. იქვე მდგარმა ნუქერმა მზისოს მათრახი გადაუჭირა და ტატოს ხმალმაც იელვა. თავგაჩეხილი ნუქერი გაიშხლართა. ჯარი შეჩოჩქოლდა. „ეგ რა ჰქენი!“ – დაუღრიალა თემურმა. „სიფიცხით მომივიდა მბრძანებელო!“ „სიფიცხით? დაე ჩემმა სამართალმა გაგასამართლოს!“ და თემურმა მათრახი გადაუჭირა. ტატო არც შერხეულა, ცხენზე დარჩა. თემურმა ისევ აღმართა მათრახი, მაგრამ ტატოს გამოხედვამ მკლავი გაუშეშა. ვერა, ვერ გაბედა მეორედ გადაეკრა მათრახი. „რა გულადია ეს...“ – გაიფიქრა თემურმა და მერე თავის ვაჟს გადახედა და აღმართული მათრახი ნურ ად-დინის ზურგზე დაუშვა, რომელიც აბღავლდა და კიდევ „დაიმსახურა“ მათრახი. „ეს უნდა გახდეს ჩემი მემკვიდრე?“ – ბრაზობს თემური და შვილს დაუცაცხანებს: „ძღვენი ქართველთ ვერ უშველით. ჩემი წეღანდელი ბრძანება ძალაშია!“

ნურ ად-დინი ჯავრს ცხენზე იყრის და შაჰ-მალექთან ერთად ჯარს ქართველთა ასაოხრებლად გაუძღვება... თათრები სოფლებს ცეცხლს უკიდებენ, განურჩევლად სჯიან დიდს და პატარას, ქალს და კაცს. თემურს მხოლოდ ნახანძრალი ხვდება წინ და იგი ერთობ კმაყოფილია... საღამოს თემურის კარავში მხოლოდ მასხარაა და ნებიერად კოტრიალობს ბალიშებზე. შემოდის ნურ ად-დინი და რახან მბრძანებელს ვერ შენიშნავს, უხმოდ გადის. მასხარა წამოდგა, შარბათი მოსვა და აჯაჯღანდა: „ნათქვამია, ჩვეულება დედის ძუძუსაც ავიწყებს კაცსო. ბაიაზიდ სულთანმა მასწავლა კარგი თურქული ანდაზა: დათვმა სამოცი სიმღერა იცოდა და სამოცივე პანტაზეო. აი, თემური, რომელიც ადრე, ცხვრის და ძროხის ქურდი იყო, ამ საღამოს გამოეწყო ქართულ სამოსში, თან იახლა თახჩებურანი და წავიდა ჩუმად საქურდლად. ამას სჩადის დიდი თემური, რომელმაც უკვე სამოცდახუთს გადააბიჯა და მფლობელია უზამაზარი ქვეყნის, სიმდიდრის. ნეტავ ვინმემ გადაურაზოს ბოსლის კარი და ძროხის ნეხვში აგორავოს!“

ძროხის ქურდები

მთვარიანი ღამეა. ქართულად „მორთულნი“ თემური და თახჩებურანი ეზოში შეიპარებიან, სადაც პატარა ფაცხა დგას, ცოტა მოშორებით კი ნალია და გომური. ფაცხის უკნიდან ყეფა – ღრენით ვეება ძაღლი გამოვარდა, მაგრამ ხორასნელის ნასროლმა ისარმა ხმა ჩააწყვეტინა. „აქეთ,“ – ჩურჩულებს თემური და გომის კარს აღებს. ხორასნელი დარაჯად უდგება. თემურმა მალე გამოიყვანა საბელშებმული ძროხა გომიდან და ქურდები გავიდნენ ეზოდან. სოფლის გზაზე სრული სიწყნარეა. „ყოველ საქმეს ცოდნა უნდა,“ – თავს იქებს თემური. ამ დროს სოფელში დიდი ფორიაქი ატყდა. სოფელს თათრები შემოესივნენ .ცეცხლის ენები ცას წვდება. გაუგონარი მხეცობა და სისასტიკე ირგვლივ. ორ ქურდს მონღოლები წამოეწივნენ, ძროხა

წაართვეს და წინ გაიგდეს. თემური მორჩილედ მიდის, თახჩებურანი კი გაოჩნდება და კეფაში ცხენოსნის ფეხი მოხვდება. ორივეს დატყვევებულებთან მიათრევენ. იქ კი შაჰ – მალექი უფროსობს. მალე ტყვეებს წინ გაიგდებენ. „ეი, შენ, – თემურს ეძახის მალექი, – კოჭლო სახედარო! ფეხი ააჩქარე.“ თემური, პირიქით, გაჩერდება. შაჰ-მალექი ფიცხლ მიეჭრა და ხმალი აღმართა. „ფრთხილად ძაღლისშვილო!“ – იბღავლა თემურმა და შაჰ-მალექი ცხენიდან გადმოვარდა. „მოჩვენება ხარ?“ – დაიბლუკუნა. „მე შენ გიჩვენებ მოჩვენებას!“ – აღრიალდა თემური. ჯარი შედგა. „კოჭლი ეშმაკი? კიდევ რას მეტყვი?“ და თემურმა მის წინ გაშოტილ სარდალს დაღლამდე ურტყა მისივე მათრახი.

მზისო

თემურის ჰარამხანა დიდ კარავშია მოთავსებული. აქ მრავალი ჯურის ლამაზი ქალია. მათ შორისაა დარდისგან გამწარებული მზისოც. კარვის კუთხეში ჩადრიანი ახოვანი და მხაბეჭიანი ქალი ზის, მუხლებში თავჩარგული. მზისო მის გვერდით ჯდება. ახოვანი ჩადრს გადაიწევს და მზისოს მუჯლუგუნს გაჰკრავს. მზისო მისკენ მიიხედავს და ძლივს შეიკავებს კივილს. „ტატო?“ „ჩუმად, გამომყევი,“ – უჩურჩულებს ტატო და დგება. მზისო მიჰყვება. წინ კარვის საჭურისი გადაუდგათ, მაგრამ ტატოს დარტყმისგან ძირს ენარცხება. გარეთ გადიან. მცველები სიმთვრალისგან ენას ვეღარ აბრუნებენ. ტატოს თავის კარავში შეჰყავს მზისო და ერთმანეთს ეხვევიან.

დამშვიდობება კონსტანტინესთან

მონღოლთა კარავი: ყველა სარდალი აქ არის. კოჭლი გაწარებული დახანხალებს: „მაშ ზავს ითხოვენ ქართველები? ხომ არ გაგიჟდნენ? სადაც არის აფხაზეთი ჩემს ფეხთ იქნება“.

“იქით ისეთი ჭაობებია, გზას ვერ გაიგნებს თვით ჭოტი ღამით. მერე სახადი გაგვიჩნდება, თან ზამთარი კარს მოგვდგომია.“ – თქვა ნურ ად-დინმა. „და ჩვენს ცხენებს ეგრისელები მოგვტაცებენ და მოგვპარავენ,“ – აჰყვა შაჰ-მალექი.“ „ამიტომ სჯობს დათანხმდე ზავზე,“ – ურჩია ხორასნელმაც. „ასეთი ზავი, რომ მარცხს ნიშნავს? არა და არა, მაგრამ ალლაჰ სხვა გზაც რომ არ ჩანს. თან აჰა, თოვაც დაიწყო.“ აბა, მიხმეთ ქართველებს. (ბატონიშვილი და ივანე სამცხელი მოჰგვარეს). ბატონიშვილო, ტყვეობიდან გათავისუფლებ! წადი, უთხარი შენს უტვინო ძმას, რომ დღეიდან კვლავ მივდივარ აღმოსავლეთით, რადგან დაზამთრდა. გადაეცი, დავბრუნდები და საქართველოს ნახანძრლად ვაქცევ, სამუდამოდ გადავასწორებ.“ „ვიდრე ულაყს არ დამიბრუნებ, ფეხს არ მოვიცვლი ბანაკიდან!“ – გაჯიქდა ივანე. „მიეცით ჩქარა და გაგვეცალონ,“ – აყვირდა თემური.

კონსტანტინე და ივანე აღარ დაყოვნებულან და მალე მიაჭენებდნენ ცხენებს თავისი მეფისკენ. „რად გინდოდა ეგ შენი ცხენი? უკვე დაბერდა,“ – უკვირს ბატონიშვილს. ივანე გამხიარულდა; „გამოვცადე მონღოლი ძაღლი. რაკი იოლად დამითმო ცხენი და მომიშორა თავიდან ამით, რაკი სურს ჩქარა შევატყობინოთ მეფეს ზავის შესახებ, ჩანს მშვიდობა სწყურიათ და ეჩქარებათ.“ „დაზავებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენთვისაც ახლა, – ამბობს კონსტანტინე, – მხოლოდ მშვიდობას შეუძლია ააღორძინოს და გაათბოს დამზრალი გული. ხვნას და თესვას, მშენებლობას, მუყაით შრომას შეუძლია განმტკიცება სახელმწიფოსი.“ „ის ბიჭიც მარჯვედ გაიპარა,“ – თქვა ივანემ ტატოზე. „თან რა ტილო დახატა ჩუმად,“ – უთხრა ბატინიშვილმა. „რა დახატა ბატონიშვილო?“ „კოჭლი ეშმაკი გამოსახა ცოლებს შორის ბავშვით ხელში და იმ ბავშვსაც მიუხატა თემურის სახე და ყელზე თავის ქალები ჩამოჰკიდა მძივად აცმული და პირიდან ცეცხლი ამოსდის.“ „გაგიჟდება, რომ ნახავს კოჭლი,“ – გაეცინა სამცხელს და დანანებით დაამატა: „ეჰ, რამდენი გვყავს ტატოსნაირი და მაინც დღემდე ქვევით ვეშვებით.“ “„რომ მიდიოდა, იცი, რა მითსრა? – ამბობს კონსტანტინე, – თავის საცოლეს გადახვია

მარჯვენა ხელი და ეს თქვა: ახალი საქართველოს ასაშენებლად მივდივართო“. „ღმერთო შენით,“ – პირჯვარი გადაიწერა ივანემ.

შორს მოჩანს მთები. მზე ლამის მთელ შუბზე ამოლაღდა და მის სხივებზე თოვლი აბრწყინდა. ისმის ზარების რეკვა იმის მაუწყებლად, რომ ნატანჯმა ქვეყანამ მშვიდობა მოიპოვა.

სამარყანდი

საქართველოდან წასული თემური ჯართან ერთად უდაბნოს გადის.ცხენზე თვლემს და ფიქრობს: „ო, რა ძლიერ მიყვარს უდაბნო. ცხელი ქარი და ქვიშის მხუთავი კორიანტელი. რა ვქნა, არასდროს მივტიროდი დღეებს გარდასულს. მტრის შებრალება როდი იცის სასტიკმა ომმა, ბევრჯერ ავაგე მოჭრილ თავთა ციხე-კოშკები, განა იმიტომ, რომ სასტიკი და ხალხის მტერი ვარ. „აბა გეკითხა თავმოკვეთილი გვამებისთვის,“ – უთხრა მასხარამ. „იმ უბედურებს ექნებოდათ სხაგვარი აზრი. ისე, კარგია, რომ მოჭრილ თავებს აზრის გამოთქმა არ შეუძლიათ,“ – გაიცინა თემურმა. მასხარამ კი მყისვე მიუგო: „ბოროტებას კარგი ნაყოფი ჯერ არავისთვის მოუტანია.“ „მაგრამ სიკეთის, სიკეთის ქმნას კი შეუძლია მიანიჭოს ვინმეს პატივი? არა მგონია.“ „მეც ვიყავი ერთ დროს ბოროტი, – თქვა მასხარამ, – და ამაყი შენზე მეტიც... და ვფიქრობდი, გასაჟლეტია სუსტთა მოდგმა, კაციც და ქალიც.“ „მაშ რად ამტყუნებ ჩემს სამართალს?“ – იკითხა კოჭლმა. „იმიტომ, რომ ვცდებოდი მაშინ. ყველა რომ შენისთანა სასტიკი და დაუნდობელი იყოს, კაცობრიობა ამოწყდებოდა.“ „ხომ შეიძლება სუსტიც გახდეს ძლიერი და იმ ძლიერმა, ვინც თავის დროზე არ მოჰკლა იგი, ინანოს ამით?“ – იკითხა თემურმა. მასხარამ მოუჭრა: „სამაგიეროდ, ერთი კაცი ხომ იქცევა ნამდვილ ვაჟკაცად და ეს ძლიერს ანიჭებს პატივს უფრო უდიდესს, ვიდრე ასი სუსტის სიკვდილი.“ „აბა რად მინდა ეგ პატივი, თუ დაღუპვის ფასად დამიჯდა?“ – გაიცინა თემურმა. „სახელისთვის!“ „სახელს ისედაც მომიმატებს სუსტთა გაჟლეტა!“

„ეგეთი სახელი ნაჩქარევად დადგმულ კარავს ჰგავს, რომელსაც ქარი უდაბნოსი თუ ვერ წააქცევს, მტვრით გადაფარავს“, – მიუგო მასხარამ. „როდის იყო ჩემი დიდების ტახტზე ზრუნავდი? თანაც რა დროს ამის განსჯაა. სამარყანდში ვართ!“

დედაქალაქი დიდი ზეიმით ხვდება თავის მეუფეს. იწყება სხვადასხვაგვარი სანახაობები.

ერთი წლის შემდეგ

სამარყანდში სრული სიჩუმეა. მოსახლეობა დამწუხრებული დადის. თემურის სასახლის ეზო სავსეა. სასახლის ერთ-ერთ პალატში, ტახტზე მომაკვდავი თემური წევს. ყველა წარჩინებული მონღოლი აქაა. „ჩინეთის ელჩი!“ – ისმის ხმა. ორი ძვირფასად შემოსილი ჩინელი შემოდის და თავაზიანად ესალმებიან საზოგადოებას: „სალამი ქვეყნიერების მპყრობელ ბატონებს! ქედს ვიხრით დიდი თემურის წინაშე.“ „გამარჯვება არ მოაკლდეს თქვენს იმპერატორს,“ – ესალმებათ ნურ ად-დინი და ჩაილაპარაკებს: – ჩვენს შემოჭრამდე.“ და მაღალი ხმით: „დიდ მადლობას მოვახსენებ თქვენს იპერატორს დავრდომილი მამის მაგივრად.“ პირველი ჩინელი: „რა თქვეს ექიმთა?“ „ერთ კვირასაც ვერ გაატანსო,“ – პასუხობს შაჰ-მალექი. ელჩებს სიხარული აშკარად ეტყობათ. ნურ ად-დინი თემურის ტახტთან მიდის და მოკრძალებით ეუბნება: „ჩემო ბატონო, შენი მეგობრის, ჩინეთის მეფის მსახურები გეახლნენ ძვირფასი ძღვენით და იმ ქვეყნად მიმავალმა ეგებ უთხრა ორიოდ სიტყვა.“ მასხარამ ჩაიჩურჩულა: „ნეტავ რომელ „იმ ქვეყანაზე“ თქვა?“

თემური წამოიწია, მაგრამ თავი ისევ სასთუმალზე ჩამოუვარდა. მონღოლებმა ცრემლი მოიწმინდეს. ნურ ად-დინმა შაჰ-მალექს მიმართა: „ძმაო, მართალია სამარყანდი მგლოვიარეა, მაგრამ სტუმრებს ჯეროვანი პატივისცემა უნდა მივაგოთ“, პირველი ჩინელი: „არა ბატონო. გვეჩქარება. მალე უნდა შევატყობინოთ ეს ამბავი იმპერატორს.“ მეორე ჩინელმა კი დაამატა: „მოგეხ-

სენებათ, მთელს ქვეყანაზე განთქმულია ექიმები დიდი ჩინეთის.“

ელჩნი მოწიწებით ემშვიდობებიან მასპინძლებს და ლამის გარბიან. თემური ჯერ შეირხევა, მერე თავს წამოწევს და უცებ წამოხტება ტახტიდან საღი და ჯანმრთელი და შესძახებს: „ახლა კი დროა, გავასწოროთ ანგარიში ბებერ ჩინეთთან!“ ყველა ხარხარებს. „საჭირო იყო, ვერვინ დაგვძრახავს. მთავარია ჩემი ხალხი და სახელმწიფო ძლიერი, თორემ სხვა ხალხს, რაც არ უნდა წყალობა უყო, მუდამ თავისს ამჯობინებს მომხდურს და უცხოს, როგორც მშობელი, ვისაც თავისი გაზრდილი შვილი, თუნდაც მკვლელი, ბოროტი და სიკეთის მტერი, სხვის შვილს მაინც ურჩევნია, გინდა ბრძენთაბრძენს!“

მტარვალის აღსასრული

საშინელი ქარბუქია. თემურის ჯარს კარვები ჩინეთის ქალაქ ოთრარის მისადგომებთან გაუშლია. ყველაზე დიდი კარვიდან შეფუთვნილი მასხარა გამოდის და ღაღადებს: „სიკვდილთან თამაშს, მამაძაღლობას არავის ვურჩევ. აი, კოჭლ მაიმახსაც არ შერჩა სხვათა შეცდენის და მოტყუების გათამაშება. ავად გახდა და სამი დღეა მკვდარივით გდია.

თემური მარტოდმარტო წევს კარავში და ეტყობა, უკვე სიკვდილის კლანჭებშია. მას ელანდება ყველა ის, ვისაც სიცოცხლე მოუსპო, ლამის აგიჟებენ. გამწარებული წამოჰყოფს თავს: „არა, არა, უნდა ავდგე. ჩემი ქურანი მეძახის გარეთ, თარაღაის სული მეძახის, ჩემი ამაყი მეომრები და მეთაურნი!“ და წამოდგება და უცებ გაშტერდება: „შენ რაღა გინდა უბინძურესო წყეულთა შორის?“ და მართლაც, მის წინ საშინელი ჯოჯო დგას, რომელიც პასუხობს: „რატომ მაგინებ ჩემო ბატონო? სული ვარ შენი!“ „თუ შენ მართლა ჩემი სული ხარ, და დატოვე ჩემი სხეული, მკვდარი როგორ გესაუბრები?“ – ეკითხება თემური. „მე შენთან ერთად უნდა მოვკვდე, რადგან პატრონი შენ ხარ ჩემი“. „ჩემთან ერთად დაიბადე?“ – არ სჯერა თემურს. „არა, როცა შენ ძალით გამოგა-

თრიეს დედის საშოდან, მაშინ მეც ავანგრიე თვით სულეიმანის ბეჭედდასმული თუნგის საცობი, ამოვიმართე და ჩავძვერი შენს სხეულში, რათა იქიდან გამედევნა სული კეთილი.“ – მიაყარა ჯოჯომ. „ცუდი ის არის, რომ შენც მოკვდები ჩემთან ერთად, მე კი მინდა კვლავაც იცოცხლო!“ ჯოჯოს გაეხარდა: „მაშ, გავაგრძელებ სიცოცხლეს. თუ ჩემს მფლობელს მოესურვება სიცოცხლე ჩემი, მე ვაგრძელაბ არსებობას!“ „და რა აზრი აქვს შენს არსებობას ჩემს გარეშე?“ „ჩავუძვრები ახლა სხვა სხეულს!“ “ბევრი სხეული დაუმორჩილე შენს ამაყ ვნებას?“ – ჰკითხა თემურმა. „უამრავის და კვლავ ბევრს გავხდი ჩემს მსახურად!“ „მაშ მე, თემურს, მთელი სიცოცხლე შენი მონობა მაწვა კისერზე?“ – გაბრაზდა თათარი. „გამოვნახეთ საერთო ენა.“ „წასვლას აპირებ? შენი წასვლა მე ხომ მომკლავს?“ „თავად შენ არ გადაწყვიტე, მე რომ მეცოცხლა შენი სასიკვდილო ამოსუნთქვის მერე?“ „რაც გსურს წაიღე, ოღონდ სული დამიბრუნე, თუნდაც ჩემი, პირველყოფილი,“ – წამოუდგა თემური. ჯოჯომ თავ გააქნია უარის ნიშნად: “თვალს ვერ ამიბამ, ტყუილად წვალობ. რაც მჭირდება, სწორედ ის მიმაქვს!“ და გაქრა.

ისტორიის ახალი ფურცელი

გაზაფხულის შუადღეა. სოფელში ქორწილია. ტატო და მზისო იწერენ ჯვარს. ნეფე-დედოფალი ეკლესიიდან გამოდის და მაყრებთან ერთად ცხენებზე ამხედრდება. ყველა დიდ სიხარულშია.ისმის მრავალჟამიერი. ანაზდად ზარების საგანგაშო ხმა შეერევა სიმღერას და ყვირილი: „მტერი შემოგვესია!“ ტატო მაყრებთან ერთად საჭურველს და იარაღს ისხამს, მზისოს ემშვიდობება და ცხენთა ჭენებით ამაყი ქართველნი მტრის შესამუსრად მიეშურებიან. იწერება ჩვენი ერის ისტორიის ახალი სისხლიანი ფურცელი.

1982-2024 წლები.

ღვთის თვალი

მაღალი, მელოტი კაცი იყო, სამოცდაათს გადაცილებული. მოწყენილი არასდროს მინახავს. კეთილ ღიმილს არ იშორებდა. სიქაჩლეც კი უხდებოდა. ერთხელ კახეთში წაგვიყვანა, ჩემი ზვრები უნდა გაჩვენეთო. თუ ქართული ტელევიზია გქვიათ, მსხმოიარე ვაზზე უკეთესს ვერავის გადაიღებთო. „ვერაფერსო“ კი არ თქვა – „ვერავისსო“. ვაზს და ადამიანს ერთნაირ განზომილებაში ხედავდა.

რეზოს ვენაცვალე, ჩხეიძესო, გვეუბნებოდა გზაში. მაგან რომ ჯარისკაცის მამას იმ „ჩომპლე“ რუსისთვის შემოაკვრევინა ყბაში, მის მერე დავუძმაკაცდიო. რეზოსთან ხშირად ვარ, ოჯახშიც თავისუფლად მიმესვლება მაგასთანო, ოღონდ მალი-მალ ვეღარ მივდივარ. ამ ბოლო დროს. ჩემზე კარგა უფროსია, მაგრამ სულ საქმეშიაო. შენ გოგო, რას გაგიყვია ეგ შუშა მანქანის ფანჯარაში, რას ხედავ ამისთანასო, უსაყვედურა ჩვენ თინიკოს, რომელიც თავის ყოვლისშემძლე კამერით გარე კახეთის საშემოდგომო კარმიდამოებს იღებდა.

შენ გააგრძელე ძმაო, ჩვენ ვიცით რასაც ვაკეთებთო, გამოესარჩლა თინიკოს საჭესთან მჯდომი ჯონი ჯანელიძე, მათემატიკის პროფესორი, ტელევიზიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. თან დაუმატა, რეზო ჩხეიძით რომ წაიღე ტვინი, სახელად გიმრი ვინ დაგარქვა, შევარცხვინე შენი ნათლიაო. რაიო, ეწყინა გიმრის, ამან რომ მითხრას, მე დამარტყა მხარზე, ანდა თინიკომ, კიდევ მივიღებდი, მაგრამ შენ, ქართველს რომ ჯონი ქვია, რა ნამუსით მიწუნებ სახელსო. ჯონის გაეცინა და კონფლიქტიც ამით ამოიწურა.

ეეხ! სამივენი ერთად, ლამის ერთ თვეში წავიდნენ! რეზო ჩხეიძის პანაშვიდის დღეებში, საქართველოს ტელევიზიებზე გადიოდა კადრები, სადაც ე.წ. „კალიასკაში“ მჯდარ დიდ რეჟისორს, მორიგეობით დაატარებენ არც თუ ახალგაზრდები ჯონი ჯანელიძე და გიმრი ბაწელაშვილი. ზეციურ საქართველოში ღიმილის ბიჭებივით მიყოლებით წავიდნენ... თუმცა ახლა ვზი-

ვართ ჯონის მანქანაში და კახეთისკენ მივქრივართ.

რეზოს აღარ შეუძლია, თორემ ახლა ჩვენთან იქნებოდაო, ოხრავს გიმრი. ჯონი ხითხითებს და ამბობს, გიმრი სახელოვან ხალხზეა დაგეშილიო. რა ვქნაო, იცინის გიმრიც, მაგათ ვენაცვალე, სქართველოს მიცოცხლებენო. ამანო, აგრძელებს ჯონი, ჩვენი დიდი მწერალი რევაზ მიშველაძე რომ გაეცნო, ღამეები ათენა მწერალთა კავშირთან და როცა უთხრეს, მწერლები აქედან გაყარეს სააკაშვილის ბრძანებითო, მხოლოდ მაშინ აახვიაო. მერე რუსთაველზე შემთხვევით გადაეყარა ბატონ რეზოს და ეტაკა ხელზე საკოცნელად, მაგრამ იმან არ დაანება და სიყვარულით გადაეხვიაო.

ისე არ აგიდგა გვერდებიო, „დალოცა“ გიმრიმ, მიშველაძეს ლამის ნახევარი საუკუნეა ვიცნობო. ისემც კარგი დაგემართოს, ჩაილაპარაკა ჯონიმ. შენ მაინც დამიგდე ყური, მომაძახა გიმრიმ, ყოვლისმცოდნედ რომ მოგაქვს თავი (საიდან შემატყო?), მიშველაძეს, იქედან ვიცნობ როცა „ჯარისკაცის მამას“ იღებდნენ და ის ეპიზოდი, მახარაშვილმა რომ რუს სალდათს ხეთქა, სწორედ მიშველაძის დაწერილიაო. თავიდან სცენარში იყო გათელილი ვენახი და თვალცრემლიანი მახარაშვილი ამის ფონზე, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ, სულ ახალგაზრდა რეზომ, მიშველაძემ, ასე 25-26 წლის იქნებოდა, თქვა: გათელილი ვენახი და მერე მასზე მსჯელობა ჟურნალისტიკის სფეროა, ხელოვნებამ კი ისიც უნდა აჩვენოს, როგორ მოხდა ესო და იქვე, სახელდახელოდ დაწერა მთელი სცენაო. აი, როდიდან ვიცნობ მიშველაძეს მეო, გაიჯგიმა გიმრი...

დავათვალიერეთ და გადავიღეთ გიმრის ვენახი, სულ ექვსი მწკრივი იყო, თითოეული ლამის კილომეტრი სიგრძის. ბოლო არ ჰქონდა. კაცის სიმაღლეზე ეკიდა უკვე სიმწიფეში შესული მტევნები. მათი მოფერება და გულში ჩახუტება მოგინდებოდა.

– აი ეს არის ჩემი ცხოვრება და ქონება! ახლა ხომ ხვდები ჩემო ჯონი, რატომ ვმეგობრობ დიდ ადამიანებთან. მეც დიდი ადამიანი ვარ და იმიტომ. ასეთ ვენახს კახეთში ვერ ნახავთ, კახეთში კი არა, მთელ მსოფლიოში, – თავს იქებდა გიმრი.

– რა გინდა მერე, ნობელის პრემია მოგცეთ? – გაეცინა ჯონის.

– თუ სადმე სამართალია, მეკუთვნის, – შეიფერა გიმრიმ.

– გეკუთვნის ძია გიმრი. ორი გეკუთვნის ერთად! – შესძახა თინიკომ და კამერა არც მოუხსნია, ისე მიეძალა ნახევრად მწიფე ყურძენს.

– ეგ არ ჭამო შვილო, აქეთ საადრეო მაქვს. ის მიირთვი... და თინიკოზე ადრე მე და ჯონი გავჩნდით იქ.

– ხომ არის თაფლივით? – არ გვაცლიდა მასპინძელი.

თაფლზე და შაქარზე ტკბილი გამოდგა.

– ამ ყურძენს რომ შესევიხართ მელიებივით, ეს ვენახი არ უნდა დალოცოთ? – შემოგვესმა ხმა და ზვრის სათავეში როლანდი კილაძე გამოჩნდა მეორე ოპერატორ შოთიკო კირვალიშვილთან ერთად. როლანდს ათლიტრიანი სავსე ბოცა ამოეჩარა იღლიაში (არ ვაჭარბებ) და მეორე ხელში, ცელოფნის პარკში ჩურჩხელები და ტყლაპის დიდი გორგალი იწონებდა თავს. შოთიკო კი ძლივს მოათრევდა ვეება საზამთროს და ერთად დევს და ნაცარქექიას ჰგავდნენ. ჯონი მანქანისკენ გაიქცა და უკან ორი ზორბა ჯამით მოირბინა.

– დირექტორს გაუმარჯოს! – ყველას გაგვეხარდა მათი დანახვა.

– შენი დიდება იყოს მაღალო ღმერთო! – სავსე ჯამი აღმართა როლანდმა, – ამრავლე ქართველები და ყველა მშრომელს ასეთი ბარაქა მიეცი, როგორც ამ ვენახის პატრონს. დიდხანს ჯანმრთელად გვიმყოფე პატრიარქი და შეეწიე საქართველოს!

სამ-სამი ჯამი მივირთვით და გიმრი აჯიჯღინდა: – გვეყოფა ახლა. ზემოთ, გორაკზე, ჩრდილში, დიდი სუფრა გველოდება. ამ შუაგულ კახეთში, კახელ კაცს ნუ მაქეიფებთ იმერლის მოტანილ ღვინო-საზამთროზე!...

როცა გადაღებებს მოვრჩით, გიმრის მოკეთეებს სუფრა უკვე გაეშალათ გორაკზე. სუფრა იყო ისეთი, როგორც კახეთში იციან... ხვალ ისეთ რამეს გაჩვენებთ, სულ გადაგრევთო, გვეუბნება გიმრი და აგრძელებს: ამ სოფლიდან მეორე სამამულო

ომში 12 ვაჟკაცი წავიდა. წასვლის წინ, სოფლის ბოლოში მდგარ ალვის ხეში, თორმეტივემ ნამგალი ჩაარჭო. რომ დავბრუნდებით, მაშინ ამოვაძრობთო. აი, ის გადავიღოთ ხვალ. ნამგლები ხეში დარჩა, უკან ვერცერთი ვეღარ დაბრუნდაო.

თამადამ, ხუტუნიჩს რომ ეძახდნენ, თავი გადააქნია: ვეღარ გადაიღებთო. ის ხე ლამის ხუთი წელია, გახმა და ღუმელში შეუკეთა სოფლის გამგებელმაო.

– არ შემარჩინოთ ახლა ერთი გამხმარი ხე, – წამოდგა მოკლე შოთა(ასე ეძახდა ყველა).

– კარგი, კარგი, სიტყვას მოჰყვა თორემ, შენმა მომდევნო გამგებელმა სოფელი შეჭამა, შერჩა და შენ მართლა რას გერჩით, – უთხრა თამადამ და მერე, ეტყობა რაღაც გაახსენდა და დაამატა, ისე, თავს ნუ გამოიდებ, შენც კარგი ბელტიყლაპია იყავი.

მოკლემ ხელი ჩაიქნია, სავსე ჭიქიანი კი არა, მეორე.

გიმრიმ ჯერ შეიცხადა ალვის ხის გახმობა, მაგრამ მალე გამხიარულდა და: – ნახეთ, სტუმრებო, ნახეთ, რა ეზო აქვს ჩემს მოკეთეს, გინახავთ უკეთესი, გინახავთ? – დაგვაჯინდა. – გვინახავს ბატონო, ამაზე ამაზე ათასჯერ უკეთესიც გვინახავს! – შეუღრინა ჯონიმ, – აბა შენ, პატიაშვილის ეზო ნახე წეროვანში და მერე მელაპარაკე. „რა, ნამყოფი ხარ?“ – შურით შემოხედა გიმრიმ. „კი“, – ამაყად გახედა ამან. “ვახ, – გაეხარდა მასპინძელს, – ჯუმბერ ილიჩი ხომ არის ყოჩაღად.“ „კი“, – თავი დაუქნია ჯონიმ. „იმ ეზოს ხომ მიჩვენებ, ხომ მიჩვენებ?“ – აღელდა ჯონი.

– შენ ეზო გაინტერესებს თუ პატრონი? – წამოსცდა თინიკოს.

– ეზოს პატრონს თქვენზე ადრე ვიცნობ მე, – მიახალა გიმრიმ და აქ ჯონის ლამის თვალები გადმოცვივდა და მიაძახა: – ისემც შენ რა გითხარი. სად და როდის გაიცანი?

– როდის და... როცა თბილისში პლეხანოვი აღმაშენებლად გადაკეთდა. აი, ეგრე, – თქვა გიმრიმ და თვალი ჩაუკრა.

– რაი? – ხმაში ხრინწი გაერია ჯონის.

გიმრიმ კი თვალები დახუჭა და დაიწყო: – ექვსასი ცხენოსანი

მოადგა თბილისს, რომელთაც დიღმიდან უკვე დავით აღმაშენებლის ხეივნად წოდებული გზა გამოიარეს და აღმაშენებლის გამზირს მიადგნენ..

– შენ რა იცი, სად იყავი? – აღელდა ჯონი.

– იმ ცხენოსნებში ვიყავი, – ამაყად თქვა გიმრიმ, – წინ, დროშით ხელში, ჩვენი საყვარელი არტისტი გურამ ფირცხალავა მიგვიძღოდა, სიმბოლურად დავით აღმაშენებელს განასახიერებდა. ჩვენს კვალდაკვალ აბრას „პლეხანოვი“ ახალი აბრა „დავით აღმაშენებლის გამზირი“ ცვლიდა. მთავარი სასწაული იმ საღამოს, ფილარმონიაში შედგა – საზეიმო კონცერტზე უცნაური დამთხვევა მოხდა, – პირჯვარი გადაიწერა გიმრიმ, – ერთდროულად, მარჯვენა კარიდან ილია მეორემ შემოაბიჯა და დარბაზის მარცხენა კარიდან – ჯუმბერ პატიაშვილმა. დამსწრე საზოგადოება წამოდგა და ტაშით შეეგებათ. დარბაზის შუაგულში შეხვდნენ. ჯუმბერი მიეახლა უწმინდესს, მან დალოცა, გულთბილად მოიკითხა და გვერდიგვერდ დასხდნენ. ამას ჰქვია, ერი და ბერი ერთად ზეიმობდნენო.

– ეს იმხელა მოვლენა იყო ჩვენთვის, ახალგაზრდებისთვის, რომ ჯუმბერ პატიაშვილს ჯუზეპე გარიბალდის ვეძახდით, – თქვა როლანდ კილაძემ, – არ დაგავიწყდეთ მეგობრებო, მაშინ საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდით.

სუფრაზე სიჩუმე ჩამოვარდა.

– როლანდი მართალია, საბჭოთა კავშირში მოხდა ეს, – ვთქვი მე, – და იცით, რა გაგრძელება მოჰყვა ამას... მოსკოვში ჩასულ პატიაშვილს, პოლიტბიუროს წევრმა იაკოვლევმა ჰკითხა, რა დაგიშავათ პლეხანოვმა? პროსპექტს სახელი რატომ გადაარქვით? პასუხად კი მიიღო: მოსკოვში გაქვთ პლეხანოვის პროსპექტი? ლენინგრადში? აბა, მაშ რატომ უნდა იყოს თბილისში?.. მსმენელთ აშკარად მოეწონათ პატიაშვილის ქმედებაც და პასუხიც. გიმრიმ კი ჭიქა ასწია და თამადისგან ნებართვა არც უთხოვია, ისე წარმოთქვა:-ასეთი საქმეების გამკეთებელ ყველა ქართველს გაუმარჯოს ჯუმბერის თამადობით. ახლა ბუშს არქმევენ ქუჩებს და დემოკრატები ვართო, მაშინ

აღმაშენებელს არქმევდნენ და...ეჰ, მოდი გაუმარჯოს!

თბილისისკენ იმ ღამითვე წამოვედით, ვინაიდან გიმრის ნაქები ალვის ხე მოკლე შოთას ღუმელში ქცეულიყო ნაცრად და რაღას გადავიღებდით? აუჰ, რამდენ რამეს მოვუყვები ახლა ჩემს რეზოსო, უხაროდა გიმრის, ძალიან კი დაბერდა. ახლა სტალინზე უნდა ფილმის გადაღებაო.

– ბიჭო, – მეუბნება გიმრი, – ხომ მაქვს საერეკლო ვენახი.

– ღვთის თვალი ტრიალებს შენს ვენახში, – ვეუბნები და მანქანის ფარებით განათებულ გზას გავყურებ.

– ეგ მხოლოდ ღმერთმა იცის, სად რა ტრიალებს, – მეუბნება, – დღეს დილით რევაზ მიშველაძეზე ვისაუბრეთ, და სწორედ რეზოს აქვს ნოველა „გვრიტი“, რომლის წაკითხვის მერე მივხვდი, რომ ცისიერსა და მიწიერს შორის კავშირი ზოგჯერ ნამდვილია, ზოგჯერ კი – მირაჟი. გადავწერე და სულ თან ვატარებ.

– რას? – ვეკითხები.

– მიშველაძის ამ ნოველას, – მპასუხობს და ჯიბიდან საფულეს იღებს, ხსნის და ბრძანებას იძლევა, – ჯონი, გააჩერე და სალონში შუქი აანთე. შენ კი ყმაწვილო, ეს წაიკითხე ხმამაღლა!

საფულედან ამოღებულ არითმეტიკის რვეულის ტყუპ ფურცელზე გიმრის ხელნაწერს ვკითხულობ:-რევაზ მიშველაძე „გვრიტი“

ძვირფასო მკითხველო, უმორჩილესი თხოვნა მაქვს თქვენთან – თუ სახლში არ გაქვს, ბიბლიოთეკაში მოიძიეთ რევაზ მიშველაძის 25 ტომეულის მეშვიდე ტომი და იქ, 292-293გვ. იპოვი ამ ნოველას და თუ წაიკითხავ, მიხვდები იმას, რატომ არის კავშირი ცისიერსა და მიწიერს შორის ზოგჯერ ნამდვილი, ზოგჯერ კი – მირაჟი. დამეთანხმებით, რომ ღირს ამის გასარკვევად დროის „დაკარგვა“.

ანდა უფრო იოლ გზას გასწავლით: 2019 წელს ჩემს მიერ გადაღებული ზეპირი ნოველა „ღვთის თვალი“ მოძებნოთ იუთუბზე და იქ გაეცნობით ამ ნოველას, რომელიც წავიკითხე ზაფხულის იმ ღამეს ჯონის მანქანაში ხმამაღლა... „გვრიტის“

წაკითხვის შემდეგ, თბილისამდე ხმა არ ამოგვიღია არც-ერთს. „რას გვერჩოდი ძია გიმრი?“ – იკითხა თინიკომ ნამტირალევი ხმით. „ეს რამხელა საფიქრალი გამიჩინეთ,“ – ამოიოხრა ჯონიმ.

– აბა ისეთ მწერალს და რეჟისორს რა ვუთხარი, საფიქრალს რომ არ გაგიჩენს და სატკივარზე მალამოს არ დაგადებს, – ჩაილაპარაკა გიმრიმ, ნოველა გამომართვა, საფულეში ჩაიდო და ჯიბეში საგულდაგულოდ შეინახა.

2024 წელი. პირველი იანვარი.

დულა – ქართულ-საბჭოთა დეკამერონი

ბოლო წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ამ ღვთისანაბარად მიტოვებული სოფლისთვის, დულა ფხაკაძის დაბრუნება იყო რუსეთიდან ანუ „მატუშკა რასიიდან“, როგორც თავად დულა ნიკიფოროვიჩი უწოდებდა.

სოფელი დიდი არაფერი, ადრე ხუთას კომლიანი, ახლა კი მეოთხედზეა დაყვანილი არაპროფესიონალი მწეველის გადაგდებული „ბიჩოკივით“. შევარდნაძის მეორედ მოსვლის შემდეგ დაიწყო დაცლა – განახევრება. მიშამ მთლად მოუთავა ხელი. „ხერხემალი“ ვანოს დროს, ოცზე მეტი ჯანღონიანი დაეპატიმრეს მოგონილი ბრალდებით, დანარჩენებმა გაასწრეს სოფლიდანაც და ქვეყნიდანაც. დარჩნენ ბებრები, ბავშვები, აქა-იქ ქალები, რამდენიმე თითქმის გალოთებული კაცი და მე, თქვენი მონა-მორჩილი. ამ სოფელთან მხოლოდ ბავშვობის რამდენიმე კვირა მაკავშირებდა და, როგორ აღმოვჩნდი ახლა აქ, თუ დაგაინტერესებთ, მკითხეთ და გენაცვალოთ ჩემი თავი – მოგახსენებთ. სამაგიეროდ დემოკრატია გვაქვს თავზესაყრელად, რადგან ეს ცნება საქართველოში გინების და შეურაცხყოფის სინონიმია, ამის ნაღდ ნიმუშებს უხვად მოისმენთ, თუ მეზობელთან ერთად ჩართულ ტელევიზორს მიუჯდები და საინფორმაციოს გადაეყრები: აგინებენ ყველას, პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს, მთავრობას, პრეზიდენტს, ოპოზიციას და იმ სიტყვებით, ლამის სექსუალური „დახვეწილობის“ მწვერვალებს იპყრობენ.

ამ თითქოსდა დაკარგულ ადგილს, მსოფლიოს ლამის ყველა კონტინენთან აქვს კავშირი, რისი დასტურია ამანათები, რომელიც კვირაში სამ დღეს მოედინება ავსტრალიის, ამერიკის, ევროპის, აზიის და აფრიკის ქვეყნებიდან. ყველაზე დიდი გუნდით სოფლის ყოფილი კომკავშირული, პროფკავშირული და თქვენ წარმოიდგინეთ, პარტიული აქტივიც კი წარმოდგენილია რუსეთში, საბერძნეთსა და იტალიაში, ყველაზე ნაკლებით – აფრიკაში, ალჟირში ცხოვრობენ და შრომობენ დედა-შვილი

ლურსმანაშვილები. ადგილზე დარჩენილნი კი იკვებებიან და იმოსებიან ემიგრანტთა ამანათებით და უპირატესობას მუდამ ერთპარტიულ სისტემას ანიჭებენ: ნიკოლოზის დროს მონარქისტები იყვნენ, სტალინის დროს – ბოლშევიკები, შევარდნაძის დაუმთავრებელ პერიოდში – მოქალაქეები, მიშას დროს ნაცმოძელები. ახლა კი ბიძინობენ და ივანიშვილების გვართან ნათესაურ ძაფებს ეძებენ. ზოგჯერ პოულობენ კიდეც და უხარიათ კიდეც და ტრაბახობენ, რომ ბიძინა მათიანია, ამიტომაა მაგარიო, ამბობენ, თუმცა ნათესაური კავშირები ამათ ყველა მმართველთან „დაადგინეს“ თავის დროზე... თურმე მიშა მათ ხელში გაზრდილა; ბავშვობაში თურმე, შევარდნაძე აქაურ ტბაში იჭერდა სარკისებრ კობრს, ხოლო დიდობაში სოფლის მოწინავე ადამიანებს; სტალინმა ფოსტაზე დაცემის მერე, თურმე აქაურ დოროთე ფორჩხიძის ოჯახს შეაფარა თავი; ნიკოლოზ მეორის ადიუტანტი – გერასიმე ხუჯაძეც ბავშვობაში აქ დასდევდა ბატებსო. გერასიმეს ჰქონდა თუ არა პეტერბურგის შესახებ გაგონილი, არავინ იცის, მაგრამ სატრაბახოდ და მოსაწონებლად, სადღეგრძელოს დროს, ხოა მისწრება! ა, ეს არის სოფელი და მისი კომუნალური მდგომარეობის არაფერი მკითხოთ. ეს აქ აბსტრაქტული მცნებაა და არავის უნახავს.

ახლა რუსეთიდან დაბრუნებულ დულას გაგაცნობთ, რადგან ქვემოთ მის საოცარ თავგადასავალზე უნდა მოგითხროთ რუსეთში, უფრო ზუსტად კი ვოლგისპირეთსა და სამხრეთ ურალში, ნაწილობრივ სმოლენსკში და ბაშკირეთში, აქა-იქ ბალტიისპირეთში და უძველეს რუსულ ქალაქ სმოლენსკის სიახლოვეს. უნდა მოგიყვეთ მის გმირულ საქმეებზე და ასიათასობით ნაშოვნ დოლარზე(სახლამდე რვაასი დოლარი ჩამოჰყვა!), მისგან ასობით აკვნესებულ დედაკაცზე ზემოთჩამოთვლილ ადგილებში და დაახლოებით ორმოცდაათამდე ოჯახზე, რომელიც დულათი მოხიბლულმა ნიჟნი ნოვგოროდელმა, ყაზანელმა, უფელმა, მოსკოველმა, კაუნასელმა, რიგელმა, ბელორუსმა და უკრაინელმა ქალბატონებმა მიატოვეს. ყველას ვერ ჩამოთვლი!

– არ დოუჯეროთ მაგ ოხრის შვილს, – მეუბნება ბაჭუჭი გიგაშვილი, – არ დოუჯერო. იტყვილება ყოლიფერს. აგერ ბიჯო, იმხელა ტყვილს იტყვის, ასსაპანიან ჭურში არ ჩეეტევა.

– კაცო, გერასიმე ხუჯაძის გენერლობა და მეფე-იმპერატორის ადიუტანტობა გჯერავთ და ახლა დულამ, თუ საცხა ვინცხა რუსის ქალს დაკრა, რა არის ამაში დოუჯერებელი? – თვალები დაუბრიალა ლეუშა მეწისქვილემ.

– რაფრა ბიჯო? ვინცხა რიგელ ელზაზე რომ მოჰყვა, საჰაერო ბურთით ავფრინდი იმასთან ერთადო, ორი საათი ვიფრინეთ და ამ ორ საათში ექვსჯერ იმავსქენიო, რაფერ უნდა იმასქნა ამდენჯერ?

– შენ მასვი, მაჭამე, ამ „მეშოკებს“ და წისქვილის ქვას მომაშორე, მერე ის ელზა მომიყვანე და თუ ექვსჯერ მეტჯერ არ დავაპრაწიო თვალები, მთელმა რიგამ მაგინოს თუ უნდა, – არ დაუთმო ლეუშამ.

– კურდღელი ხარ შე შობელნაშობო? – გაბრაზდა ბაჭუჭი, – იმ კაუნასელ ბიზნესმენს (ბაჭუჭი „ბიზმენსენს“ ამბობს), ცოლი რომ მიუქინძა მანქანაში მისსავე გვერდში, რაფრად დეიჯერე? „ნუ დეიჯერებ მერე შე დალოცვილო, მაგისთვის ნერვიულობ?“ – დანებდა მეწისქვილე. ცოტაც და გალახვას ვერ აცდებოდა.

ასე იშოვა სოფელმა გასართობი და სალაპარაკო. დულა მთავარი პერსონაჟი გახდა. საღამოს ექვს საათზე. სოფლის მიტოვებულ საპარიკმახეროსთან დაბარებულივით მოდიოდა, გრძელსკამზე დაჯდებოდა, „პირველს“ გააბოლებდა, შემოჯარულ მეზობლებს თვალს გადაავლებდა და იწყებდა... იწყებდა მარა რას იწყებდა! იმის მეასედიც რომ დავწერო, რასაც ის ჰყვებოდა, კაი სასეირო და სახეირო გვექნებოდა, მაგრამ ახლა ამას დავჯერდეთ, რისი მოტანაც შევძელი. ერთი რამ კი ნამდვილად მოვახერხე: დულას მონაყოლი ქრონოლოგიურად დავაწყვე ანუ მდაბიურად რომ ვთქვათ, დალაგებულად მოგახსენებთ ყოფილ საბჭოთა ტრამალებზე გაჭრილი ქართველის ისტორიას 2009, 2010, 2011, 2012 წლებში და 2013 წლის პირველ კვარტალში.

დულას ნაამბობი:

2008 წლის 3 დეკემბერია.ქე მოგეხსენებათ, რა პერიოდია. რუსეთთან ომი ახალი დამთავრებულია და რის ვაივაგლახით, როსტოვში მცხოვრები ბიძაშვილის დიდი მეცადინეობით და მოხერხებით, რავარც იქნა გავიარე ხევი და ვლადიკავკაზში ამოვყავი თავი. ღმერთმა უშველოს ოს თემურას! ის, რომ არა, საზღვარზე ვიზა კი არა, პუტინ-მედვედევის ფირმანითაც არავინ გადამიშვებდა. ერთი ეს იყო, ჯიბე შემითხელდა ძაან, ორასიოდე დოლარი დამრჩა სულ, მარა როსტოვამდე წესით და კანონით, უნდა მეყოს. ვლადიკავკაზის ვაგზალზე მატარებელს ველოდები ჩემი ჭკუით, მარა ორი სალარო მუშაობს და ისეთი რიგებია, ერთი კვირა არ მომიწევს ბილეთი. გამევედი ვაგზლის წინ, პური და ძეხვი ვიყიდე და ის იყო ჩავკბიჩე, ყვირილი მესმის: „ეტო რაზვე ტი დულა ნიკიფოროვიჩო!“ პირგამოტენილმა ავწიე თავი და ჩემი, „ფეზაოელი“ ანუ პროფტექნიკუმელი ლევან არეშიძე არ მადგას თავზე!!! ეეუჰ! რა გევიხარე. მივიკითხ-მევიკითხეთ ერთმანეთი. ლეო ანტონიჩი „კამაზით“ იყო და წინ დიდი გზა ედო. ყაზანიდან პოლიეთილენის „კროშკა“ ჩამოუტანია ჩრდილო ოსეთში, აქედან არაყი უნდა წაეღო სამარაში. იქედან ბოთლების საცობები ყაზანში და ყაზანიდან ისევ არაყი პერმში. „იყავი ჩემთან „ნაპარნიკადო“, მითხრა, რასაც ვიშოვით, ძმურად გავიყოთო. აქაურებს ვერ ვენდობი, ლოთობენ ხშირად მარტო მიწევს მუშაობაო“ დიდი სიხარულით დავთანხმდი. ათიანზე ტუზივით დამეცი, ჩემო ლეო-თქვა . ღმერთს მადლობა შევწირე და ცოტა ხანში, „კამაზის“ თბილ კაბინაში მოხერხებულად ვიჯექი და თოვლის ფანტელებს უკვე არხეინად შევცქეროდი. აღარც ყინვის მეშინოდა, აღარც შიმშილის და ლეოს საქართველოს ამბებს ვუყვებოდი. განსაკუთრებით რუსეთ-საქართველოს ომის ჩემეული ვერსია აინტერესებდა და ჩემს მონაყოლს გინებით „ამდიდრებდა“: „მე ამ პუტინის აქეთ გამომქაჩველი მ----ნ! – ლამის საჭეს დაარტყა თავი, – რა შენი ტრაკის საქმეა, ჩემს სახელმწიფოში სად შევიყვანე ჯარს? ვინ გკითხავს შენ? რავა როსტოვში შამევიყვანე, სტალინგრადში

შამევიყვანე თუ მურმანსკში? რას მეჩრები? მერევი და მოდიხარ ხომ? მერე და შენ რომ მიშა ხარ და ხალხმა პრეზიდენტად აგირჩია, არ უნდა დაუფასო? კაი, სამუშაოს არ აძლევ, სამართალს არ აძლევ, სახრავს არ აძლევ, მარტო შენ და შენი დედამ---ული „სასტავი“ ჭამთ, სვამთ, გულაობთ, ფულს შოულობთ, ბოზებში დადიხართ და იმ ბოზებს მინისტრად მიჯენთ, რაღაც ყ---ურ კანონებს იღებთ და ბოლოს ისე გაბრიქდით, რუსეთს ეომებით? ვინ ჩემი ფეხები ხარ? რუსს კიდე წაქეზება და იარაღის სუსური უნდა? მაგით იხანგრძლივებს არსებობას! ომში შედიხარ, ვითომ ბევრი გაგეგება ამ საქმის და მეორე დღესვე მშობიარესავით ყვირი, მიშველეთო. მაქეთ შენი დედა და შენი დამქაშების შიგნით თუ გარეთ და აქეთ პუტინის!“ – დაამთავრა ლეომ ომის პოლიტიკური ანალიზი და საყოფაცხოვრებო საკითხებზე გადავიდა.

მთელ ამ ვოიაჟს ანუ გაუთავებელი რუსეთის ამ ნაწილის მოვლას ლამის სამი კვირა მოვანდომეთ. ეს დრო მანქანაში ვცხოვრობდით, თუმცა რამდენჯერმე მოვახერხეთ აბანოში წასვლა. აბანოები და ქალაქები(მოსკოვის და პეტერბურგის გარდა) რუსეთში ისე ჰგავს ერთმანეთს, როგორც ჩვენი რწმუნებულის, მურთაზას ტყუპი გოგოები. ...

ყაზანში ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე დავბრუნდით. ლეომ სასტუმრო „ტატარისტანში“ მომაწყო ერთადგილიანში და თავის სახლში გაუტია. მაგას ადგილობრივი თათრის ქალი ჰყავს ცოლად – ხალისა ბაგიროვა და სიდედრ – სიმამრთან ცხოვრობენ. სასტუმროში ნამეტანი კარგად ვცხოვრობდი, ქალი არ გამიშვია, მერე კი ადმინისტრატორშასაც ავაპლაკინე ფეხები, მაგრამ „დალნობოიშიკობით“ ნაშოვნი ფული შემომაკლდა და ლეოს დავეჭყანე: „ე, ბიჭო, მიქენი სიკეთე, ვინმე „ტოტა“ გამაცანი, ბინიანი და შესახედავიც, რომ ავცდე სასტუმროს ხარჯებს.“

ნაახალწლევს წამიყვანა ბინაში და ოჯახი გამაცნო. სიდედრ-სიმამრი მოსკოვში ბრძანდებოდნენ სტუმრად უფროს ვაჟთან და ლეომ, მისმა მეუღლემ, სამი წლის ვაჟკაცმა დიმამ და ცო-

ლისდამ და ქვისლმა მიმასპინძლეს... ის იყო სუფრას მივუჯექით და შემოვიდა მარა, ვინ შემოვიდა! ლამის ორი მეტრა სიმაღლის მდედრი, წვრილწელა და თეძომსხვილი. მთლად მზეთუნახავი არ იყო, მარა ჩემისთანას კარგა ლამაზად დამაპურებდა. არც ნამეტანი ორიგინალური სახელი ერქვა – გალია რუსი ქალების ნახევარს ჰქვია. ჰო და დავკარგე ჭამის მადაც და სმისაც. დევიმორცხვე, სიტყვას ვერ ვამბობ, წავხდი ყაზახი! „გამეიღვიძე დულა, მაგას შენზე მეტად უნდაო," – მაქეზებს ლეო ქართულად, მარა არ მომიკვდეთ არც-ერთი! გალიასკენ ქურდულად თუ გავაპარებდი მზერას, პირდაპირ შეხედვას როგორ გავუბედავდი. მერე მივეძალე არაყს, გამათამამებს-მეთქი და ქე გამეიღო შედეგი: დავთვერი ისე, ენას ვეღარ ვატრიალებდი. ვიდრე გონებას დავკარგავდი, ამ გალიამ გაზეთივით ამომიდო იღლიაში და მუსიკის რიტმზე ვითომ მაცეკვა ბოლოს მისაღებში აღმოვჩნდით. გალიამ კამერდინერივით ჩამაცვა ქურთუკი, ქუდი ჩამომაცვა თავზე და მასპინძლებს დაემშვიდობა. მე ამის თავიც აღარ მქონდა... როცა გონს მოვეგე, დედიშობილა ვეგდე ლოგინში. გალია გვერდით მეწვა და ვიღაცას ტელეფონში ეჩხუბებოდა: „ეს თქვენი "ხრაპუნია" მომაშორეთ, თორემ შემომაკვდებაო." იმაზე უფრო სწრაფად გავიაზრე ყველაფერი, ვიდრე ჩემს მდგომარეობაში მყოფს შეეფერებოდა და გაბუტულ გალიას, ფეხები ლამის ჭერამდე ავაშვერინე... მე ხომ გევიხარე გულით და ახლა გალია როგორ გავახარე თუ იცით? სულ „ეშჩო, ეშჩო!" ვაძახებინე... მერე, სული რომ მოვითქვით, ამ ორმეტრიანმა იმდენი მადლობა უხადა ტელეფონით წუხანდელ მასპინძლებს, თითქოს მსოფლიო რეკორდის დამყარებაში შევუწყვე ხელი. ისე დაწვრილებით ჰყვებოდა ჩვენი ორგიის ამბებს, სირცხვილისგან თვალებს ვხუჭავდი. თაფლივით სამი დღე გავატარეთ... სამშაბათ დილით კი გალიამ მითხრა, სამსახურში მივდივარ და საღამომდე მიხედე თავსო. მივხედავდი, აბა რას ვიზამდი? სავსე მქონდა მაცივარი, ჯერ ყურმილი მოვიმარჯვე ლეოს დავურეკე, მარა, დამასვენე დღეს, ნამეტანი გადამღალა ამ ქეიფებმაო, მიპასუხა. ვისაუზმე და ის იყო ტელევიზორის წინ ჩავთვლიმე, ზარმა გამაღვიძა. ტე-

ლეფონი მეგონა ჯერ, მერე მივხვდი, კარებიდან მოდიოდა. „გლა-ზოკში“ არც გამიხედავს, ისე გავაღე. კარის წინ ჩემზე თავით მა-ღალი პრაპორშჩიკი იდგა, ჩემს დანახვაზე დაქაჩა თვალები და მკითხა ბორძიკით: „ვინ ხარ და გალია სად არის?“ „დულა ვარ, გა-ლია სამსახურშია.“ „ჩტო ზა ხრენ დულა!“ – მიღრიალა. „გალიას ქმარი ვარ და ნუ მიყვირი!“ – დავუბრიალე თვალები. „გალიას ქმარი მე ვარ და შენ ვინ ჩემი „ის“ ხარ!“ – კიდევ უფრო აუწია ხმას და გავუქნიე კიდეც მარჯვენა, შიგ კუჭის თავში. გინდა მისთვის დაგირტყამს, გინდა ბეტონის კედლისთვის. ყელში წამავლო ხელი და ისე წამიჭირა, დაბნელდა თითქოს. უკანასკნელი ძალა მევიკრიბე და ისე ამოვარტყი ფეხებშუა, ფლოსტი ლაჯებში შე-რჩა. ყელ-კისერზე იმწამსვე შვება ვიგრძენი, პრაპორშჩიკმა წა-იზმუკუნა და ნელ-ნელა დაეშვა მუხლებზე. მგონი ერთი საათი ეშვებოდა... დარჩა მუხლებზე და კვნესოდა მოსარჩენი ქალივით. კარი მივხურე, მაგრამ რა მომასვენებდა? ცოტა ხნის მერე, ხო-რცის დასაჭრელი მომცრო ნაჯახი ავიღე და კარი გამოვაღე. ში-ნელში გახვეული წელში მოკაკვული მიდიოდა ლიფტისკენ. „ჰეი, მეგობარო!“ – გავძახე. მძიმედ შემობრუნდა. „შემოდი სახლში, ვილაპარაკოთ,“ – ვეუბნები. ის დგას და ნაჯახს უყურებს. „ოჰ, ამის ნუ გეშინია, შემოდი,“ – არ მოვეშვი. შემოვიდა. ფეხები გა-იბერტყა, მერე გაიხადა შინელი, სამხედრო, ყელიანი ფეხსაცმე-ლები. მოძებნა ჩუსტები, მისი მე მეცვა. ბოლოს ქუდი შემოდო მაღლა და შევუძეხი სამზარეულოში. მაცივრიდან რაღაცეები გამოვიღე და მაგიდაზე დავაწყვე. ამას კი არყის გაუხსნელი ბოთლი გამივაყოლე. პირისპირ დავჯექით. ნაჯახი, ყოველი შემ-თხვევისათვის, ახლოს დავიდე. იმან არაყი გახსნა, დაასხა და თითო უხმოდ გადავკარით. „საიდან მოხვდი აქ?“ – ვკითხე უტი-ფრად. „ადამიანო, ეს ჩემი სახლია. სისხლით და ოფლით მაქვს მიღებული. შენ საიდან მოხვედი?“ – ახლა მან მკითხა და ჭიქები შეავსო. „ეს გრძელი ისტორიაა.“ „ისტორია-გეოგრაფია არ ვიცი, ერთი კვირით წავედი მივლინებაში და ჩემი ცოლის („სუპრუგა“ თქვა „ჟენა“ კი არა!) ცოლად მოყვანა მოგისწრია. ერთი მოვიდეს გალია, მე მაგას ვაჩვენებ,“ – მეუბნება და თან ჭიქას მიჭახუნებს...

დავლიეთ და გალიაც დაგვადგა თავზე. ისე ჩუმად გააღო კარი და შემოვიდა, არც გაგვიგია. „უჩემოდ სვამთ უნამუსოებო?“ – გაგვიცინა, ჭიქა და თეფში მოიტანა და ჩვენს შორის ჩაჯდა. „ამდენ ხნის უნახავ ქმარს არ მაკოცებ?“ – ჰკითხა პრაპორშჩიკმა. „კარგი რა ნიკალაი მიხაილოვიჩ, მარტო კოცნაში რა ყრია, თუ შედეგიც არ მოჰყვება?“ – ჩაიხითხითა გალიამ და მხარზე დამადო ხელი. ჩემდა გასაკვირად, ნიკალაიმ ცხენივით ჩაიფრუტუნა და არაყს მიასკდა. „აბა დულა, გეყოფა დალევა,“ – ვუბრძანე თავს. ცოლ-ქმარმა თითო ბოთლი გამოაშრო, გალია თავს ვეღარ აკონტროლებდა და ისე მიფათურებდა ხელებს, ცალ თვალს ნაჯახს აღარ ვაშორებდი. ის იყო, ახალი ბოთლიდან თითო გადაკრეს და მიხაილოვიჩი სიტყვით გამოვიდა: „ეი, შენ, წყეულო ქართველო. სპეციალურად ჩამოდი საქართველოდან ჩემი ცოლის მოს---ვად? მე შენ ახლა“ და წამოიწია. „რაო, – წამოხტა გალია, – ვის უბედავ შენ ხმის აწევას? ძლივს ნორმალური კაცი შემხვდა. სამი დღეა ქალობა ვიგრძენი, ბედნიერებისგან ლამის გავფრინდე და შენ დაგაგრევინებ ახლა ამას!!!“ „რაო, მაგას როგორ მიბედავ შე ძუკნა, ნაბოზარო!“ – გაცეცხლდა ნიკალაი. „მე ვარ ბოზი შე ატროფირებულო? – ეცა გალია და ცემა-ტყეპით გაათრია ზალაში, – აქ დაეგდე და ტელევიზორს უყურე. მე და დულა საძინებელში მივდივართ, ალბათ ხვდები რისთვისაც. თუ იონბაზებ და ხელს შეგვიშლი, გაგაგდებ!“ – და ქმარი სავარძელზე ტომარასავით დააგდო. მერე მეტაკა და საძინებელში წამათრია. ლამის შემომახია ყველაფერი. არადა რავარი საქნელია? აქეთ ქმარი იყოს და კედლის იქეთ, მის ცოლს ეპლაკებოდე. მარა გამახსენდა სად ვიყავი, რომელ ქვეყანაში. გამახსენდა ისიც, თუ რა ჩაიდინეს ამ პაგონიანმა არაკაცებმა აქ და რაღა დროს სინდის-ნამუსი იყო? თანაც ეს გალიაც ასე ალერსიანი და გამძვინვარებული არასდროს ყოფილა... როცა გაღმა გავედით, გალიამ ქმარს გასძახა: „მიხაილოვიჩ, თუ გინდა, გადი სამზარეულოში და არაყი დაისხი. მერე ზალაში დაიძინე. ტელევიზორი არ დაგრჩეს ჩართული.“

აქ დულამ ახალ სიგარეტს მოუკიდა და აუდიტორიას გადმოგვხედა: ნეტა რა ეფექტი მოახდინა მონაყოლმაო. “მერე, მერე

რა მოხდა კაცო?“ – იკითხა ცალთვალა შოთამ. „მერე გათენდა და ცოლ-ქმარი სამსახურებში წავიდნენ,“ – თქვა დულამ. „შენ დარჩი აპა იქანა? ლომის გული გქონია შენ!“ – შეაქო შოთამ. „ხო, მარა, ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. დაახლოებით ორ საათში, კარზე ზარმა დარეკა. გავხედე საჭვრეტში. ნიკალაი დგას. კარი გავაღე, მობრძანდი სტუმარო!“ „შენ გაჩვენებ სტუმარს! – მიპასუხა. გულისპირში ჩამავლო და გარეთ გამათრია. სამი კარგად ნავარჯიშევი მუტრუკი სამხედრო ახლდა და ისე მირტყეს, სადარბაზო მეფის სასახლედ მომეჩვენა. მერე ტანსაცმელი მომიყარეს, ფულისთვის ხელი არ უხლიათ. ორმა ლიფტით ჩამომაცილა, სადარბაზოს კარები გამიღეს, ერთმა ქეჩოში გვარიანად მომდო და ორიენტაციადაკარგულმა უგზო-უკვლოდ ვილაყუნე. კინაღამ გავიყინე. „მერე?“ „მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ტაქსი გავაჩერე და სასტუმროში დავბრუნდი.“ „სასტაულად (კი, ასე თქვა) გადარჩენილხარ!“ – უთანაგრძნო შალიკო მენავემ. „ეს რა გადარჩენა იყო? აი, ზაგორსკში რომ გადავრჩი, ის იყო გადარჩენაც და ხელახლა დაბადებაც!“ – გაიჯგიმა ფხაკაძე. „იმ გალიას თუ შეხვდი კიდო?“ – დაინტერესდა რასმუსენა. „იმ ღამესვე მოვარდა სასტუმროში. თავის დაქალთან წამიყვანა და ორი კვირა არ მომშორებია, ვიდრე ნორმალურად არ გავიარე. მერე ლეოს გავყევი რეისში. უკანდაბრუნებულს კი გალია დაპატიმრებული დამხვდა. ისე უჟეპია ქმარი, სამუდამოდ დააინვალიდა თურმე და ქმრის ნათესავებს უჩივლიათ.

...სოფელში დულას ავტორიტეტი გეომეტრიული კი არა, უფრო დიდი პროგრესიით იზრდებოდა. მისი ნაირ-ნაირი ცხოვრებისეული ეპიზოდების მოსმენა ისეთივე ატრიბუტი გახდა სოფლელებისთვის, როგორც მაშინდელი ლათინოამერიკული და თურქული სერიალები. ჩვენი დიასახლისებისთვის. საღამოს 6 საათი სოფლისთვის რაღაც საკრალულივით გახდა. უხილავი ძალა ყველას მიტოვებული საპარიკმახეროსკენ გვეწეოდა. მთავარი პერსონაჟი, ექვსს რომ 7-8 წუთი დააკლდებოდა, მაშინ მოდიოდა. თავმდაბალ, მაგრამ საკუთარი ღირსებით

სავსე სალამ-ქალამს ჩამოარიგებდა, გრძელსკამზე განკუთვნილ ადგილზე ჯდებოდა, გააბოლებდა და იწყებდა. ვუსმენდით თვალებდაქაჩულები და ყურებდაცქვეტილები. სრული ანშლაგი დულას, დებიუტიდან მეოთხე დღეს ჰქონდა, როცა საფიხვნოზე თავად ბენია ფერმის გამგემ ინება მოსვლა.ბენია სოფლის გროსბაუერი ანუ კულაკი იყო. ვერც დრომ და სიბერემ, ვერც ქვეყნის თუ სოფლის თაღლითობის არსენალის მრავალფეროვნებით განთქმულმა ხელისუფლებებმა დააკლეს რამე. ცხოვრობდა მდიდრულად ანუ როგორც სოფელში ამბობდნენ, კაცურად. ბენიას ან მისი ოჯახის წევრს.ბუზი რომ დააჯდეს თავზე, ჩიტს დაიქირავებს, ერთ „პაჩქა“ დოლარს გადაუყრის და შეაჭმევიებსო. ახლა იმასაც კი უბნობდნენ, რომ ეს ქონება, კოლმეურნეობის ფერმის გამგე რომ იყო, ჩვენვე მოგვპარაო, მაგრამ ბენიას ამის პირში თქმას რას გაუბედავდნენ! ჰოდა, როცა ეს სერიოზული და რაც „მთავარია“, მდიდარი კაციც დულას მოსასმენად (თავიდან, ალბათ, სეირის საყურებლად) სოფლის ცენტრს მოადგა, ფხაკაძის სიტყვამ და ავტორიტეტმაც, ერთი-ორად მეტი რეიტინგი გაქაჩა. იმ დღეს დულა მოსკოვურ ვოიაჟზე გვიყვებოდა:

„ლეოსთან ერთად ჩალიჩით ნაშოვნით ყაზანში, იქაური საზომებით, ნორმალური საყვარელი გავიჩინე და ლამის ოჯახურ ცხოვრებას შევუდექი, მაგრამ მეტი მინდოდა: თხუნელა ვერ ჩერდება ადგილზე და მე, ამხელა გამოცდილების და გამავლობის კაცს, რა დამაკუტებდა? გაგიკვირდებათ და მოსკოვი ბოვშვობიდან მოსასწრებად მიყვარდა! ახალგაზრდებს არა, მარა ჩემ ტოლებს ხომ გახსოვთ, დილის 7 საათზე ხაზის რადიო რომ დაიძახებდა: „გავარიტ მასკვა! მასკოვსკოე ვრემია შესტ ჩასოვ!“ და დასცხებდა სსრკ ჰიმნი. ბავშვობის ნატვრა მქონდა, მენახა ეს მოსკოვი და ჩემი კვალი დამეტოვებინა იქ. ახლა, აგერ ხელის გაწვდენაზე ვიყავი და რა ბიჭი ვიქნებოდი, ოცნება არ ამეხდინა? ჰოდა, გადავაჯექი საღამოს მატარებელს და სისხამ დილით, მოსკოვში ვტკუცე თავი! მთელი დღე არ გავჩერებულვარ, ბევრი რამ ვნახე და ბევრიც ვერა. პრობლემა საღა-

მოს მეტაკა... პირველივე სასტუმროში იმხელა ფასი მითხრეს, ფეხებმა თავისით გამომიყვანა გარეთ. არადა აპრილის დასაწყისია და ცივა, იყინება ყველაფერი. შვეიცარს ვეკითხები: „ზემლიაკ, უფრო იაფი სასტუმრო თუ გეგულება აქ-მეთქი." მპასუხობს: „აქ არა, მაგრამ მაგრამ გარეუბანში კიო." „ე, ბიჭო მიმასწავლე და ბოთლს დაგიდგამ." „დადგი და მიგასწავლი." „აჰა, გამომართვი, ეგებ გაგხეთქოს შუაზე." „გადი ლენინგრადის ვაგზალზე, სერგიევ-პოსადისკენ მიმავალ „ელექტრიჩკაში" ჩაჯექი.საათნახევრის სავალია სულ. პატარა ქალაქია, ეკლესიებით სავსე. ცენტრში სასტუმროა. მიდი და სულ ერთია, ვინც არ უნდა დაგხვდეს, უთხარი, პაველ იოსიფოვიჩმა გამომგზავნა-თქო და იაფი ნომერი იქნება. ოღონდ არაყი დაუდე." არაყი მეზობლებო, რუსეთში „ქსივასავითაა". გაჭრა გარეუბნის სასტუმროშიც. უპრობლემოდ მოვეწყვე. ის კი არა, ადმინისტრატორშამ თვალი ჩამიპაჭუნა, ერთად დავლიოთ ღამე, ნომერშიო. მართალია, ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა, მაგრამ არც მთლად უკბილო ბებერი იყო. „რას მიყურებ ქართველო, ლეჟატ ია ეშჩო მაგუო," – მითხრა. „რაივო, რაივო?" – ჩაეკითხა პალიკო ბიქტორიჩი. „რაიო და წოლა, ჯერჯერობით შემიძლიაო." – უთარგმნა ლეუშა მეწისქვილემ. „უყურე შენ, არ მოუძებნია სატრაბახო! წოლა და ნებივრობა ყველას ქე შოუძლია. ნეტა მაცდიდეს ვინმე, თვარა წოლა-კოტრიალს რა სჯობია?" – ინატრა გრიგოლა დაჯღანულმა. „შენ და შენს ნაგრამს აშოროს ის წოლა-კოტრიალი, რასაც ის ქალი გულისხმობდა, – გაეცინა დულას, – ბებერი ქე იყო, მარა, ასეთი საქმე არავის უნდა დაამადლო. ბაბუაჩემი ამბობდა, ერთი თალია ძაღლსაც ეკუთვნისო." „აუჰ. რა თანამედროვე ბაბუა გყოლია. რა ბრძნულ შეგონებებზე აღუზდიხარ," – ჩაილაპარაკა გივი ტყემალაძემ, რომელსაც მთელი სოფელი „ბურატინოს" ეძახის. „რა ქენი მერე, დალიეთ ერთად?" – ვერ მოითმინა ყრუ გენომ. „დალევდნენ. აპა, ისე ბებერი ყოფილა ის ქალი, ფხიზელი ვერ ეკარებოდა და..." – დაბეჭდა ბურატინომ. „დავლიეთ და მერე დილამდე ვაძახებინე „გდე ტი ბილ დო სიხ პორ!" „რაივო?" – წამოტა ბიქტორიჩი.

„რაიო და სად იყავი აქამდე შენეო. შენისთანა კაცი არ შემხვედრია სამამულო ომის მერეო, – „ოდნავ“ შეუცვალა ინტერპრეტაცია თარგმანს ლეუშამ. დულა შესამჩნევად გაცხარდა: „თუ ყოველ წუთს შემაწყვეტინებთ, ამ ამბავს დილამდე ვერ მოვრჩები. მაცალეთ, შეკითხვები ბოლოში. მეორე დღეს კაი ხანს ვინებრივე ლოგინში და სადილობის დრო იყო, სასეირნოდ რომ გამოვედი. დავიწყე ექსკურსია ამ პატარა ქალაქში. რა მეჩქარება, იაფ სასტუმროში ვცხოვრობ. მოსკოვი ყურისძირში მაქვს. ჩავიარე „ბლინნაია გორა“ და ეკლესიების დიდ კომპლექსს მივადექი. შევედი. სანთელი ავანთე, ძველი ცოდვები მოვინანიე და ახლის ჩასადენად მოვემზადე. იქვე, მოედანზე, „ვალუტნი“ მაღაზიაში ოციოდე დოლარი მივახარჯე. გარეთ გამოსული საჰაერო ბურთებმა მიმიზიდა და ახლოს მივედი. დირიჟაბლისმაგვარი აღმოჩნდა. ორი იყო სულ. თითოში 7-8 ადამიანი ეტეოდა ინსტრუქტორიანად. 15-20 მეტრამდე ადიოდა ჰაერში, ილივლივებდა 10-12 წუთს. კაი მსხვილი ბაგირი ება ქვემოდან.ე, იმ, ბაგირს დაქაჩავდნენ და დირიჟაბლებს ისევ მიწაზე დასვამდნენ. მთელი ცხოვრება სიმაღლის შიში მაქვს, მარა შემიჩნდა აბუზარა და არც მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი ჯერ დირიჟაბლში, მერე – ჰაერში. კაი გვარიანად კი შემეშინდა, ოდნავი გულისრევა და თავბრუხვევაც კი ვიგრძენი.. დავხუჭე თვალები და დაველოდები, როდის დაგვსვამენ. ამ დროს ვიღაცის ტუჩი ნაზად შემეხო ყურთან და ჩამჩურჩულა: „გეშინიათ?“ თვალი გავახილე და რას ვხედავ! ისეთი ცისფერთვალა გოგოა, ვარსკვლავებს ეთამაშება. „ცოტა მეშინია“, – გამოვუტყდი. „ნუ გეშინია. მე შენთან ვარ.“ – ლამის შემჭამოს.

„ამდენ ხალხში შენ აგარჩია მაინცდამაინც?“ – დადარაჯებულად ჰკითხა ბურატინომ. „კი, მე ამომარჩია ჩემო გივი.“ „რა ამოსარჩევი ხარ, შენ მოგიკვდა პატრონ – მყვარებელი? არ შეგვჭამა ტრაბახით? – გადააფურთხა გივიმ, – მარა ჩვენ ვართ დებილები და იდიოტები ამ ტუტუცს რომ ვუსმენთ.“ „რა გინდა კაცო შენ? ვინ დაგპატიჟა?“ – ეცა ლეუშა. „ჰოდა წავალ. არა ბიჭო და მაგას მოვუსმენ კიდო. ახლა ვიცი რასაც მოჰყვება. წე-

იყვანა ის ქალი იმ იაფ სასტუმროში და ბურღავდა დილამდე. მერე შოუყვარდა იმას და გადეეკეტა. ვაი თქვენს პატონს!“ – ბურატინო ლამის ჰკიოდა. „არა ჩემო, ბურატ...უკაცრავად გივი. სასტუმროში არ წამიყვანია,“ – დააწყნარა დულამ. „აბა, დეემშვიდობე და და-ძმობა უთხარი?“ „არა, თავის ბინაში წამიყვანა.“ „ხო, დაგიჯერე, ეგრე იქნებოდა, – ლამის გადაიკისკისა გივიმ, – ოთხოთახიანი ბინა ჰქონდა ხომ? გაწკრიალებული და კარი რავარც გაგიღო, დაგეტაკა მაშინვე. კინაღამ შემოგახია სუყოლიფერი. ასე იყო ხომ?“ „ასე მგონია, საიდანღაც გვითვალთვალებდი, ისე ზუსტად ჰყვები,“ – გაუცინა დულამ. „ღამე თვალი არ მოგიხუჭავთ და ცხრა-ათჯერ მაინც დაკარი, არა?“ „ნუ ახლა ზუსტად არ მახსოვს. შეიძლება ხუთჯერ ან ექვსჯერ.“ “მტყუვნის დედა მო----ნ!“ – იკივლა გივიმ და ეკლის ხეს, რომელსაც ზურგით ეყრდნობოდა, თავი ფრიად წინდახედულად მიუჩაჩქუნა.

გლეხები შუაში ჩადგნენ და დროებითი ზავი დაამყარეს. ამასობაში ბენია ნაფერმისგამგელმა დრო იხელთა, დულას ხელმკლავი გამოსდო და გვერდზე გაიყვანა: „ბატონო დულა. რა თქვენი საკადრისია ყაძახებთან თავის გატოლება. თუ გვიკადრებთ და ოჯახში მეწვევით, დიდად მადლობელი დაგრჩებით. „დღეს კაცო?“ „კი, ახლავეს წამობრძანდით და ერთად შევექცეთ, რაც ღმერთმა მოგვცა.“ „კარგი შენი ჭირიმე, – დაეთანხმა დულა და უკვე დაშოშმინებულ აუდიტორიას მიუბრუნდა, – მეზობლებო, ბოდიშს გიხდით. თქვენის ნებართვით უნდა დაგტოვოთ. „ხვალე?“ – იკითხა ვიღაცამ. „ხვალ ჩვეულებისამებრ.“ – „ბიჩოკი“ მოისროლა დულამ და გაჰყვა ბენიას. „დავით, ვალიკო, ამირან. ძაან გთხოვთ, წამობრძანდით,“ – მიიპატიჟა ბენიამ რამდენიმე მეზობელი კიდევ... სოფელი თითქოს ორად გაიყო. ერთმა, მცირე ნაწილმა ზემოთ დაიწყო სვლა და ასიოდე მეტრში, ბენიას ჭიშკრის ალაყაფი შეაღო. მეორე ნაწილი, ანუ უდიდესი უმრავლესობა, რაღაცნაირი ბოღმით სავსენი დაიშალნენ და სხვადასხვა მიმართულებით წავიდნენ. ჩემმა თანამგზავრმა, თარიმან მაჩიტიძემ, რომელიც ამ სოფლის სკოლაში

ოდესღაც გეოგრაფიას ასწავლიდა, იმდღევანდელი დაკვირვება გამიზიარა: „რავა არჩევნებში გამარჯვებული პარტიის წევრებს დაემსგავსნენ ჩემი სოფლელები.“ „რა გაქვთ მხედველობაში, თარიმან – ბატონო?“ „რა და საარჩევნო ბარიერს რომ გადალახავს პარტია და მისი რამდენიმე წევრი პარლამენტში ან საკრებულოში რომ მოხვდება, ისე მოიქცნენ ბენია და მისი დღევანდელი სტუმრები. მაინც ვერ გეიგე ხომ? არჩეულები ფიქრობენ, რომ მათი არჩევა პარტიის კი არა, მათი პირადი დამსახურებაა და ღრმად ჰკიდიათ დამარჩენი წევრები მომავალ არჩევნებამდე. თვითონ კაი ხელფასს იღებენ, ბიზნესის წილებში ერთვებიან და ისინი, ვინც მათ ასარჩევად იმუშავა, არ აინტერესებთ. ახალი არჩევნების წინ კი უცებ იცვლებიან, ყურადღებიანი და სალმიანი ხდებიან, რათა კიდევ გააბრიყვონ თანაპარტიელები“.

– კი, მაგრამ ბენია და მისი სტუმრები რა შუაშია?

– ვერ შეხედე, რა გაჭიმულები წავიდნენ? ამირანას არ ვერჩი, წესიერი კაცია, არც სუფრა უკვირს და არც ვინმეს ქონება, მარა ეს მათხოვარი დათიკო და ვალიკო ნახე შენ, ხვალიდან, ზეიდან რომ დაგვიწყებენ ყურებას მხოლოდ იმის გამო, რომ ბენიამ დაპატიჟათ.

– კაი, თუ ძმა ხარ, მაგაზე გწყდება გული? წამოდი, მე გპატიჟებ. ისეთ ღვინოს დაგალევინებ, ბენიას ჯიშს და ჯილაგს რომ არ ღირსებია.

ამ დროს ბენიას სახლიდან ისეთი გემრიელი „იმერული მგზავრული“ გაისმა, ყველაფრით უკმაყოფილო თარიმანიც ვერ დაიწუნებდა. სახლი და მამული, რომელიც ცხონებულმა ბიძაჩემმა დამიტოვა ანდერძით, ბენიას სამფლობელოდან ორასიოდე ნაბიჯზეა და სოფელში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. სუფრა სამზარეულოში გავშალე: მწნილი, ყველი, მწვანილი, კიტრ-პომიდორი, დილით გამომცხვარი სოფლის თონის პური. ტაფაზე ზამთარს გადარჩენილი ორი უზარმაზარი იმერული კუპატი დავაგდე, ათიანი ბოციდან სამბოთლიანი თიხის დოქი შევავსე და შევუბერეთ... „ოჰ, ოჰ, ღმერთმა აცხონოს მიხაკოს სული, რა

ღვინო დაუყენებია, ცოლიკაურია ხომ?“ – პირი გააწკლაპუნა სტუმარმა. „კი, ცოლიკაურია. გაანათლოს ბიძაჩემი და ბიცოლაჩემი. იმათ სულს ვენაცვალე,“ – ავწიე და დავცალე ჭიქა. „ბევრი გაქვთ?“ – მეკითხება. „სავსეა მარანი.“ „არ გაყიდი?“ ძლივს ვიკავებ თავს, საყელოში არ ჩავავლო და ფანჯრიდან არ ვისროლო. კაცია ახლა ეს? რა ვქნა? დაპატიჟებულს ერთი როყიო სიტყვისთვის ხომ არ გავლახავ? ბროწეულით დატენილი კუპატები სუფრას ტაფით შემოვუმატე და უდროოდ წასულები მოვიგონე. ამ დროს ეზოში ნიკიტა აყეფდა (ცხონებული ბიძაჩემი ყველა ძაღლს „ნიკიტას“ არქმევდა ხრუშჩოვის „საპატივცემულოდ“). გავიხედე და ლამპიონის შუქზე, პარტიზანივით წელში მოხრილი დულა დავინახე. „ნიკიფოროვიჩ, ზახადი ვ დომ, ჟელანნიმ გოსტემ ბუდეშ!“ – მივაყვირე გახარებულმა და კარი მოვაღიაღე. დულამ „ისტრებიტელივით“ აიღო გეზი ჩემსკენ და გვერდზე რომ არ გავწეულიყავი, შეჯახება გარდაუვალი იქნებოდა.

სახლშიც კარგა ხანს ვერ მოისვენა. გადიგამოდიოდა და დაღლილი ცხენივით ქელავდა. ძლივს დავსვი მაგიდასთან თარიმანის დახმარებით. „ცოტა დიდში ჩამისხი!“ – გახედა დოქს. ნახევარლიტრიანი შროშული ჯამი გავუვსე ცოლიკაურით. წამოდგა, გემრიელად გადაიწერა პირჯვარი, დაილოცა და ისე დაგემოვნებით გამოცალა, დადგმა არ ვაცალეთ, ისე შევსვით მე და მაჩიტიძემ. „აგაშენათ ღმერთმა!“ – ამოისუნთქა დულამ. „ასე მალე მორჩით ბენიასთან?“ – იკითხა თარიმანმა. „ბენიას ამბავი შეემთხვა, მტრისას! – გვითხრა და რაკი არც მე და არც ჩემმა თანამეინახემ არაფერი ვკითხეთ, განაგრძო: ლადოს ხომ იცნობთ კვახაჭელიძეს, ჰოდა მაგის მუტრუკს ბენიას გოგო შემოხარჯვია, ქე დოუმაკებია და ამ გოგოს მაინცდამაინც ამ საღამოს გაეხსნა გულახდილობის მუზა დედამისთან. კაი ქეიფში რომ უნდა შევსულიყავით, იკივლა მარა რა იკივლა დევიძის ქალმა. გავკარი მაგის ხმასთან საჩხერის „პარავოზს“. იკივლა, შამოვარდა ზალაში და მიახალა ბენიას, გაგიბოზდა სანაქებო შვილიო.

წამში ეირია იქოურობა.. შარაზე გამოსულმა შუქი დევინახე და ქე მევედი აქანა. თუ არ გეწყინათ ჩემი მოსვლა, ქე ვიქნები პაწა ხანს.“ სუფრას ყველი და პური შევამატე და ისევ შევუბერეთ. „ჩემო დულა, – ძლივს მოატრიალა ენა თარიმანმა, – ის კაი დედმამა ნუ წაგიწყდება, სოფელს რომ რაცხა-რაცხეებს უყვები, მართალია თუ გვატყუებ?“ „ა, ამ ღვინის და და ამ პურის მადლი გამიწყდეს, თუ ძირითადად ყველაფერი მართალი არ იყოს, – დაიფიცა დულამ, – რასაც ქალებზე ვიძახი, ასპროცენტიანია. ცოტა რაცხას თუ გადავაჭარბებ ზოგჯერ თუ არა, მე არ მოგიკვდეთ, კი ვარ ამოსული მაგათ ოხტში.“ „არ ზოგავდი აპა?“ „რავა, თვითონ მზოგავდნენ თუ?ზოგი ქე შემეცოდებოდა ხოლმე, მარა მერე ამ საკითხს პოლიტიკურად ვუდგებოდი და ეს ძაან მიიოლებდა საქმეს. რუსთან თუ პოლიტიკურად მიუდგები საკითხს, მერე კი აღარ შეგეცოდება მაგის ჯიში და ჯილაგი.“ „აგვიხსენი თუ ძმა ხარ,“ – ვთქვი და ვიგრძენი, გათავებული მთვრალი ვიყავი.

„მოგიკვდეთ ჩემი თავი. ჩვენი ახალგაზრდა რომ ათასი მაქინაციით ცდილობს სამხედრო სამსახურს თავი აარიდოს და ამ საქმეში მთელი ნათესაობა ჰყავს ჩართული, რუსს იშვიათად ნახავ რომ არ ემსახუროს ანუ სამხედრო ფორმა არ ცმოდეს. მე ბატონო, ჩემი დამოკიდებულება მაქვს ოკუპანტთან, რა ეროვნებისაც უნდა იყოს. ვინც სამშობლო შემიჭამა, იმის ცოლს, დას, დედას, ცოლისდას და მამიდას დავზოგავ? რიცხოვნობით და ტანკით მაგათ ვერ მოვერევი და რითაც ვერევი, ე, იმით ვერევი.“ „მალადეც შენ!“ – ვუთხარი და კაი ხანს ვიფიქრე შურისძიების მისეულ ფილოსოფიაზე. თარიმანი გუბედან ქვაზე ამოვარდნილი ბაყაყივით იჯდა და ლაყუჩებს ბერავდა...

– რავა ჩამოგიყრიათ ყურები იონა ცირეკიძის ვირივით! დაასხით და დავლიოთ, – შეგვაფხიზლა დულამ, – ერთი ამ ოჯახში მაქეიფა დილამდე და მომკლა მერე!

– ვიქეიფოთ მაგის დედაც ვატირე, მეტი რა შეგვრჩება, – მივეცი ბანი, თუმცა დალევის კი არა, სკამზე ჯდომის თავიც არ მქონდა. ასე მემართება ბოლო დროს. ღვინის სმისას, უცებ მო-

ვწყდები ყუნწმიმხმარი მსხალივით და ძილი მეძალება, მაგრამ ენაჭარტალა დულასთან დამარცხებას სიკვდილი მერჩია. ხვალ სოფლის უკანასკნელ ძაღლსაც ეცოდინება ჩემი შერცხვენის ამბავი. ამან ცოტა მომაფხიზლა, ძალა მოვიკრიბე, ორი სასმისი შევავსე და შევძახე: – მოდი, მამაპაპურად ორ-ორი ჭიქით დავლიოთ („მამაპაპურად“ რა შუაში იყო?) ამ ჭიქით იმ გზას გაუმარჯოს, რომელმაც აქამდე მოგვიყვანა. ამ მეორით კი ის გზა დავლოცოთ, აქედან რომ გავყვებით.

თავს ძალა დავატანე და ორივე დავცალე. თარიმანს ეძინა, დულა კი მის წინ მდგომ ორ სავსე ჭიქას საცოდავად უყურებდა და მივხვდი, დალევის თავი აღარ ჰქონდა. „მიდი კაცო, გამომეხმაურე. რას უყურებ მაგ ჭიქებს, ჭადრაკს თამაშობ?“ – დავაჩქარე. „გაუმარჯოს ორ გზას, – დაიწყო ყოჩაღად, – შენ რომ იცოდე ჩემო იმანო, საიდან და რამხელა გზიდან მოვდივარ მე, ამ სადღეგრძელოს ჩემი თამადობით დალევდი, მარა უბირი და უვიცი კაცი ხარ შენ და მიპატიებია.“ „უვიცი და უბირიო“. ვის ეუბნება ამას? მე მეუბნება. აბა თარიმანს ბომბი რომ აუფეთქო გვერდში, ვერ გაიგებს... ვინ არის უვიცი შე „ფეზაოელო“ ვირთხავ! ზოოვეტში ტყვილა ვისწავლე ცხრა წელი? ჩხუბი თუ გინდა, გამოდი გარეთ!“ – ძლივს წამოვწიე წელი. „ჩხუბი რა ფეხებად მინდა, – დამნებდა დულა, – ვერ ვარ კარგად დალევის ამბავში. ღვინოს ვერ ვეწყობი. არაყი მირჩევნია, რუსეთში სხვას კი არაფერს ვაკარებდი პირს. ღვინოზე გამახსენდა და ძმაკაცი მყავს, ჟორჟიკია, ახლა სარატოვში ცხოვრობს, აი, მაგას, მაგალითად, არაყი არ დეენახვება, ღვინოს სცემს პატივს. „მერე რა უნდა სარატოვში მაგ ჩემის ტრულაილას?“ „დასიძებულია იქ. მაგის სიყვარულის ისტორია ქეა დასაწერი და ქვეყანაზე გამოსაქვეყნებელი.“ „დალევით ვეღარ ვსვამთ, ძილი ქე დამიფრთხე და მოყევი თუ ძმა ხარ.“

„ეს ჟორჟიკია ახალგაზრდობაში თბილისში სწავლობდა რომელიცხა უმაღლესში, – დაიწყო დულამ, – ზაფხულზე სმოლენსკში გაგზავნეს, ყამირს რო უძახოდნენ, ე, იმაზე. ჰოდა, თურმე იქ, სარატოვის საექიმოს სტუდენტი გოგოებიც ყოფი-

ლან იმ დროს. გეიცნო ჟორჟიკიამ იქანა ვარია პეტროვნა, ახლა ვისზეც არის დასიძებული. ვარია მაშინ ძაან მსუქანი და შოუ-ხედავი ყოფილა. ზედ არავინ უყურებდა თურმე. შეცოდებია ამ ჩემს ძმაკაცს და ქე დაახლოებულან ისთე, რავარც ხდება ხოლმე. ზაფხულის ბოლოს ეს ჩვენი ქე წამევიდა აქეთ და ვარია სარატოვში თურმე დაორსულებული. ჟორჟიკიამ გაათავა სწავლა-განათლება და საცხა ხიდის მშენებლობის „პრარაბად“ დეიწყო მუშაობა. ერთ დღეს დეიბარეს რაიკომში. პირველი მდივნის კაბინეტში, ვინცხა ჩაგასტუკებული რიჟა რუსი წარუდგინეს და იმ რუსმა გულში ჩეიკრა: შენ ხარ ჩემი შვილიშვილის მამა უეჭველადო, ბოვში გამოსარსალებულად შენ ggავსო, აქ მე მოგიგვარებ ყოლისფერს და იქაც, ოღონდ უნდა წამყვე სარატოვშიო... ამაზე ჟორჟიკია გადეირია: რა სარატოვი, რომელი ბოვში და შენ ვინ ჩემი... უკაცრავად ბატონო პირველო მდივანო, ვინ ბრძანდებით თქვენ, პატივცემულო უფროსო, რუსო მეგობარო და ამხანაგოო. მეეო, ვარიას მამა ვარ, შენი ვარიუხასიო. ე, მაშინ ამოუტივტივდა თავში ჟორჟიკიას სმოლენსკის ცელქობა-მაიმუნობა, ვირზე შეჯდომა დააპირა მაინც, მაგრამ პირველმა მდივანმა უთხრა; ამ რუსს ისე კი ნუ უყურებ, იმხელა პოსტი აქვს „ობლასტში“, შენ რომ ახლა გაჯიქდე, მე მიტირებს დედასო და მე, მერე ვის დედასაც მივადგები, ქე უნდა ხვდებოდეო... რა ექნა ჟორჟიკიას, რავარც მიბრძანებთ ბატონოვო და ქე გაჰყვა ამ რუსს ბაწარჩაბმული მოზვერივით.

– მერე?

– მერე ჩავარდა ქერის ორმოში. გიორგი პავლოვიჩი გახდა იქ. მოექცა ცხოვრებას ქეჩოზე და ქე არის ახლა მილიონერი. ცხოვრობს სარატოვში, ვარიასთან. პირველ ბიჭს ორი გოგო მიუმატა. ა, ასე აქცია ვარიასთან კოტრიალმა კაცად, თუ არა ქე იქნებოდა ახლა ისე გაღლეტილი, რავარც ჩვენ ვართ. „ეეუ, ვინ არის გაღლეტილი? გაღლეტილის კუბო დავდგი მე! გაღლეტილის დედაც!“ – წამოიყვირა ძილში თარიმანმა და ისევ ახვრინდა.

მეორე დღეს, საღამოს ექვს საათზე დულამ წარმოდგენა

განაგრძო: „ერთი გადარეული რუსი შემხვდა მატარებელში. ყაზანიდან სამარაში მივდიოდი, – დაიწყო დულამ და საპარიკ-მახეროს მოფამფალებულ და წასაქცევად გამზადებულ უკანასკნელ ბოძს თვალი მოარიდა, – ურევდა ყველაფერს. ჯერ შუკშინი და ვისოცკი აერია ერთმანეთში. ერთის კინო მეორეს მიაწერა.მერე საქართველოში განვითარებული ბოლო მოვლენები ბულგაკოვის „ოსტატის და მარგარიტას“ სიუჟეტით ვითარდებაო: ბიძინა ვოლანდიაო, ღარიბაშვილი-აზაზელო, უსუფაშვილი-კაროვიევი და ხადური – ბეჰემოტიო. კიდო აპირებდა რაცხას თქმას, მარა აღარ ვაცალე და ვაჯახე: – შენ შიგ ხომ არ გაქვს-თქვა.“ „დულა ნიკოფოროვიჩ, ის კაი მამა ნუ წაგიწყდება, ეგ რუსულად რაფრა უთხარი?“ – ჰკითხა ბენიამ, რომელსაც წუხანდელი ფათერაკის მერე, იხტიბარი გატეხილი ჰქონდა. „რაფერ და ტი ჩტო, ახუელსია?“ „ნეტო, მეუბნება, ეს თქვენ, ქართველები ახუელის, მტერ-მოყვარე ვერ გაგირჩევიათო. კაი და ჩვენ ვერ გაგვირჩევია, მაგრამ შენთვის, რუსისთვის, ვინ ვართ ქართველები, მტრები თუ მეგობრები? – ვეკითხები.

თუ ყველაფერს პოლიტიკურ ასპექტში განვიხილავთ, მტრები. ისე კი მეგობრები და ძმები ვართო. რას მეფილოფოსები „დუმის“ დეპუტატივით, ადამიანურად ვერ იტყვი შე ჩემის გადანგრეულო-თქვა, მივახალე.“ „ჩემის გადანგრეულო, რაფრად ითქმის რუსულად?“ – არ დაცხრა ბენია ფერმის გამგედ-ყოფილი. „იდი ნა ბალშოი ხერ!“ – იყვირა დულამ. „ეგ სხვა რამეს ნიშნავს, – ჩაუჭრა ბენიამ. „ამას შენ გეუბნები პირადად, ბენია. შე ჩემის გადანგრეულოს გარდა არაფერმა დაგაინტერესა? მთელი დედააფეთქებული რუსული ფილოსოფია აგიხსენი?“ მსმენელებმა ბენია გავაკავეთ და დულამ მშვიდად განაბრძო: „ამ გინების შემდეგ, გამებუტა ეს რუსი. აღარ მცემს ხმას, არა და არ გინდა ბუსავით იჯდე სამარამდე? სულ სამნი ვართ კუპეში: მე. ეს რუსი და მისი ცოლი.“

ამ დროს საფრთხე სულ სხვა მხრიდან მოვიდა. „კაცოო, შეიძლება ყველაფერი აქამდე დაიყვანო? – აყვირდა ბაჭუჭი გიგაშვილი, – ვიცი ახლა მე, ეს რასაც იტყვის. ის ქალი იმ რუსს

ტყვილა კი არ მოუყვანია ცოლად, ამ დღისთვის მეიყვანა. იცოდა, ამას შეხვდებოდა. გეტყვით მე, რაც მოხდა იქ.“ „ნუ აკავებთ კაცო, თქვას, – ხელი აიქნია დულამ, თუმცა არც ფეხი მოგვიცვლია და არც თითი გაგვინძრევია ვინმეს, – მიდი, ბაჭუჭი, თქვი!“ „რაი და ვითომ გაბუტული რუსი რომ შეგერიგებინა, შენ არაყი და ჭიქები ამეიღე ჩანთიდან. იმას გეეხარდა. მერე დალიეთ შენ და იმან და იმისმა ცოლმა. ის დათვრა და იმასქენი ის ქალი. ხო იყო ეგრე?“ სიჩუმე ჩამოვარდა. დულას ნიშნისმოგებით და დაცინვით შევყურებდით. გვინდოდა გაბითურებულიყო. თან იმისიც გვეშინოდა, რომ შერცხვენილი აღარაფერს მოგვიყვებოდა და ხვალიდან სხვა სასეირო უნდა გვეძებნა. ახლა ყველაფერი დულას პასუხზე იყო დამოპიდებული. „არ იყო ეგრე, – თქვა დულამ, – არაყი კი ამევიღე და დავლიეთ მე და იმ კაცმა, მაგრამ ქალს არც არაყისთვის დაუკარებია პირი და არც ჩემთვის შემოუხედავს. „რატომ, რა დოუშავე? – იკითხა ნირწამხდარმა ბაჭუჭიმ და დებატებში დამარცხებული ნაციონალივით გადმოქაჩა თვალები. „დაბადებიდან უსინათლო ყოფილა, – ისეთი გაბზარული ხმით ამოთქვა დულამ, კაცი არ დარჩა, ვისაც ის ქალი არ შესცოდებოდა. ახლა უფრო ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. დულა ისეთი სახით იჯდა, აშკარად აღარ გვენდობოდა. ჩვენ კი წეღანდელი საქციელის გვრცხვენოდა. ღმერთმა უშველოს ამირიდონ ბუსკივაძის ბიჭს, ბიქტორა თავგასივებულს. ამ უხერხულობაში რომ ვართ, სირენების კივილით მოაჩაქჩაქა თავისი მჟავანაძის დროინდელი „ვოლვო“, გადმოხტა და იყვირა: – ბიჭია, ბიჭი! ამოვისუნთქეთ და ბიქტორას ისე ემოციურად მივულოცეთ, ორიოდე წუთში ყურები ტბილიკვერებივით ეკიდა. კიდევ ათიოდე წუთის შემდეგ კი. გუნებაზე მოსული დულა ჰყვებოდა, როგორ მიაყუდა დიმიტრი პოჟარსკის და კუზმა მინინის ძეგლზე, ბელორუსეთიდან მოსკოვში სტუმრად ჩამოსული ქალბატონი მთვარის შუქზე და როგორ დაიკიდა ამ ჟესტით რუსეთის ე.წ. „თეთრი სახლი“.

– არ მომეშვა. მთელი დღე კუდში დამყვებოდა მზვერავივით. სადაც შევედი, ყველგან შემომყვა. მივუბრუნდი და ვუთხარი,

მაინც ერთად დავდივართ ქალბატონო მთელი დღეა და ბარემ, ერთად ვისადილოთ-თქვა. რაც მოსდევს სლავი ქალის და ქართველი კაცის ერთად სადილობას, ჩემგან არ გესწავლებათ მაგი თქვენ.

დულას „ნოველების“ შემდეგ იმათ, ვინც რუსეთის შესახებ მხოლოდ საინფორმაციო საშუალებებით და კინოებით ვიცოდით, ასევე მათი ძაღლისშვილობით აფხაზეთ – სამაჩაბლოში, რუსეთი ერთობ სწორხაზოვნად წარმოგვედგინა: უკიდეგანო სივრცე, უნიფხო ქალები, რომელთაც ქართველი კაცის დანახვაზე, კაბა თავისით ეწევათ მაღლა და ფეხები განზე; არყის ხუხვაზე გაგიჟებული, ლამის პირუტყვი კაცები და გვაკვირვებდა ინტელიგენტი და ფხიზელი რუსის ხილვა ტელეეკრანზე. თუმც ისინი, ვინც არაერთხელ იყვნენ ნამყოფნი ახლო ურთიერთობაში ჩრდილოელ მეზობელთან, არ ეთანხმებოდნენ ამგვარად დანახულ რუსეთს და ამბობდნენ, მაგაზე შებერტყილი ერი არ არსებობს მსოფლიოში და მაგათთან მტრობა, ჩვენთვის კი არა, უზარმაზარი ქვეყნებისთვისაც უსარგებლო საქმეაო, მაგათ ფეხებსაც ვერავინ დააჭამს ჯერ-ჯერობითო და ჭკუით ვიყოთ, ის სჯობსო. ამიტომ იწევდა დულას რეიტინგი მაღლა, რომ ის ზღაპრული დევგმირივით დაჯირითობდა რუსულ ტრამალებზე.

– ყაზანელი თათარი ქალბატონი მეჯდა საყვარლად ერთ ხანს, – გვიყვება დულა, – მზეს ეუბნებოდა, გეყოფა ახლა შენ, ცოტა ხანს მაცალე, მე უნდა გავანათო ქვეყანაო. აბა, ამფერი ლამაზი იყო. ყაზანთან ახლოს რომ სოფელია, კუკუშკინო, იქედან იყო. სოფლის სახელს იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ლენინის დედა ცხოვრობდა იქ, ვიდრე იმპერატორის კარის ფრეილინა და ილია ულიანოვის ცოლი გახდებოდა, არა უშავს რა სოფელია. იქ ძირითადად „დაჩებია“ და მე და ჩემი გულნარა იქ ვატარებდთ შაბათ-კვირეებს. გულნარას ბიძა ჰყავდა – კამილი. დიდვაჭარი იყო. თათრეთის ყველა ბაზარში „ტოჩკები“ ჰქონდა. ეს კამილი ერთ შაბათ დღეს, კუკუშკინოში დიდი ძღვენით გვეწვია და მითხრა: „გლაზუ ნა გლაზ ვილაპარაკოთო.“ ნეტა რა

ჩემი ფეხები უნდა ამ ჩემისას-მეთქი და გავნმარტოვდით. „ნიკიფოროვიჩ, შენ ძლიერი და თავზე ხელაღებული კაცი ხარ და უნდა დამეხმარო. ფსონად კი შენს საკადრის გრევს გამოვდივარ.“ „რასო, რასო?“ – იკითხა რამდენიმემ. „რასო და ბლომად მაყუთს გადაგიხდი, თუ ერთ საქმეს მომიგვარებო. სიმდიდრე და მეფური ცხოვრება რომ არ მაკლია, ქე ხედავ შენ, მაგრამ ჩემი ცოლი, ასუდე, სხვასთან დაეთრევა და რა ვქნა, არ ვიციო.“ „გააგდე. ამოჰკარი პანღური და მოს----ია პატრონი.“ „რომ გავაგდო, სიმამრი ნიფხვის ამარა დამტოვებს. საქმეში მისი ჩაყენებული ვარ.

აქ რჩევის საკითხავად კი არ მოვსულვარ, საქმიანი წინადადება მაქვს,“ – მოიწია ახლოს.

„ბრძანე“, – ვეუბნები. „ჩემი ცოლის საყვარელი უნდა მოკლა.“ „რას მეუბნები, ეგეთი ცოდვა როგორ ავიკიდო?“ – გავშრი კაცი. „ა, ეს შეგიმსუბუქებს ცოდვას, – მეუბნება და ცელოფანში გახვეულ რაღაცას მაწვდის, – მეორე ნახევარს საქმის დასრულების შემდეგ მიიღებ.“ კაი მძიმე შეკვრა იყო და ვკითხე, – კლიენტი ვინ არის?“ „ოლეგ ნესტერენკო. ჩემი პარტნიორია მამადიშის ბაზარში.“ „კაცო, რუსი გიქინძავს ცოლს?“ – ვკითხე დაცინვით. „რუსი არ არის, ხახოლია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს? შენ ის მითხარი, იღებ ამ საქმეს? – დამაჯინდა. „აქ რამდენია?“ „50 ათასი დოლარი. ერთ მაგდენსაც მიიღებ.“ „იმ ტიპის სახლის და სამუშაოს მისამართი მოიტა.“ „საუშაო მამადიშის ბაზარია.“ „ეგ სადღა ოხრობაშია?“ „ნაბერეჟნიე ჩელნისკენ.ყაზანიდან 120-130 კილომეტრია. პატარა ქალაქია, დიდ ხმაურს გამოიწვევს. საქმე ყაზანში უნდა გააკეთო.“ „ეგ შენი საფიქრალი არ არის. მაგ ოლეგას კიოსავით გავაქრობ.“

ასე დამთავრდა საუბარი. ძმაკაცი მყავდა ყაზანში, სვანი ზაურა. ძაან მაგარი კაცი.სამი რუსი გალახა ერთხელ ქუჩაში, მეზღვაურები. შემოეყარნენ და რაკი მარტოკაცი დაიგულეს, შესძახეს: „ნა კოლენი-დაიჩოქეო,“ გადეირია ზაურა, ვის უბედავთ, ქართველი ვარო. ჰოდა თუ ქართველი ხარ, მით უმეტეს, უნდა დაიჩოქოო... და დაუშვა ზაურამ და გაიგდო წიხლქვეშ

სამივე... ვუთხარი ამ ზაურას, ერთი ხახოლი გვყავს გასაჟიმი-თქვა. „დულა, არ გაბრიყვდე და ადამიანის სისხლში არ გაერიოო.“ – აჯიჯღინდა. „სისხლი არა იხვის ტოლმა. შევხვდეთ იმ ოლეგას, წამოვარტყათ ერთი-ორი და ვუთხრათ, არც იმ ნაბოზარ ქალს გაეკაროს და არც აქაურობას. დაახვიოს აქედან. მერე კამილს ვეტყვით, დავბრიდეთ შენი ასუდეს კურო და წყალში ჩავძირეთ.“

ოლეგი იოლად მოვძებნეთ მამადიშის ბაზარში. ჯერ გაჯიქდა. ზაურამ ლაფათასავით ხელი წამოარტყა კისერში და უთხრა, თვალები მაგრად გააჭყიტე, იქნებ უკანასკნელად ხედავ ამ ქვეყანასო, იკადრა და აქეთ შეგვეხვეწა: „ნუ მომკლავთ და დღესვე მოვხევ ლუგანსკშიო“. „ეგ ლუგანსკი სად არის?“ – ჰკითხა ზაურამ. „უკრაინაში. იქიდან ვარ.“ „დღესვე ნუ მოხევ. ერთი-ორი დღე გაიარ-გამოიარე, საქმეები გადააბარე-გადმოაბარე და მერე წადი,“ – ვურჩიე. „ეუ, დულა, იმერელი ხარ და ფიორი ეშმაკობა არ გაგაჩნია, – დამცინა ზაურმა, – ამის გაშვება აღარ შეიძლება. მოგვიტყდება და ვინ მოძებნის? ახლავეს ჩავაგდოთ მანქანაში და ჩავაცილოთ უკრაინამდე. ასეც მოვიქეცით. ჩავაგდეთ ძველ 07-ში, მივაცილეთ საზღვრამდე და ვუთხარით, ხალხი ლუგანსკშიც გვყავს და ვაი შენს თავს, თუ აქედან მინიმუმ სამი წელი ფეხს მოიცვლი. თუ კამილის ცოლს დაურეკავ ან დაუმესიჯებ, მიწაშიც რომ ჩაძვრე, ბოლოკივით ამოგთხრით.“

ამ ოპერაციის ჩატარება-დამთავრებას 17 დღე მოვუნდით. კამილას მე და ზაური აგარაკზე ვეწვიეთ. ეზოში მისი ხახოლსაყვარელდაკარგული მეუღლე ძაღლს ავარჯიშებდა. ვერ ვიტყვი, რომ მისით მოვიხიბლე. უზომოდ დიდი გავა და უზბეკური ნესვებივით დიდი ძუძუები ჰქონდა. ამისთანას კოლექციისთვის თუ იმასქნი, თორემ სხვაფრივ მიმზიდველი და საისეთო არაფერი ეტყობოდა. „აბა, რა ჰქენით ბატირებო?“ – გაგვიცინა კამილმა, როცა აგიზგიზებულ ბუხართან მდგარ სავარძლებში ჩავეფლეთ და თითო ტეკილა ვხიეთ. „ჩავაძაღლეთ და ოკაშია, ყინულების ქვეშ,“ – უდარდელად ვუპასუხე და ლი-

მონის ნაჭერი ჩავიდე პირში. „საბუთი მჭირდება,“ – მითხრა კამილმა. „რა საბუთი?“ „რომ ოლეგი ნამდვილად მკვდარია!“ „რომ მოვკალით, ბევრი ვეხვეწეთ, დაგვიწერე ჩვენ რომ მოგკალით-თქვა, მაგრამ არ დაწერა,“ – შევუღრინე. „ხუმრობ?“ „მე კი არა, შენ ხუმრობ. აბა რა საბუთი გინდა? კაცი ვარ და გეუბნები კაცურად!“ „მოიცა დულა, საბუთი მაქვს,“ – ამბობს ზაური. მე და კამილი ერთნაირი გაოცებით ვუყურებთ. „გავალ და მოვიტან,“ – თქვა და გავიდა.

ისე ვარ გაბრაზებული კამილზე, რომ მოვკლა, გული არ დამიშლის. ჩემიდან არც ისე შორს, ბუხრის საჩხრეკი დავლანდე. დავუშვებ თავში და აფართხალოს ფეხები. ..და ამ დროს ზაურა შემობრუნდა. ხელში ქაღალდის მომცრო „კულოკი“ ეჭირა. კამილს მიუახლოვდა და მაგიდაზე დაუგდო. თათარმა გახსნა ძირს ყურები დაცვივდა. ხო, ხალხო. ადამიანის ყურები.

– ეს, ეს რა არის? – ერთნაირად შევძრწუნდით მე და კამილი.

რა არის და ეიფელის კოშკი. იმ ნაბიჭვარი ხახოლის ყურებია! – შეიგინა – ზაურამ.

– აიღე და აქედან მოაშორე. თქვენ ვინ ყოფილხართ! – შეეშინდა კამილს და მეორე ოთახში გლიჯა თავი. ზაურამ ყურები შეინახა ლაბადის ჯიბეში. კამილი დაბრუნდა, თანხა მაგიდაზე დადო და ხელით გვანიშნა, აუდენცია დამთავრებულიაო...

„სად სიკვდილში იშოვე ეგ ყურები?“ – ვკითხე ზაურას, როცა კარგა მანძილი გამოვიარეთ მანქანით.

ზაურამ ყურები გაქანებული მანქანიდან მოისროლა და ხელი ჩაიქნია: – ნაცნობი ლოთი მყავს, მორგში მუშაობს. ერთ ბოთლ პორტვეინად გამოვართვი. ვიცოდი, ის ჩათლახი რამე მტკიცებულებას მოგვთხოვდა და წამოვიღე. კარგად ვიცნობ მაგ უჯიშოებს.

გავიდა ხანი... კამილი და ზაური მეტისმეტად დაახლოვდნენ. ოლეგის „ტოჩკები“ ჩემმა ძმაკაცმა გადაიბარა და მისი ადგილიც დაიკავა ქალბატონ ასუდეს საწოლშიც და გულშიც, მაგრამ „ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა?“ ექვსი თვის შემდეგ, მაგნიტოგორსკში, საქმეზე ჩასული კამილი,

ჰოკეის მატჩზე, ცოცხალ ოლეგას გადაეყარა... ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ხახოლმა ფეხქვეშ გაიფინა თათარი. გონზემოსულმა კამილმა, საავადმყოფოდან დაურეკა ზაურას: – შენმა მოკლულმა ოლეგამ სასიკვდილოდ მცემაო.

– სად შეგხვდა ეგ ძაღლისშვილი? – ჰკითხა ზაურამ, რომელიც ამ დროს ასუდეს უხათქუნებდა და მობილურის ზარმა დისკომფორტი შეუქმნა.

– ჰოკეის სასახლეში!

– ტელევიზორში გეყურებინა ეგ ჰოკეი, სასახლეში რა მიგარბენინებდა? ოლეგსაც აცდებოდი და გალახვასაც, – უპასუხა ზაურამ და ასუდეს უთხრა, პოზა შევიცვალოთ, ახლა შენ ადი ზევით და მე ჩამოვალ ქვევითო.

დულას მონაყოლმა სიცილნარევი აჟიოტაჟი გამოიწვია.

– მერე რით დამთავრდა ეს ამბავი? – იკითხა ბენიამ.

– რითი? ჩამევიდა ზაურა ქვევით და ევიდა ასუდე ზევით.

– ეგ კი არა, ზაურას, კამილას და შენი ამბავი?

– კამილა და ზაურა მეგობრებად დარჩნენ. ზაურამ და ასუდემ ისე მოუქციეს მხარი, რომ არა ხუთი გატეხილი ნეკნი, ოლეგის „მეორედ მოსვლა“, სიზმარი ეგონა. ოღონდ ესაა, რომ მე არც-ერთი აღარ მეკონტაქტებოდა. მერე კიდევ, იმ გულნარას ხომ არ შევაბერდებოდი, დავშორდით და ამ ამბავსაც და ურთიერთობასაც ქე მივაყარე ნაცარი.

– დულა ბიძია, არაყით დატვირთული მანქანა რომ გაგიფუჭდათ შენ და ლეოს კუიბიშევთან, მოგვიყევი თუ შეიძლება, – ითხოვა წყნარად იაშას ბიჭმა თემურიმ, კარგი მამის კიდევ უფრო კარგმა შვილმა, ყველაზე წესიერმა კაცმა ჩვენს შორის.

– ჩემო იასონიჩ, მოგიყვები, აბა რას ვიზამ? – გაუცინა დულამ, – მაგრამ ეს ამბავი, კუიბიშევთან კი არა, სამხრეთ ურალში შეგვემთხვა, პერმს იქეთ, სოლიკამსკის გზაზე. ყაზანში, არაყით დავტვირთეთ ათტონიანი კამაზი და შევუბერეთ. ორ დღეში გავცდით პერმს. იმის იქით, პატარა ქალაქია, ჩუსოვოი და აქედან იწყება ურალის მთების სამხრეთი ნაწილი. ისეთი სიმაღლეები და ციცაბოებია, ჩვენი რიკოთი ვაკედ მოგეჩვენებათ.

ერთ ასეთ დაღმართს რომ დავუყევით, დაიხავლა და იღმუვლა მოტორმა“მიშველეთო“ და აქეთ ლეო აჰყვა, დაგვისტუკა მაგის დედაცო. მიაყენა გვერდზე და გავჩერდით. როცა გინებას მოვრჩით, დავფიქრდით და აღმოვაჩინეთ, არცთუ უსაფრთხოდ ვიყავით.

შუა ტყეში, მთებში, უკაცრიელ ადგილას, რუსეთში, რვაათასი არაყიანი ბოთლით დგომა რას ნიშნავს? ეს იგივეა, პატიმრების საერთო კამერაში, შიშველი კახპა რომ შეაგდო, თუმცა იქ, რაღაც სუბორდინაციას მაინც იცავენ. აქ კი... რუსი და არაყი ერთად, იგივეა რაც ქართველი და ყანწი ან ფრანგი და რევოლუცია! რაც არასამთავრობო და გრანტი. ამ „სიკეთეს“ ისიც ემატება, რომ მობილურიც არ იჭერს. ლეომ თავისი ორლულიანი თოფი ააწყო. ორი ჟაკანი მისცა პირში და მითხრა, აგერაა კიდევ რვა გილზი, ხუთ მეტრზე ახლოს არავინ მოუშვა მანქანასთანო. პირველივე გამომვლელ ტრანსპორტს (კალიასკიან მოტოციკლს) შეახტა, უკან, ჩუსოვოისკენ გაუტია, ჩვენს ქარხანაში დავრეკავ, სხვა მანქანას მოგვაშველებენ, თანაც საგზალს წამოვიღებო... ჩამოვედი კამაზიდან, მიკავია თოფი და ვუვლი გარშემო. ივნისია. ამ დროს რუსეთის ევროპულ ნაწილში საშინელი ხვატი იცის, მაგრამ აქ მთა და ტყე აგრილებს და მთავარია, კოღო არ იცის. დავდივარ და ლეოს ვაგინებ. თავი მანქანის პროფესორად მოაქვს და მოტორმა როგორ დაუსტუკა? არ არის საჟეჟი? კიდევ კარგი იმ დროს არ ვიცოდი, რომ აქედან რამდენიმე კილომეტრში, ე.წ. გრემიაჩინსკში, განსაკუთრებით საშიში პატიმრების ზონა ყოფილა, თორემ შიში და სიფრთხილე მაშინ გენახათ. დილით წასული ლეო შებინდებისას დაბრუნდა. “ბატონო აფიცერო, თქვენს არყოფნაში არავითარ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია!“ – მოვახსენე. „ხო, დულა ფხაკაძე, იციგნე და იცინე, რავა არ გვაქვს საქმე სამხიარულოდ თუ!“ – მომაძახა აშკარად კაი ხასიათზე მყოფმა. „მიამბე ელიზბარაო, რა ამბავ მოხდა ეღოსა,“ – ვაჟა მოვიშველიე. „ე, ბიჭო, ლაქლაქს მოვასწრებთ, ჯერ ვჭამოთ რამე. ძეხვი, შემწვარი ქათამი, პური და ყველი მოვიტანე.“

სადილობისას მიამბო, რომ არამარტო ქარხანას, არამედ არყის მიმღებებსაც დაუკავშირდა და მანქანა, რომელიც სოლიკამსკამდე ჩაგვიყვანდა ბუქსირით, უკვე გზაში იყო და ხვალ საღამომდე აქ იქნებოდა. „და ხვალ შუადღემდე რა ვქნათ, ლეო?“ „ვიფხანოთ.“ „მახათი მაინც წამოგეღო ქალაქიდან,“ „ვერ ვიშოვნე, თუმცა არ მგონია სამახათოდ გვქონდეს საქმე, – მაფრთხილებს, – თუ მოწვეს რა განძიც გვაქვს, მთელი „ობლასტი“ აქ მოიყრის თავს.“ დაღამდა. ვზივართ კაბინაში და ვეწევით იმდენს და ისე ხშირად, ბოლი თვალებს გვწვავს. მერე თვლემა მოგვერია. „ანტონიჩ, – ვეუბნები, – ერთდროულად დაძინება არ შეიძლება.“ „კაი აპა, ჯერ მე დევიძინებ ერთი-ორი საათით და მერე შენ.“ – მიპასუხა მთქნარებით, უკან გადაძვრა საწოლზე და ისე ახვრინდა, კაბინაში კი არა, მანქანიდან ოცდაათ მეტრშიც ვერ გაჩერდებოდა სულიერი. ტრასაზე მანქანების ბოდიალი ჯერ შეთხელდა, ღამის 11 საათის მერე, 15-20 წუთში თუღა გაივლიდა. ვზივარ და ვპრანავ თვალებს. ერთი კვირის გამოსახედს, ერთ წუთში ვიხედები. საფრთხე ყოველ წუთსაა მოსალოდნელი. ორი კი არა, ოთხი საათი გავიდა. ლეოს ხვრინვასაც შევაჩვიე ყური. ეძინოს, ცოდოა. საჭეს არ მანდობს და იღლება ამხელა გზაზე. ტყე კი საეჭვოდ შრიალებს. თოფი ავიღე და კამაზს წაღმა-უკუღმა შემოვუარე. ამ დროს, უკნიდან ზრიალის ხმა მომესმა, მერე ხმამ იმატა და გვერდით ჩამიარა. შიშისგან თოფი ავღმართე და მაღლა, ჰაერში გავისროლე. ამას ღრჭიალი მოჰყვა და რაღაც დიდი და მძიმე ჩავარდა ბუჩქებში. „ჰა, რა იყო? რა ამბავია?“ – კინაღამ თავზე დამეცა კაბინიდან გადმომხტარი ლეო. „რა ვიცი, რაცხა იყო, კინაღამ გამიტანა,“ – ვეუბნები და საკუთარ ხმას ვეღარ ვცნობ.

ლეომ ფანარი აანთო და წინ გასწია. მივყევი ცალტყვიანი თოფით.

– ე, ბიჭო, გაწიე იქით, არ გაგივარდეს. რომელი გეროი მე ვარ, რუსეთში რომ ტყვიით დავეცე? – კიდევ მასხრობის იშტაზეა ეს ოხერი. ორმოცდაათ ნაბიჯში ბორბლებაპლაკული მოტოციკლი ეგდო ხეებს შორის ბუჩქებში. იქედან კი ოთხი

თვალი იჭყიტებოდა ლეოს მძლავრი ფანრის შუქით შეწუხებული. „კასკები“ ეხურათ. „ვინ ხართ, თქვენი პატრონ-მყვარებელი მოვ-ნ!“ – და ჩახმახი შევაყენე. „ჩვენ ვართ,“ – ქალის ხმით მიპასუხა ერთმა „კასკამ.“ „ეგ მეორე ვინ არის?“ – ისე იკითხა ლეომ, თითქოს პირველს კარგად იცნობდა. „ეს ლიდაა.“ „მუნჯია?“ „აბა, რატომ არაფერს გვეტყვის?“

აქ კი ჩვენ, დულას აუდიტორიას დაგვატყდა მეხი.

– ხედავთ და გესმით? ისევ იმაზე დეიყვანა. ყველაფრის ტყ-ზე დაყვანა შეიძლება? კაცო, იმ უდაბურ შუა ტყეში, იმ შუაღამეზე, ორი გოგო, რუსები, რავა მაინცდამაინც მაგას მიადგა! – აყვირდა, რა თქმა უნდა, გამოიცანით, ბაჭუჭი გიგა-შვილი. „რა გაატრაკე ბაჭუჭია საქმე! – გაგიჟდა ოლეგა ზარნაძე, რომელსაც სოფელი „ყვავიჭამიას“ ეძახის, – შენ თუ არ გჯერა, ჩვენ გაგვატარე, ვისაც გვჯერა, ლენინის პანაშვიდის არ იყოს.“ „შენ დაგექცა დულაია ფხაკაძე ოჯახი, ყვავიჭამიას და ხატის ქათმების ქურდის საყვირლად რომ გამიხადე საქმე,“ – „დალოცა“ დულა ბაჭუჭიმ და ხელი ჩაიქნია, – ჩემი ფეხი აღარ იქნება აქ. კარგად გაიგონეთ და დეიმახსოვრეთ ეს!“ თქვა და ისე სწრაფად გაქუსლა, ამ ტემპით ორიოდე საათში, მთლად ტოკიოში თუ ვერა, დელიში ან კალკუტაში მაინც ჩააღწევდა, თუმცა შორს არ წასულა. რაკი მიხვდა, კალთებს არავინ დაახევდა ხვეწნით, ე, ბიჭო, ბაჭუჭია, დაბრუნდი, რა გეწყინა შე კაი დედმამის შვილოო, ისევ უკან მობრუნდა ფეხაკრეფით, დულა კი განაგრძობდა: „გამოვაძვრეთ ის გოგოები ბუჩქებიდან, გამოვუთრიეთ მოტოციკლიც, სულ არ ეტყობოდა არაფერი.“ „მერე, მერე“... „მერე, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, ქე შევუდექით საქმეს“, – დაჰკრა ბეჭედი. „მერე?“ „მერე გათენდა და სოლიკამსკიდან თუ ბერეზნიკიდან მანქანა მევიდა. ჩაგვიბეს „მკვდარი ბუქსირი“ და წაგვიყვანეს დანიშნულების ადგილას.“ „ეგ რაში მაინტერესებს.

გოგოებთან რა მოხდა?“ – იკითხა ბურატინომ. „რა მოხდებოდა ორ ნორმალურ კაცსა და ორ ჯიშიან რუსის გოგოს შორის შუაღამეზე ტყეში? ლერმონტოვის პოემას ხომ არ წავუკითხა-

ვდით/ის თუ გაინტერესებთ, რა ფერის ნიფხვები ეცვათ, ღამე იყო და ვერ გავარჩიე," – ჩაერთო დულა დებატებში, – მთავარი ის იყო, სოლიკამსკში რომ ჩავედით, ცა და ქვეყანა გაკვირვებული იყო, ამდენი არაყი გედოთ მანქანაზე და რა ჯიშის ხალხი ხართ, წვეთი რომ არ ჩაგიკარებიათ პირშიო." „აჭარბებ ზოგჯერ დულაჩემო, მთლად ასეც არ გიჟდებიან არაყზე მაგენი, – რუსების ადვოკატობა იკისრა თარიმან მაჩიტიძემ, – ანდა რა სჯობია კაი ჭვარჭვალა არაყს, დილას, კაი მკუხე პამიდვრის მწნილით, ჭადით და ზაფხულის ნასვრეტებიანი ყველით, მერე თუ კაი-კაი თხელ ხაჭაპურსაც მიაყოლებ, განაფიცხებს". „ეგ ერთხელ, ორხელ ქეა კაი, მარა ყოველდღე გაგალოთებს და "გაგადახადიაკებს", – არ დაეთანხმა ექვსცოლა ნუგზარა, – მე რომ ვყოფილვარ რუსეთში და მივლია, ვინ ყოფილა და ვის უვლია იმდენი? ჩემი ექვსიდან პირველი ოთხი რუსი იყო, მარა მართლა გაარყებული და გალოთებულია მთელი რუსეთი." „ვერ დევიჯერებ მაგას. რუსეთში ვარ ნამყოფი და იქეთაც, მარა ძაან აჭარბებთ თქვენე," – არ დათმო თარიმანმა. „რა იცი ბიჭო შენ, რა არის რუსეთი? – მოულოდნელად გაბრაზდა სერგო ნიკოლაძე, – ერთხელ იყავი სოჩაში და გგონია, იცნობ?"

„გვითხარი, რაღას გვაწვალებ, აგვიხსენი და გაგვანათლე, თორემ ვერ ხედავ, ერთ ადგილს რომ ტკეპნიან ეს ჩემანალები? – ვერ მოითმინა ნაყაჩაღარმა ვალიკომ, რომლის ნამდვილი ასაკი ღმერთის გარდა არავინ იცის და ვის შესახებაც სოფელში ამბობენ, 1917 წლის 7 ნოემბერს პეტერბურგში, ზამთრის სასახლეს რომ იღებდნენ და „ავრორამ" გაისროლა, ე, იმ კრეისერზე მუშაობდა „კაჩიგარადო", – ჩემს დროს ყველა ერთნი და ერთი ქვეყნის შვილები ვიყავით: ქართველიც, რუსიც, ბელორუსიც, თათარიც... ძმებივით გვიყვარდა ერთმანეთი. სტალინი უნდა ამ ქვეყანას და თქვენ ყველას!" „ვალიკო ბაბუა, – წამოხტა სერგო, – შენ უნდა გემგზავრა ჩემს მაგივრად ჩელიაბინსკი – როსტოვის მატარებლით და გეიგონებდი, რაფერ დარბოდნენ რუსის ომონელები ტამბურში და ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდნენ – მოქალაქე მგზავრებო, თუ თქვენს შორის არიან ქართველები,

პასპორტთან ერთად ხელებაწეულნი გამოვიდნენ!“ „გახვედი?“ – იკითხა ვიღაცამ. „რომ გავსულიყავი, აქანა ვიქნებოდი ახლა? – იკითხა სერგომაც და ყვავიჭამიას შეუძახა, – სოროკი მაინც დამიტოვე ჩემი ნაყიდი სიგარეტიდან!“ “ღერებით ყიდულობ?“ – ჰკითხა ბენიამ. „აბა, რა ვქნა? ცოლმა ჯერ-ჯერობით ვერ იშოვნა სამსახური, ტყვილა გოვუშვი იტალიაში, ხარჯი ხარჯად დევიმატე, ვალი-ვალად. ეს ბებერი ძაღლი კიდევ რუსთან ძმობაზე მელაპარაკება.“

„იმ მატარებელში რაფრა გადარჩი?“ – დაინტერესდა ბაჭუჭი. „როსტოველი დამა ქალი იჯდა ჩემთან კუპეში. მითხრა, ჩქარა აძვერი მაღლა საწოლზე და ისე იშფოთე და იხვრინე, ვითომ გახეული მთვრალი ხარო. დანარჩენი მე ვიციო, მე მომანდეო. ავძვერი, ავხვნეშდი და ავბორგდი. შამევიდნენ ვინცხეები და ეცა ეს ქალი: ნუ ხმაურობთ ჩემო ძვირფასებო, ჩემი ქმარი გაგლეჯილი მთვრალია, ძლივს დავაძინე. გაჟინიანდა, ძირს არ მინდაო, ახლა ამან თუ გეიღვიძა, დეიწყებს ვაგონში წანწალს და ღრიალსო. კაი დეიდა, შენ მაგას მიხედე და ჩვენ ჩვენ საქმეს გავაკეთებთო... და ქე გადავრჩი ასეთნაირად.“ „იმ ქალბატონს გოდოუხადე მადლობა?“ – ერთხმად იკითხეს ბაჭუჭიმ და თარიმანმა. „კი, გოდოვუხადე.“ „რითი?“ „რითი და ყ-თი!“ – გაბრაზდა სერგო. „ე, ამანაც იქამდე დეიყვანა. არ მჯერა არც შენი და არც დულას არც-ერთი სიტყვის. გამევიდენ ესენი ახალი კალისტო ვეფხვაძეები (კალისტო ვეფხვაძე ზემოსოფლელი კაზანოვაა. ახლა გარდაცვლილია),“ – მორიგეობით ყვიროდნენ ბაჭუჭი და თარიმანი. „კი, მარა, თქვენ რამ გაგამწარათ მეზობლებო, რას იჭიმებით, დაგიშავეს რამე ამათმა რუსებთან ცუღლუტობით?“ – წყნარად იკითხა ბენიამ.

ამან გაჭრა და ამ ორის ხმა, ერთხანს აღარ გაგვიგონია.

– არაყზე გამახსენდა, – დაიწყო ახალი ამბის მოყოლა დულამ, – მე და პატივცემულმა ლეომ არაყით დატვირთული კამაზი კუიბიშევისკენ დავძარით.ქალაქში გვიან ჩავედით. ფასიან ავტოსადგომზე ვიშოვეთ ადგილი კამაზის გასაჩერებლად ბოთლი არაყის ფასად. ღამე მანქანაში გავათიეთ. დილით კი

ტვირთი დანიშნულების ადგილზე მივიტანეთ. დაგვხვდა რახიტიანი რუსი და მოგვახსენა, არაყი აქ კი არა, აქედან 200 კილომეტრში უნდა ჩააბაროთ, ისაკლშიო. ჩავიწერეთ მისამართი და გავსწიეთ. მაისის თვე იყო და ნაზამთრალი რუსეთი ბუნაგიდან გამოსული დათვივით იზმორებოდა თითქოს. ბევრი სოფელი შეგვხვდა გზის პირას და მოშორებითაც. სიღარიბე და სიმარტოვე იდგა იმ სოფლებში. ისაკლი პატარა ქალაქი აღმოჩნდა, სტალინის დროს აგებული შენობებით და გრძელი, ერთსართულიანი პანელის ბარაკებით. ჩვენი ადრესატი უზარმაზარი მაღაზია აღმოჩნდა. მეპატრონემ, დაჩამიჩებულმა, უხვად შეღებილმა და შებათქაშებულმა ქალბატონმა, დიდი სიხარულით მიგვიღო და სადილზეც დაგვპატიჟა თავის კაბინეტში:

„ვიდრე მანქანას გადმოტვირთავენ, მანამ ჩემი მომზადებული პელმენები მიირთვით სუპთან ერთადო.“ „ჯერ საქმეს მოვრჩეთ ძვირფასო, პელმენი არსად გაგვექცევა,“ – გაუღიმა ლეომ და მე წარმადგინა: „აი, დულა ნიკიფოროვიჩი, შეიყვარეთ და შეიწყალეთ. თქვენ დაიწყეთ და მოგვიანებით შემოგიერთდებით“. შევატყვე, ქალბატონს არ ესიამოვნა ლეოს წინადადება, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და წინ გამიძღვა. „ეცი, ქვეშ მოექეცი!“ – გამომძახა ლეომ და შევუდექი ლიდია ნიკალაევნასთან (ასე ერქვა დედაკაცს) ერთად პელმენების ყლაპვას. ქეიფი არ გამოგვივიდა. ამ ქალში საინტერესო არაფერი იყო და სიტყვავძუნწობდი. ლიდიას კი გარეთ რა ხდებოდა, ის უფრო აინტერესებდა და უხმოდ ცლიდა ჭიქებს. ბოთლი რომ გამოვაშრეთ, თვალები აუელამდა და მეუბნება: „შენი ლევან ანტონოვიჩი დიდი უცხვირპირო კაცია. მესამედ ვხვდები საქმეში და ზედაც არ მიყურებს. ქალად არ მთვლის ეგ ძაღლისშვილი.“ „ცდებით ძვირფასო. ლეო მორცხვია, ქალებთან ურთიერთობა უჭირს, თორემ თქვენისთანა ცეცხლივით ქალზე ვინ იტყვის უარს?“ – ვცდილობ დავამშვიდო. „ამას ჩემზე ამბობთ?“ – ნაზად მიღიმის და ხელზე მეფერება. „თქვენზე ჩემო ლამაზო,“ – ვეუბნები და ვუყურებ. „არ მჯერა, არ მჯერა!“ – კისკისებს. და მე, კვაჭი კვაჭანტირაძის არ იყოს, ვნებიანად მივმართავ:

„თქვენს საწოლში რომ ვიყო, ამას საქმით დაგიმტკიცებდით!“ ამის თქმა და მებდღვნა: „ია ხაჩუ ტებია!“ „მერე, მერე, ახლა გაჩერება შეიძლება?“ – ავყვირდით, რადგან დულამ დიდი პაუზა გააკეთა. „დავუმტკიცე,“ – თქვა დულამ და გააბოლა, – მერე ორი ჭიქა არაყი გადავკარი კიდევ და ისევ დავუმტკიცე.

რომ მოვრჩი და სული პატარაზე მევიბრუნე, კარებზე ბრახუნი ატყდა, რასაც ნარჩევი გინება მოჰყვა და კაბინეტში პოლიციის ოფიცერი შემოვარდა. „რა გაღრიალებს, მოგდევს ვინმე?“ – წამოუხტა ლიდია. „უჩემოდ სვამთ, ვერ დამირეკე?“ – იყვირა პოლიციელმა და მაგიდას მოუჯდა. „ჩემი ქმარია, – გამაცნო ნიკალაევნამ, – ეს კიდევ ჩემი ახალი „პადსტავშიკი“ – წარმადგინა მე.“ „ანატოლი სტეპანიჩ იურზინოვი“, – სწრაფად ჩამომართვა ხელი, მერე კი არაყი გადაჰკრა და დეიჭყანა. „შენ დაგჭყანა და დაგლოჭა სიცხემ, საიდან იმახსოვრებ ამდენ გვარ-სახელს?“ – გაუკვირდა ბენიას.

„რას ახრამუნებ კაცო შენ ბოკიას ცხენივით?“ – შეუბღვირა ლეუშა მეწისქვილემ გერონტიას მურმანას. „თხილს, თუ გინდა გაჭმევ შენც!“ „ნაქურდალს როდის იყო, რო ვჭამდი? ერთხელაც იქნება და წაგასწრებს ტიტიკო მის თხილებში დაა...“ „ბიჭო, ტიტიკოსთან ეგ თხილის მოსაპარად დაძვრება თუ იცი?“ – ქეჩო მოიქექა ბუდუ ობოლაძემ. „აპა?“ „ტიტიკოს გოგოს დატრიალებს, ნუნუს.“ „ეუჰ, კაი გოგოა ნუნუ, მარა თუ გაგიგო მამამისმა, გაგითრევს წელს!“ „ფეხებს მომჭამს ძირში, – თქვა მურმანამ, – ვინ ჰკითხავს მამამისს?“ „აბა ვის კითხავს მე შენი პატრონ – მყვარებელი მო---ან!“ – წამოდგა ტიტიკოს ძმა, ჟორაორმოცდაჩვიდმეტჭიქადალეული (ზუსტად ამდენი დალია კაკუნას ქორწილში), მაგრამ არც მურმანას ეძინა და ისე მოქუსლა, გაფრენილ ჩიტს გადაჯეგავდა. „ე, ბიჭო, ნუ დაა-ფრთხე მომავალი სიძე,“ – თქვა ვიღაცამ. „მაგაზე უკეთესმა არ გეიაროს შენ მიწა-ნიადაგზე!“ – მიუკურთხა ჟორამ და მურმანას გამოუდგა. „მოკლავს თუ დეეწია,“ – ივარაუდა თარიმანმა. “ოჰ, მაგაზე დაგიდგა დარდები, – დაამშვიდა ბენიამ, – მუცელი არ გტკენია მაგის გაჩენაზე და უკანალი. დულა ბატონო, მერე

რა მოხდა იმ ვინცხა ლიდიასთან?“ „აღარაფერი. დალევის თავი აღარ მქონდა. მანქანაც გადმორტვირთეს ამასობაში და ქე წამევედით. ხო მართლა, პელმენები ლეოსაც ქე შეხვდა.“

„კი, მაგრამ ეს ამბავი რისთვის მოგვიყევი? რა იყო ახლა შიდ გასაკვირველი? – არ მოეშვა ბენია, – რაში მაინტერესებს მე ან ამათ, რამდენი პელმენი შეჭამეთ შენ და ლევანამ?“ „შტერი ხარ ბენია შენ, – უპასუხა დულამ, – პელმენი რა შუაშია? მთავარი ისაა, რომ შემოდის კაცი, მისი ცოლი უცხო კაცთან ქეიფობს მოშილიფებული და მოღიავებული, ის კი ეჭვიანობის მაგივრად იმაზე ბრაზობს, უჩემოდ არაყს რატომ სვამო. ახლა გაიგე?“ „ვერა.“ „ჰოდა, რო ვერ გეიგე თავის დროზე, ქე მიგიქინძა გოგო ლადო კვახაჭელიძის ბიჭმა,“ – მიახალა თარიმანმა და ისე სწრაფად მოკურცხლა (რა ვქენი ესო), მურმანას წეხანდელი გაქცევა, რადიკულიტიანის ბანდალი გეგონებოდა. რა კითხვა უნდა და ბენია უკან გამოუდგა. „ჰე, ადექით ბაბუა ახლა, დევიშალოთ, სანამ ასე სათითაოდ არ გამოვკიდებივართ და დაგვიშტირავს ერთმანეთი, – თქვა ნაყაჩაღარმა ვალიკომ და ძლივს აიტანა წელი, – ეს ოხერი, გაქცევა მაინც შემეძლოს, ხორცი არ იჭმება ჩემი და ძვალი არ ვარგა, თუ არა, ჩემი ფეხით ჩავბარდებოდი ბოინს. „ქე ჩაბარდებოდი, მარა სადაა ბოინი ან ყასაბი?“ – ჩაილაპარაკა ვიღაცამ და ხანხალით, მაგრამ ჯერ კიდევ უჯოხოდ მიმავალ ვალიკოს გავაყოლეთ თვალი...

„პატივცემულო დულა, შენთვის თუ უღალატია ქალს?“ – იკითხა იაშას თემურმა. „რუსის ქალს თუ საერთოდ ქალს?“ – კითხვა შემოუბრუნა დულამ. „არა, საერთოდ თუ უღალატია ქალს?“ – იკითხა რამდენიმემ და დულა შეთქმულ მგლებში მოქცეული ბებერი ტოტიასავით შემეცოდა. „ჩემთვის რომ უღალატია, იმდენი ვისთვის უღალატიათ ქალებს?“ – გატყდა დულა და აშკარად შეეტყო, მისთვის ეს მძიმე თემა იყო.

– ვოლგოგრადში მყავდა ერთი ქალი. ნახევარი წელი ვცხოვრობდი მასთან. ჯერ, როგორც ბინის დამქირავებელი მივედი. სასტუმრო ძვირი ჯდებოდა. მე კი იმ ქალაქში დიდხნიანი საქმე

მქონდა, სარფიანი ძაან. განცხადება წავიკითხე გაზეთში და მივადექი. ბინაც მომეწონა და პატრონებიც – დედა-შვილი. ორი ბინა ჰქონდათ მესამე სართულზე – ერთი სამ და მეორე – ერთოთახიანი. ერთიანი მომაქირავეს... სამიოდე დღის შემდეგ, ქალიშვილი საღამოს შემოვიდა. ცოტა დავლიეთ, ცოტა ვიცეკვეთ და მერე ბევრი ვიგლისავეთ.

– რა, რა ქენით? – წამოიყვირეს აქეთ-იქედან.

– ვიგლისავეთ ანუ ვიპლაკავეთ, – „ახსნა“ დულამ უფრო პოპულარული და გასაგები სიტყვით და განაგრძო, – ამ ქალმა ისე შემიყვარა, ლამის გადამყლაპოს: „შვილი მინდა შენგანო,“ – მეუბნება ყოველდღე. ვამშვიდებ და ვიგერიებ. „უჯიშო არ გეგონო, სამეფო გვარის ქალი ვარო,“ არ მეშვება.

– რა გვარის ქალი იყო? – იკითხა ლეუშამ.

– ორლოვა.

– ჰო, ეს ორლოვები რუსეთში ნამეტანი დაწინაურდნენ ეკატერინე მეორეს დროს და გრაფებიც კი გახდნენ, მაგრამ ქართულად ეგ გვარი არწივაძეა და ცხრა ნომერი გლეხია, – სიტყვით გამოვიდა დათუნა ბახტურიძე.

– სხვა ქვეყანაში რაფერაა ეს საკითხი ვერ გეტყვით, მარა საქართველოში გლეხი, კეთილშობილებით არასდროს მდგარა თავადზე და აზნაურზე უკან, – დაბეჭდა გერონტი ობოლაძემ.

– მეც მაგას ვამბობ ჩემო გერონტი-თავი დაუქნია დათუნამ – რა მაგის პასუხია და ფრანგი მწერალი ამბობდა, აღარ მახსოვს კი, რომელი, ჩემი წინაპრები ბოლო ოთხასი წლის მანძილზე სულ გლეხები იყვნენ და დამისახელეთ ერთი დიდი გვარი მაინც, ვისაც ასეთი კეთილშობილი წინაპრები ჰყავდაო.

– კი, მასე იქნებოდა, მარა დულა ბატონო, ეგებ მოგვიყვეთ, რაფერ გიღალატათ იმ ქალბატონმა, – ჩაერთო მობრუნებული ბენია.

– გამოუცდელი ვიყავი მაშინ, პირველი ჩასვლა იყო ჩემი რუსეთში, წინა საუკუნის ბოლოა. მობილური ტელეფონი ქეც როა შემოსული და ქეც რო არ არის.ბოთე ვიყავი თუ არა, ბინას რა დამაქირავებიებდა? მარტოხელა ქალებს მიაქვთ რუსეთი.

სარატოვში გამიჩნდა საქმე, ძაან შორს არ არის ვოლგოგრადიდან. ერთი კვირის საქმე მქონდა წესით და კანონით, მაგრამ სამ დღეში ამოვხადე სული და „დესიატ ტისიაჩი "დოლარი ჩევიდე ჯიბეში.ვაგზალში მისული ვოლგოგრადისკენ მიმავალ პირველივე „მარშრუტკაში" ჩავჯექი და დევერეკე. შუადღის სამისთვის სახლში ვიყავი. ჩემთან არც შევსულვარ, პირდაპირ ორლოვებს მივადექი. ზარს ვაძლევ, მაგრამ არ გეტკინოთ არაფერი, კარს არავინ მიღებს. მობილური არ მაქვს ჯერ არც მე და არც ამ ქალებს. შევედი ჩემთან, დევიბანე, გევიპარსე, ვისადილე, მარა დედა-შვილი არ ჩანს.გამახსენდა, რომ რაისა სერგეევნა ძმასთან აპირებდა წასვლას რიაზანში, მაგრამ ეს ნადია სად ჯანდაბაში წეეთრა? ცოტა არ იყოს, ავნერვიულდი. სკოლაში დავრეკე (ბიოლოგიას ასწავლიდა), კაციშვილი არ მიკარებია ტელეფონს. ჩამეძინა.

როცა გავიღვიძე, ღამის ათი საათი იყო. გავედი და ნადიას მივუზარუნე. ჩამი-ჩუმი არ ისმის. შევბრუნდი ჩემთან, კარი მივხურე და სადარბაზოდან ხმაური მომესმა. გავიხედე „გლაზოკში" და ეს ჩემზე სიყვარულით შეშლილი ნადეჟდა, ვინცხა კაცს არ ეხვევა თავისი კარის წინ! ისე კოცნაობენ, შემირცხვენია სოფი ლორენი და მარჩელო მასტროიანი. ნადია ცალი ხელით კარის ხვრიტიმალაში გასაღებს აკვეხებს და მეორეთი კაცს ეხვევა. რავარც იქნა შევიდნენ. რავარია! ა! კარი გავაღე, ორივეს მოვკლავ-თქვა და სიცილი ამიტყდა. არ ვიცი, რატომ. გავსკდი კინაღამ სიცილით, მუცელი მეტკინა. ავიღე ყურმილი და ვრეკავ ნადიასთან. მეასედ ვიმეორებ, სახლის ტელეფონზე. „რომელი ხარ?" – მეკითხება. „ვინ ვიქნები, მე ვარ საყვარელო," – ვეუბნები ძლივს ნაპოვნი ხმით. „ოჰ, დულა ჩემო ძვირფასო. სად ხარ/" „ვაგზალში და მოვდივარ!" – ვეუბნები და ყურმილს ვდებ. მერე კართან მივირბინე და „გლაზოკს" მივასკდი. გამოვარდა ის კაცი ტყიბულის სახანძროსავით, ფეხსაცმელები ხელში ეკავა... ნახევარ საათში ისევ დავრეკე: „ნადია, ძვირფასო, ფრენა ორი საათით გადადეს. დაიძინე, აღარ დამელოდო." – ვეუბნები. „სად ხარ საყვარელო," – მეკითხება. „სარატოვში." „ვაი,

მეგონა აქ იყავი ვაგზალში და გამეხარდა. მენატრები ძალიან," – მეუბნება შეწუხებული ხმით...

ახლა უკვე სანახაობა ეშხში შედის. სადარაჯოდ კართან უკვე სკამით მივდივარ. ვინ იცის, რამდენ ხანს მომიწევს ლოდინი. ნახევარ საათში არა, მარა საათნახევაღში მობრუნდა ნადიას კაცი. ეტყობა, შორს ცხოვრობდა შობელძაღლი. ზარი არ დაურეკავს, ისე გაუღო ამ ბოზმა და დავურეკე. „დიახ" „ნადულია, მე ვარ. მოვედი სახლთან. აგერ, ავტომატიდან ვრეკავ" და მივედი კართან. გამოვარდა ის კაცი მახარობელივით და დეეშვა კიბეებზე. ერთი საათის მერე ისევ დავრეკე: "დულა ხარ?" – ლამის შემომტირა. „კი, მე ვარ." „სად ხარ? აკი სახლთან იყავი?" „არ გეწყინოს, გენაცვალე, გაგეხუმრე. ხომ იცი, მიყვარს შენი წვალება და ბუზღუნი," – ვეუბნები დათაფლული ხმით." „კარგი რა დულა, ლამის გული გამისკდეს და..." „კარგი, ნუ ტირი. ხომ იცი, ჩემი ერთადერთი სიყვარული ხარ, ყველაზე ტკბილი და სამუდამო," – ვებნები ამეებს და კიდევ ბევრ საალერსოს. მერე ვემშვიდობები ხვალამდე და ათი წუთის შემდეგ, მივდივარ მის კართან სამგზავროდ გამოწყობილი და ზარს ვრეკავ... აღებს კარს. დაბნეულია, ძალით კრეჭს კბილებს. ლამაზი სახე ისე აქვს დამანჭული, სოხუმის მაიმუნსაშენში, შესასვლელში, გალიაში იჯდა ერთი მაიმუნი, იმისგან არაფრით განსხვავდება. უაზროდ დადის აქეთ-იქით, კინაღამ თითები დაიჭამა, ხვნეშის. მერე თითქოს დამშვიდდა და მეუბნება:

– ძვირფასო, აბაზანას ხომ მიიღებ?

გულში ჩამეცინა: „აჰა, გაები ბოზანდარავ! ვიდრე აბაზანაში ვიქნები, ის კაცი მოვა. ეს კარებიდან გააბრუნებს.არა, სპექტაკლი ეფექტური აღარ გამოვა" და ვეუბნები: – არ მინდა აბაზანა.

– რატომ? ახალი შამპუნი გიყიდე. გინდა, აბაზანაში ჩაგისხამ.

– არა. ახლა მხოლოდ შენ მინდიხარ, წამო, დავწვეთ.

– მაშინ შენთან გავიდეთ.

– რატომ, აქ ვინ დაგვიშლის?

– არავინ, მაგრამ შენთან მირჩევნია.

– ნადია, რაღაც აღფრთოვანებას ვერ გატყობ. ალერსიანიც არ ხარ. აღარც სიყვარულით მიყურებ. რა მოხდა ნადიუშა? ვინმე სხვა „იობარი“იპოვე ამ სამ დღეში?

– არა, რას ამბობ? უბრალოდ, ვერ ვარ კარგად, – ბლუკუნებს.

და ამ დროს კარზე ზარის ხმაა.

– ა, ახლავეს გახდები კარგად ძუკნავ! – ვეუბნები.

– ვინ უნდა იყოს ამ შუაღამეზე? – „უკვირს.“

– შენი მკურნალი ექიმია ბოზანდარავ! ბედი შენი, რომ ქალების ცემა-ტყეპა არ მიწერია კოდექსში, თორემ თავს წაგაცლიდი ამ ღორობისთვის!

– ექიმი? – მაინც ბოლომდე იბრძვის.

– ჰო, შენი პირადი ექიმი! – და ვაღებ კარს. რა თქმა უნდა, ისაა. დგას გახევებული.

– ბუდემ ზნაკომიტსა, – ვეუბნები და იშვირა ფეხი. გავარდა მარა, რა გავარდა. წეღანდელ თარიმანსაც გაასწრებდა. ნადია მიხვდა, რომ თამაშს აზრი აღარ ჰქონდა და მუხლებში ჩამივარდა: – ჩვენ შორის არაფერი მომხდარა, მაპატიე.

– მკიდია მოხდა თუ არა, – ვეუბნები და დავაფურთხე ზევიდან. მერე გავედი ჩემთან და კარი ჩავკეტე.

– მერე კაცო, მერე! – ლამის ყველა აყვირდა.

– იმის ჯინაზე კიდო სამი თვე ვიცხოვრე იმ ბინაში. კვირაში ორი ან სამი „ნაშა“ მიმყავდა. მერე მუდმივი ანუ „პასტაიანი“ ქალი დევითრიე და ე, მაშინ დეენძრა ნადეჟდას. როცა ის ქალი საცხოვრებლად გადმოვიდა, ე, მაშინ გაუბედურდა, თვალები ჩოუცვივდა, თითქოს ოცი წლით დაბერდა. ამასობაში მოვრჩი საქმეებს და იქაურობა მივატოვე.

– ნადეჟდამ რა ქნა?

– გალოთდა და გათახსირდა ალბათ. დიდად არ დავინტერესებულვარ.

ამგვარი დასასრული არ მოგვეწონა, დულას ამის შემდეგ ალმაცერად ვუყურებდით. ბოლოს მამა სპირიდონმა გვირჩია, დულას მოგონილ ამბებს ნუ განსჯით, თავისი გაჭირვება ეყოფა მაგ საწყალსო. მერე წვიმიანი დღეები დეეწყო ერთმანეთს და

ჩვენს საფიხვნოზე სიცარიელემ და სიჩუმემ დაისადგურა. გავიხსენეთ ტელევიზორები, მაგრამ ზოგჯერ მაინც ვახერხებდით ვინმესთან თავშეყრას. ეს კი ყოველთვის დიდად შესარგ ჭამა-სმაში და უფრო მეტშიც, ღრეობაში გადაიზრდებოდა. დულა ამ შეკრებების მუდმივი მონაწილე იყო, თუმცა სუფრაზე მის მოსასმენად არავის ეცალა. ორატორი და დირიჟორი აქ მიხეილ პავლოვიჩი იყო, საყვარელი და სოფლისგან დაფასებული კაცი. ყოფილი მოჭიდავე. ერთ დროს საქართველოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, მერე რაიონის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ელექტროშემდუღებელი. საკმაოდ ნაკითხი და ქართული სუფრის მომხმარე. რამდენი ლხინი „დაგვილაშქრავს“ ერთად და არ მახსოვს, რომელიმე სადღეგრძელო ერთნაირად ეთქვას. ლხინი მისი სტიქია იყო. მიხეილმა და დულამ ხელისუფლება გადაინაწილეს: ცუდ ამინდში მიხეილი სარდლობდა, კარგში – დულა. იმასაც გეტყვით, რომ მათი უპირატესობა ფეხებზე გვეკიდა. ჩვენ სანახაობა და გართობა გვინდოდა, იმათ – აუდიტორია და ამიტომ ვიყავით სიამტკბილობაში...

ერთ წვიმიან საღამოს კი ჯეკპოტი მოვხსენი – მიხეილი და დულა ერთად მეწვივნენ, შენს ღვინოს აქებენო. „მე რა? ბიძაჩემი აცხონოს ღმერთმა!“ – ვუპასუხე და მარტოხელა კაცის პირობაზე კაი სუფრა გავშალე. კარგად რომ შევბუჟბუჟდით, დულამ ჰკითხა: „ჩემო მიშა, მართლა ჩემპიონი იყავი ჭიდაობაში?“ „კი, ვიყავი. მაშინ ძაან ძლიერი ვიყავი, ახლა აღარაფერი ვარ. ოთხმოცკილოში ვიჭიდავე. დილას დევიწყე და შუადღის ოთხზე დავამთავრე. შვიდი წავაქციე, აბა! ძაან კი ვნერვიულობდი თავიდან. სამი კილო მაკლდებოდა წონაში და სპორტული შარვლით გევედი აწონვაზე. ყვერებში სამკილოიანი გირა მქონდა ჩაბმული და ასე შევდექი სასწორზე. ქე გამევედი ოთხმოცი კილო.“ „ვერ გაყევი ბოლომდე სპორტს?“ – არ მოეშვა დულა. „კაი იქნებოდა, მარა ცხოვრება ყოველთვის არ მიდის შენს ნებაზე, – თქვა მიხეილმა, – მოდი ამ ჭიქით დოუგეგმავ ცხოვრებას გოუმარჯოს! აბა, თუ წინასწარ ვიცი, რა მოხდება, რაღა საინტერესო იქნება სიცოცხლე? რავარც უკვე ნა-

ყურები ფილმის, მეორედ ყურება იქნება მაგი“ „მასთე რო იყოს, კაი შენ! – თქვა დულამ, – გლახა მომენტებს ქე ამეიღებდა კაცი და კაის ქე დატოვებდა. „ვაი თქვენს პატრონს“, – გავიფიქრე და მივხვდი, გამოსარსალებული მთვრალები ვიყავით სამივე ოთხსაათიანი ქეიფის მერე და აწი აქ „ფილოსოფიური“ ბაზარი დაიწყებოდა, მტრისას!...

როცა თვალი გავახილე, სკამზე ვიჯექი ისევ, ოღონდ ზურგი და კისერი მტკიოდა. ეტყობა, მაგიდაზე დამხობილს მეძინა. დულა და მიხეილი კი თავბოლოშექცეულნი იწვნენ ტახტზე ბუხართან და გათანგულებს ეძინათ. ამაში ცხადია, ნაწილობრივ, ბახუსი იყო დამნაშავე, დიდწილ კი, რეზინის ჩექმებში ნამყოფი წინდების სუნი, რომლებიც ლამის ცხვირებთან ჰქონდათ მიბჯენილი და რითაც აქაურობა ყარდა. მივედი და კარი გამოვაღე. სიბნელიდან მაცოცხლებელი, ჟანგბადით გატენილი ჰაერი შემოიჭრა და ტახტზე მხვრინავებმა აშკარად იგრძნეს ეს, რადგან ძილში ერთდროულად გაეღიმათ. თუმცა ვინ იცის, რა აცინებდათ? მიხეილს იქნებ, ოდესღაც მოგებული ჭიდაობის ფინალი ესიზმრებოდა, ხოლო დულას, ბეჭებზე გაკრული მორიგი ქალბატონი... იძინონ, დაისვენონ პატარა! ხვალიდან ისევ ათასი ამბავი და სადღეგრძელო აქვთ სათქმელი და მოსაყოლი ჩემთვის. მე კი, ჩემო ტკბილო და თაფლო საზოგადოებავ, პირობას გაძლევთ, ერთ სიტყვასაც არ გამოვტოვებ მათი მონათხრობიდან.

2015 წელი, 24 მაისი.
ბარბარეს დაბადების დღე.

სარჩევი

წინათქმა ---------- 3

ტიტანები ---------- 5

თემურ-ლენგი ----------17

უვერტიურა ბაიაზიდთან ერთად----------18

გმირის გამოჩენა ----------28

გმირი ბირთვისში ----------34

თემურ-ლენგის მუქარა ----------36

გმირის მონოლოგი ----------38

თემურ-ლენგის მეორე მუქარა----------40

ბეგი-ჯაბი ----------42

გმირი მეფესთან ----------47

ჯალათის ვნებანი----------48

ვინ თქვა, რომ მზე არ ამოვა?----------51

გმირის „გადაბირება“----------52

ძროხის ქურდები ----------56

მზისო ----------57

დამშვიდობება კონსტანტინესთან----------57

სამარყანდი----------59

ერთი წლის შემდეგ ----------60

მტარვალის აღსასრული----------61

ისტორიის ახალი ფურცელი----------62

ღვთის თვალი ----------63

დულა – ქართულ-საბჭოთა დეკამერონი ----------70

გამომცემლობა „ივერიონი“.
მისამართი: თბილისი. მარჯანიშვილის 18. I სართ.

E-mail: info@iverioni.com.ge